მუსიკა

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ჟურნალი • №1 2008



ვოლფის პრემია გია ყანჩელს



ზურაბ ნიჟარაძე „მუსიკოსები“

ძვირფასო მკითხველო!

ალბათ, გადაჭარბებულად არ ჩაგვითვლით, თუ ვიტყვით, ჟურნალ „მუსიკის“ ეს ნომერი არის დასტური იმისა, რომ ზოგჯერ ოცნებასაც ესხმევა ფრთები. ფაქტია, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ახალმა თავმჯდომარემ აიტაცა იდეა – გამოცემულიყო შეძლებისდაგვარად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჟურნალი და ყველა პირობა შექმნა მის განსახორციელებლად. ჟურნალი „მუსიკა“ უნდა აშუქებდეს საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მუსიკოსების მიღწევებს, აწვდიდეს მკითხველს მსოფლიო მუსიკალური სამყაროს ამბებს, იკრებდეს გარშემო არა მხოლოდ მუსიკოსებს, არამედ მწერლებსაც, მხატვრებსაც, თეატრალურ მოღვაწეებსაც...

ამ ჟურნალის წინამორბედი გაზეთი „მუსიკა“ ახლო წარსულის საქართველოს ყველაზე შეჭირვებულ ჟამს დაიბადა. იმ მძიმე, დამთრგუნველ წუთებში გვამოძრავებდა უწინარესად ქართული მუსიკის სიყვარული, ავრეთვე რწმენა, იმედი ხვალინდელი დღის, რომ დადგება დრო და ნანატრი ცხადად გადაიქცევა.

გილოცავთ ამ ოცნების ხორცშესხმას!

სარჩევი

საერთაშორისო პრემიის ლაურეატები
გია ყანჩელი და კლაუდიო აბადო
რიჩარდ ვოლფის პრემიის 2008 წლის
ლაურეატები გახდნენ 6-7

ახალი ვარსკვლავები
„ქართველი ქალიშვილი თავისი შესრულებით
მაღლა და მაღლა ცამდე აიჭრა“ 8-9

ფესტივალები
დიდი ტრადიციის გაგრძელება
ჯანსულ კახიძის ფესტივალი 10-11

ბალეტის სამყარო
მსოფლიო საბალეტო პრემიერები თბილისში . . 12-13

ფესტივალები
მანანა კორძაია „აღდგომიდან ამაღლებამდე“ . . . 14-16

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან
„გვახსოვდეს, რომ ჩვენს გვერდით არის
მედეა ამირანაშვილი!“ 17-19

ქართული ხელოვნება საზღვარგარეთ
მარლენ დიტრიხი გერმანიაში მიემგზავრება 19

მუსიკალური აღზრდის კერა
თბილისის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის
VI სახელოვნებო სკოლა – 90 20-25

ქართული მუსიკის პრობლემები
ნინო ნაცვალაძე – ინტერვიუ
მერი დავითაშვილთან 26-27

რეცენზია
მარინა ქავთარაძე – კამერული მუსიკის
პარადიგმები 28-29

ერთი სიმღერის ამბავი
თამარ ნულუკიძე
„მე თბილისის მოტრფიალე ვარ...“ 30-31

მუსიკა და მხატვრობა
მზია ჯაფარიძე
საუბარი ზურაბ ნიჟარაძესთან 32-37

ჯაზის კუთხე
თამარ მიქაძე
იმპროვიზაცია ჯაზის თემაზე. 38-39

საკონცერტო ცხოვრება
ჩვენს წინაშეა
„თბილისის კონცერტინო“ 40

ქართული მუსიკა უცხოეთში
გია ყანჩელის დანიური პრემიერა 41
პრემიერა „კონცერტჰაუზში“ 41

ძველი ოსტატები
მამუკა ნაცვალაძე – კაცი, რომელიც
სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა 42-43

ოპერა
ზურაბ ოიკაშვილი – ცხელი მაისი
ოპერის თეატრში 44

ახალი ვარსკვლავები
იქნებ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები! 45

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან
თამარ ჩინჩალაძე – ახალი ტრადიცია. 45

მსოფლიო მუსიკალური სივრცე
რეგინა კარტერი, „ხემი ჩემი ხმაა“ 46
როგორ უნდა წერონ მუსიკის შესახებ 46

საგანგებო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს

ბ-ნო პრეზიდენტო!

თქვენ წინასაარჩევნო სიტყვაში ბრძანეთ: „კერძო საკუთრების ხელყოფა – დანაშაულია". მიუხედავად ამ უმნიშვნელოვანესი განაცხადისა, ჩვენი საკუთრება სნორედ რომ ხელყოფილია.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს უხეში კანონდარღვევით ჩამოართვა კუთვნილი ქონება.

შეგახსენებთ, რომ:

საბჭოთა საქართველოს მთავრობამ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს მუდმივ მფლობელობაში გადასცა ბორჯომის შემოქმედებითი სახლისათვის მინა. იქ განლაგებული შენობა-ნაგებობები კი ქართველი კომპოზიტორების და „მუსიკალური ფონდის" სახსრებით აშენდა, რაშიც ადვილად დარწმუნდებით სახელმწიფო კანცელარიაში 2006 წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ბორჯომის შემოქმედებითი სახლი ქართველი მუსიკოსებისთვის არ არის უბრალოდ „საკურორტო ზონა" ან „საპრივატიზაციო ობიექტი", ეს ისტორიული მნიშვნელობის ადგილია. აქ ქართული მუსიკა იქმნებოდა და ქართული მუსიკის ისტორია იწერებოდა.

ბ-ნო პრეზიდენტო, ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა მოგმართავთ თხოვნით თქვენ, როგორც კანონიერების უმაღლეს გარანტს სახელმწიფოში, აღადგინოთ სამართლიანობა და მუსიკოსებს მათი საკუთრება დაუბრუნოთ.

დარწმუნებულნი ვართ, თქვენი კეთილი ნებისა და პირადი ჩარევის შემთხვევაში საკითხი დადებითად გადაწყდება – კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი უმოკლეს ვადაში დაუბრუნდება კანონიერ მფლობელს.

პატივისცემით,

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარე კახა ცაბაძე

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის წევრები

ანდრია ბალანჩივაძის კოტეჯი.

„ბორჯომის ბალკონზე, ბუნების საოცარ ნიაღში, ასწლოვანი წიწვებით დამშვენებულ კომპოზიტორთა კავშირის სავანეში გამოირჩეოდა პატარა კოტეჯი, რომლის შუაგულში ამოზრდილი ხე წინდახედული არქიტექტორს ხელუხლებლად დაუტოვებია იმის რიდით, რომ ბუნების ეს პირველქმნილი მშვენიერება არ დარღვეულიყო. ამ სახლში ასევე გამორჩეული ხელოვანის ეხოვრება მიეფინებოდა და ჩემში იგი ყოველთვის ასოცირდებოდა ამ ხესთან, სახლს დედამიწად რომ ედგა, ამაგრებდა, ამშვენებდა. ის მართლაც იყო ახალი ქართული კომპოზიტორული ხელოვნების დედამიწა, სიმაგრე და მშვენება."

ნანა ქავთარაძე
მუკლეტი „ანდრია ბალანჩივაძე 1906-2006
„...ცხოვრების და მისი პოეზიის სიყვარულით"
თბ. 2006

რამდენი ბორჯომის შემოქმედებით სახლზე ჩამოვარდება სიტყვა, იმდენი თითქოს ყურში ჩამესმის ან გარდაუვალი ჩემოვის და ყველასათვის უძვირფასესი ადამიანი დავით (გუგული) თორაძის ხმა, მისი მონათხრობი სახლის აშენების საყვარელის ხორცშესხმის შესახებ.

70-იან წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე – ალექსი მაჯავარიანი და მდივანი – გუგული თორაძე ჩავიდნენ ბორჯომში, რათა ენახათ, თუ სად უნდა ნამოენყოთ სახლის მშენებლობა. კიდეც ეჩვენა ბორჯომის იმდროინდელმა მმართველობამ საამისო ადგილი. დაბრუნდა თუ არა ბაქონი გუგული თბილისში, დაიყენა მანქანა, ის იყო გაღლო სახლის კარი, გაისმა ტელეფონის ზარი – რეკავდა ბორჯომის აღმასკომის თავმჯდომარე – ისევ ჩამობრძანდითო ბორჯომში, უკეთესი ადგილი უნდა გაჩვენოთო. რას იზამდა გუგული, ჩაბრუნებულა ქვეყოთ, – მანქანის მოტორი ჯერ კიდევ ცხელი იყოთ. მაშინ ბორჯომში გამგზავრება უფრო რთული იყო, დანგრეული



გზა შევრად დიდ დროს ანომევდა კაცს. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო ნასასვლელი, ყველგან ნავიდოდა, იმდენად დიდი იყო მათი მიზანი – კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის აშენება. ჩავიდა ბორჯომში და აჩვენეს პლატოზე მდებარე ტერიტორია. ოღონდ ამ ადგილის აღებას ეკეთა პირველი მდივნის – ვასილ მაკავანაძის ნებართვა ესაჭიროებოდა. მაშინ ალექსი მაჯავარიანი სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ და მას ჰქონდა სრული უფლება მაკავანაძესთან შესვლის. კიდეც ეახლა მაკავანაძეს და დაიგეგმა ამ ალაგას კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლის აშენება.

მიხეილ ოძელი

P.S. ეს დიდი საქმე კი საბოლოოდ გია ყანჩელისა და მისი მეგობრების ძალისხმევით დაგვირგვინდა.

საოცრად დიდი სიყვარულით ვიხსენებ ბორჯომის შემოქმედებით სახლს და საერთაშორისო ფესტივალს „ხელოვნების ზეიმი". ეს იყო შესანიშნავი ფესტივალები, რომელიც აერთიანებდა არა მხოლოდ ბორჯომის რაიონს, არამედ მთელ საქართველოს, იმიტომ, რომ იქ ჩამოდიოდნენ მოსწავლეები მთელი საქართველოდან. მათთვის ეს იყო ძალიან დიდი სკოლა. ამ ფესტივალზე, ბორჯომის შემოქმედებით სახლში, ჩამოდიოდნენ ისეთი მუსიკოსები, როგორებიც არიან დიმიტრი სიტკოვეცკი, მაქსიმ ვენგეროვი, ჯენი ანდელი, ალექსანდრ კნიაზევი და სხვა მრავალი. დღემდე ჩემი უფხოელი კოლეგები დიდი სიყვარულით იხსენებენ ფესტივალს და მეკითხებიან, თუ როდის ჩაატარდება კიდევ ჩვენი „ხელოვნების ზეიმი". სამწუხაროდ, პასუხი არ მაქვს. ბორჯომის შემოქმედებითი სახლი ნამდვილად იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა, მისი მოსპობა ძალზე დასანანია.

ლიანა ისაკაძე

გია ყანჩელი და კლაუდიო აბადო რიჰარდ ვოლფის პრემიის 2008 წლის ლაურეატები გახდნენ

2008 წელს ვოლფის ფონდის კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გია ყანჩელისა და კლაუდიო აბადოსათვის ერთობლივად მიენიჭებინათ პრემია. კომიტეტმა მიიჩნია, რომ: „გია ყანჩელი არის ერთ-ერთი უდიდესი თანამედროვე კომპოზიტორი, რომლის უნიკალური მუსიკა გამოირჩევა დაუვიწყარი მშვენიერებით. მისი შესანიშნავი სიმფონიები ხასიათდება სურეალისტური სიმშვიდისა და ძლიერი ფეთქებადი ინტენსივობის მონაცვლეობით. ყანჩელის მუსიკა ადამიანური ემოციების სრულ დიაპაზონს გადმოსცემს, უღრმესი რელიგიურობიდან – ექსპრესიულ ენებებამდე; ოპტიმიზმიდან – პესიმიზმამდე. მისი მუსიკა აერთიანებს მისტიკურ აურასა და რეალისტურ აღწერითობას. ყანჩელი, თავისი საოცრად ღრმა მუსიკის საშუალებით, გახდა მსოფლიო გავლენის სათავე, განსაკუთრებით კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობაში“.

ვოლფის ფონდი დაარსდა 1975 წელს, იმისათვის, რომ აღნიშნულიყო „გამოჩენილ მეცნიერთა და ხელოვანთა ღვაწლი კაცობრიობის წინაშე დამსახურებისათვის მათი ეროვნების, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად“.

ხელოვნების დარგებში ვოლფის პრემია გაიცემა როტაციის პრინციპით შემდეგი თანმიმდევრობით: ფერწერა, მუსიკა, არქიტექტურა, ქანდაკება. პრემირებულს გადაეცემა დიპლომი და 1 000 000$.

ვოლფის პრემიების გადაცემის ცერემონია ტარდება იერუსალიმში – კნესეტში. ლაურეატებს აჯილდოვებს ისრაელის პრეზიდენტი, კნესეტის წარმომადგენლობის, განათლების მინისტრის, ფონდის სამეურვეო საბჭოს თანდასწრებით.

ვოლფის პრემიას, ნობელის პრემიის შემდეგ, ერთერთ ავტორიტეტულ პრემიად მიიჩნევენ (კომპლექსურ პრემიებს შორის). საკმარისია ჩამოვთვალოთ ამ პრემიის ლაურეატები მუსიკის დარგში: ვლადიმირ ჰოროვიცი, ოლივიე მესიანი, იეჰუდი მენუჰინი, ლუჩანო ბერიო, კშიშტოფ პენდერეცკი, პიერ ბულეზი, რიკარდო მუტი, ზუბინ მეტა, მსტისლავ როსტროპოვიჩი და სხვ.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი გულითადად ულოცავს ჩვენს თანამემამულეს, მსოფლიოში აღიარებულ კომპოზიტორს გია ყანჩელს ამ დიდად საპატიო პრემიას უსურვებს ჯანმრთელობას, შემოქმედებით შემართებას და ულევ პრესტიჟულ ჯილდოს!



გია ყანჩელის სიტყვა წარმოთქმული ვოლფის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალზე

მადლობა პირველებებს, რომელთა გადაწყვეტილებით ჩემმა შემოქმედებამ ესოდენ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოხარული ვარ, რომ ეს ჯილდო თანამედროვეობის გამოჩენილ დირიჟორთან კლაუდიო აბადოსთან ერთად მომანიჭეს.

მიიჩნევენ, რომ ჩემი მუსიკა ძირითადად სევდიანია და შეტწყობილად ტრაგიკული ელფერი დაჰკრავს. ალბათ, ნამანდობლიკია, რომ ჩემი ნამოღვაწარი გასაგები და მისაღები გახდა ამ ქვეყნის და ამ ხალხის წარმომადგენელთათვის, რომელთა განცდილი ისტორიული გზა განსაკუთრებული უკეთესარითობით გამოირჩევა.

არასდროს გამჩენია სურვილი მუსიკის საშუალებით გამოეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ უმეცრების მიმართ, რომელიც თან ახლავს ეპოქების მონაცვლეობას და კაცობრიობის ისტორიაში არსებული შეშფოთებული შეგალითების მიუხედავად დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

კარგად მესმის, რომ ხელოვნება საკმარისს უკეთესობისკენ ვერ შეცვლის. ამიტომაც ვცდილობ დავუპირისპირო:

უმეცრებას – არა აზვირთებული მდინარე, არამედ „დუშილი“, რომელიც ვიზუალურად უმრავი წყლის ზედაპირს შგავს.

პერმანენტულ ტერორისტულ აქტებსა და დაუმთავრებელი კონფლიქტებით გამოწვეულ უარყოფით ემოციებს – სიშმაგეს და მოთმინება, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძარნია შესაძლებლად ფიქრი სილამაზის ისეთ ხარისხზე, რომელსაც ძალუძს უშეცრების წინ აღუდგეს

უფრო და უფრო მზარდ სმაურიან გარემოს – ყლერადობა, რომელიც ხისუმის ზღვარს უახლოვდება.

ტექნიკური პროგრესის მიღწევებსა და მზარდ ურთულეს ტექნოლოგიებს – მაქსიმალურად გამარტივებული მუსიკალური ენა.

ცხოვრების და ყოფის უფრო და უფრო ამჭარებულ რითმს – უტრირებულად ნელი ტემპები.

პატრიოტიზმის ეგზალტირებულ გამოვლინებებს, წარსულის განდიდება-გაფეტიშებას და რელიგიურ ფანატიზმს – მძაფრი დინამიური კონტრასტები, რადგანაც გარდა სანთლო ქალაქზე გადატანილი ნაშნებისა, პირადად შე პროტესტის გამოთქმის სხვა საშუალება არ გამაჩნია.

და რადგან აღნიშნული გარემოებები ჩემს სულიერ მდგომარეობაზე ქვეცნობიერად მოქმედებს და ალბათ, გარკვეულ კვალსაც ტოვებს, მე მიხდება საკმაოდ მაღალი ზღუდის გადალახვა, რათა ყოველდღიური ურთულესი შრომის პროცესში, მუსიკალური ფორმის შექმნისას ჩემი ფიქრები და განცდები მიმართული იყოს არა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ასახვისაკენ, არამედ იმ უკეთეგანთ, უხილავი სივრცის მიმართ, რომელიც ჩემს წარმოდგენაში სილამაზის, სიკეთისა და სიყვარულის მარადიულ ცნებებს უკავშირდება. ერთადერთი, რაზედაც ვოცნებობ, გახლავთ ის, რომ ჩემი შემოქმედებითი სიმთელეები შეუმჩნეველი დარჩეს მსმენელისათვის.

მუსიკის უნივერსალური ენა, რომელიც თარგმანს არ საჭიროებს, თვითოეულ მსმენელში განსხვავებულ გრძნობებს იწვევს. კარგად მესმის, რომ ჩემი მუსიკალური სამყარო მავანსა და მავანს შესაძლოა აღიზიანებდეს, თუმცა, კეთილმოსურნეების დანაკლისი არასდროს მიგრძვნია.

მოგეხსენებათ, ამა თუ იმ მოვლენის ჭეშმარიტი შემფასებელი მხოლოდ დროა და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შემოქმედება მომავალში (თუ კი ის დავიწყებას არ მიეცა) აღიქმება, როგორც მცდელობა თავის გაღწევისა სიბნელიდან სინათლისაკენ.

მადლიერებით
გია ყანჩელი

„ქართველი ქალიშვილი თავისი შესრულე

ხატია ბუნიათიშვილი... ეს სახელი ამ ბოლო ხანს წამდაუწუმ გაისმის თბილისელ მუსიკის მოყვარულთა წრეში, რაც შედეგი გახლავთ ეროვნული მუსიკის ცენტრში გამართული კონცერტის და იმ ძლიერი შთაბეჭდილების, აქ წარმოდგენილმა პიანისტმა გოგონამ რომ მოახდინა (ამ კონცერტის შესახებ იხილეთ ჩვენი ჟურნალის მე-14 გვერდზე სტატია ამაღლებამდე – რედაქცია). არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხატია ბუნიათიშვილმა ააღაპარაკა არა მხოლოდ თბილისის, არამედ თელ-ავივის საზოგადოებაც. იქ იგი გაიცნეს როგორც რუბინშტეინის კონკურსის მონაწილე. რედაქციაში მოგვანოდეს ისრაელის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები. ჩვენში საოცარ სიხარულს და სიამაყეს იწვევს საკუთარი თანამემამულის მიმართ გამოხატული ამგვარი აღტაცება. ამავე დროს ამ სტატიების ავტორებს შევნატრით კიდეც – რა თავისუფალნი არიან ემოციებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვისას, ამ მხრივ არ არსებობს მათთვის რაიმე შეზღუდვა, არ ფიქრობენ ცენზურაზე (თუმცა კი ზოგჯერ ესეც საჭიროა – რედაქცია).

არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ თუ როგორი იყო ხატია ბუნიათიშვილი ამ რამდენიმე წლის წინ. ჩვენი სახელოვანი პიანისტისა და პედაგოგის – თენგიზ ამირეჯიბის კლასის კონცერტზე, ხატია იმთავითვე გამოირჩეოდა ბრწყინვალე ტექნიკით, მოზღვავებული ტემპერამენტით, ცეცხლოვანებით, რასაც ზოგჯერ ცოტა „აღვირმოდებაც" კი სჭირდებოდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის მსმენელი, პიანისტის სწორედ ამ თვისებებმა მოხიბლა განსაკუთრებით.

დროთა განმავლობაში ხატია ბუნიათიშვილის შესრულება დაიხვეწა, გაწონასწორდა. ის, რომ ხატიასთვის უკვე ხსნილია საერთაშორისო საშემსრულებლო ასპარეზი, გვიდასტურებს მისი ბიოგრაფიის ფაქტების ჩამონათვალი:

ხატია ბუნიათიშვილი არაერთი ეროვნული და საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის ლაურეატია – სპეციალური პრიზი „ახალი სახელები" (ჰოროვიცის საერთაშორისო კონკურსზე, კიევი, 2003); როზა როჟოკისა და ემილ გურევიჩის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა I საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული (2004); II ადგილი და სპეციალური პრიზი არტისტიზმისათვის პიანისტთა თბილისის III საერთაშორისო კონკურსზე (2005).

1999 წლიდან დაიწყო ხატია ბუნიათიშვილის საერთაშორისო კარიერა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართული კონცერტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქველმოქმედო კონცერტები: „SOS-Kinderdorf" (ავსტრია, 1999), კონცერტი პარიზის თეატრში ელისეს ველებზე (2001); მონაწილეობა ვერბიეს საერთაშორისო ფესტივალზე (2003-2004), საკონცერტო ტურნე ევნევაში, ციურიხში, ნანტსა და ბრიუსელში ვერბიეს ფესტივალის კამერულ ორკესტრთან ერთად (2005), ფესტივალი „Les Nouveaux Solistes aux Serres d'Auteuil" (საფრანგეთი, 2005), საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი" (საქართველო, 2005), ფესტივალი „Les Sommets Musicaux de Gstaad" (შვეიცარია, 2006), კონცერტები ლუვრის აუდიტორიუმში (პარიზი, 2006), სოლო კონცერტი მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში (2006), საერთაშორისო ფესტივალი „მუსიკალური ოლიმპი" პეტერბურგის ფილარმონიაში პეტერბურგის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად (2006), ლოკენჰაუზის კამერული მუსიკის ფესტივალი (ავსტრია, 2007), კონცერტი კარნეგი ჰოლში (აშშ, ზანკელის დარბაზი, 2007) და სხვა.

ხატია ბუნიათიშვილი იყო ლიზა ლეონსკაიას სახელობის სტიპენდიანტი (2003), ამავე წელს მიიღო მონაწილეობა ფრანსუა-რენე დოიშაბლის (პარიზი) და კლოდ ფრანკის (ვერბიე) მასტერკლასებში.

ამჟამად იგი სწავლობს ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში, პროფესორ ოლეგ მაიზენბერგის ხელმძღვანელობით. 2008 წელს მოიპოვა არტურ რუბინშტეინის XII საერთაშორისო კონკურსის (ისრაელი, თელ-ავივი) III პრემია.

და სწორედ ყოველივე ამის შემდეგ დავამატებთ, რომ მის შესანიშნავ მონაცემებთან ერთად ამ გზის დასაწყისი უნინარესად მისი პედაგოგის – თენგიზ ამირეჯიბის დამსახურებაცაა. აქ ყალიბდებოდა მისი ხედვა, შეგრძნება მუსიკის სამყაროსი, გემოვნება. ამ ხედვით აღჭურვილს გაეხსნა გზა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ – კონკურსებისკენ, ფესტივალებისკენ.

ისრაელში უკვირთ მისი თავისთავადი წარმოსახვა შოპენის, პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტასი". საქართველოში კი არ გვიკვირს იმიტომ, რომ მივეჩვიეთ – გიზი ამირეჯიბის კლასის აღზრდილებმა მიგვაჩვიეს ამ კომპოზიტორების განსხვავებულად „წაკითხვას". ამის მაგალითად დავასახელებთ ალექსანდრე კორსანტიას, მის მიერ შესრულებულ შოპენსა და პროკოფიევს, რამაც აღაფრთოვანა ჯერ თბილისელები, შემდეგ კი გააოგნა რუბინშტეინის კონკუსის მსმენელი და ლაურეატობაც მოიპოვა. ისიც გავიხსენოთ, რომ თვით გიზი ამირეჯიბი ქართულ საფორტეპიანო საშემსრულებლო ხელოვნებაში შოპენის უბადლო შემსრულებლად მიიჩნევა, ხოლო მის მიერ შესრულებული პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა" დღემდე შემონახულია ჩვენს მეხსიერებაში და ეს ჩანაწერი საქართველოს ტელევიზიის ოქროს ფონდშია დაცული.

რედაქცია

ფორტეპიანოს ლოცვა

ჩაინიშნეთ უბის წიგნაკში:
ხატია ბუნიათიშვილი – ამომავალი ვარსკვლავი

აპლოდისმენტების ასეთი აფეთქება ჯერ არ ყოფილა. სცენაზე ახალგაზრდა გოგონა ადის. თან ლამაზია, თან

ბით მაღლა და მაღლა ცამდე აიჭრა“

ჭკვიანი, თან პიანისტი. ჯერ მხოლოდ ოცი წლისაა. იგი საქართველოდან ჩამოვიდა. ხატია ბუნიათიშვილი, დაიმახსოვროთ ეს სახელი.

უეცრად მისი ფორტეპიანო ამღერდა. ხალხი შოკირებული იყო. დაუკრა ასე, თან ოცი წლის ასაკში – ეს დიდი კადნიერებაა. კონკურსის მონაწილე ყველა მამაკაცი ერთი ხელის მოსმით ჩამოიტოვა უკან. ქართველი ქალიშვილი თავისი შესრულებით მაღლა და მაღლა – ცამდე აიჭრა.

„შეჯიბრება ცხენებს შორის გამიგია მე და არა პიანისტებში“ – უთქვამს შოპენს. ცდებით, მაესტრო! თქვენ რომ წუხელ თელავივის მუზეუმის საკონცერტო დარბაზში შესულიყავით, მოინუსხებოდით და ცრემლმორეული მოეფერებოდით ამ გოგონას. კონკურსის მონაწილე მამაკაცები დიდი ღელვის გამო ცახცახს აუტანია. სახე ქანდაკებასავით აქვთ გაყინული. შიშისა და ზაფრის გამო, კი არ უკრავენ – კაკუნს იწყებენ. აკაკუნებენ და აკაკუნებენ, ვილას ახსოვს მუსიკა. უიმედობა გეუფლებათ. ამ დროს შემოდის თვალხატული ხატია და, მუსიკალური ჰანგების კვალდაკვალ, მის უდიდებულესობას – სიჩუმეს ამეფებს. ჰაიდნს, უბრალოდ კი არ უკრავს, ლაპარაკობს, ჩურჩულებს, გესაუბრებათ. შესრულების აპოთეოზია შუმანის „ფანტაზია“. ეფექტი გამაოგნებელია. მართლაც რომ აბრეშუმის ბგერებია, ჩვენს ნოსტალგიას, ჩვენს ოცნებებს რომ ეხმიანებიან. აუხდენელ, საკრალურ ოცნებებს. ბუნიათიშვილისნაირების გამო აქვს გამართლება როიალს, მუსიკას, ჩვენს სულიერ ყოფას.

კონკურსის დროს საკონცერტო დარბაზში რომ შესულიყავით, საოცარ სურათს ნაანყდებოდით: ეს უკვე დარბაზი არაა. ეს სამლოცველოა. ასეთ სიჩუმეს მხოლოდ ხანჯლით თუ გაკვეთავ. არა, ასეთი გარინდება ტაძარშიც არაა. რუბინშტეინის საზოგადოება თავდავიწყებით ლოცულობს.

რას არ აკეთებენ ადამიანები, რომ ასეთ კონკურსზე მოხვდნენ. დარბაზში ზის კაცი, რომელსაც განმარტოებით ყოფნა უყვარს. იგი მაღაზიის მფლობელია თელ ავივში. კონკურსის დრო რომ დგება, ეს კაცი ჩვეულ საქმიანობას წყვეტს. წარმოიდგენს, რომ როიალია და მოძრაობას იწყებს. კეტავს თავის მაღაზიას, მიდის საკონცერტო დარბაზში და მთელ დღეებს იქ ატარებს. კლიენტები? ჯანდაბას იქითაც ჰქონიათ გზა! მთავარია მუსიკა. ეს ხალხი ჩვეულებრივი ჰაერით როდი სუნთქავს, – ისინი მუსიკალურ ბგერებს ისრუტავენ თავიანთი სულებისათვის. ასეთია რუბინშტეინის საზოგადოება.

ხატია, რა თქმა უნდა, შემდეგ საფეხურზე გავა. ვალდებულიცაა გავიდეს – სულ ფრენა-ფრენით იაროს ფინალამდე. თუ კიდევ გამოჩნდება მისი დონის კონკურსანტი, ეს წლის ნამდვილი მუსიკალური დღესასწაული იქნება. მაგრამ დავიცადოთ, – ჩვენ დღესდღეობით პირველ საფეხურზე ვართ; ეს არის ჭეშმარიტი ტალანტების აღმოჩენის პერიოდი. ვინც ამ აღმოჩენის სიხარულს დაიკლდა, ნამდვილად ნაგო.

12.03.2008

„იგი ღმერთთან ლაპარაკობს“

ეს იყო მართლაც დაუჯერებელი. მთელი ამ ამბის ავტორია ხატია ბუნიათიშვილი, საქართველოდან ჩამოსული ოცი წლის გოგონა. იგი თითქოს მზის ბაჯაღლოს წყვეტს ციდან და ასე შეუყავართ თავისი მუსიკის სამყაროში.

ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ჯადო და მისტიკა ერთმანეთს უმიჯნურდებიან. შედეგად შოპენის არაამქვეყნიურ შესრულებას ვღებულობთ. ეს პატარა გოგონა ღმერთს ესაუბრება. პროკოფიევის მუსიკას ისე ასრულებს („რომეო და ჯულიეტა“), თითქოს ჯადოსნური მოგზაურობისას ტეინის რომელიღაც ხვეულში იპოვა იგი, იქიდან გულში გამოატარა და მთელი შიგნეულობა აგვიფორიაქა. ბოლოს ჰორმონებსაც

გადასწვდა და მოიკითხა გადასცა. ამღერო შოპენი – ეს სასწაულია. ლოცვა დაანყებინო პროკოფიევს – კიდევ უფრო მეტი სასნაულია. ხოლო ერთდროულად კიდეც ამღერო და კიდეც ალოცო ლისტი – ეს უკვე სასწაულის სასწაულია.

ნუხელ მე ვნახე ლისტი – იგი ხატიას როიალს ამოფარებოდა. უყურებდა ალგზნებულ ხალხს და კეთილად ეღიმებოდა. ხატიას შეუძლია ჩურჩული, ლაპარაკი. იგი მართლაც პოგორელიჩია, ახალი პოგორელიჩი, მხოლოდ ქალად გადაცმული. პოგორელიჩის მსგავსად შეუძლია კაცურად საუბარი, ოღონდ ყველასგან განსხვავებული – თავისთავადი და ორიგინალური.

მეორე ტური გუშინ უხეიროდ დაინყო. ჩინელი იანგა ჩენი საშინლად მოსაწყენი იყო. თითქოს ყველაფერი რიგზეა მასთან – ბგერაც, ტექნიკაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ახალს ვერაფერს გვეუბნება. თავისთავს იმეორებს – ყველა მომდევნო ნაწარმოები წინას ჰგავს. ეს – პირველი ჩავარდა. იყო კიდევ ამერიკელი იუან ვეი ჯენი – ღმერთო, რა იმედგაცრუებაა! ისე დაუკრა შოპენის სონატა, საძილე აბების ლაბორატორიაში გეგონებოდა თავი. დასანანია. ეს – მეორე ჩავარდნა. იყო აგრეთვე დიმიტრი ლეეკოვიჩი, კანადიდან, – ეს კიდევ რაღაცას ჰგავდა. კარგი პიანისტია. მაგრამ რუბინშტეინის კონკურსზე ლამაზი დაკვრის მოსასმენად არ მოდიან. ამ კონკურსს სხვა მიზანი აქვს: უნდა გამოჩნდეს ახალი ტალანტი – ისეთი, სულიერად რომ შეგძრავს და აგაფორიაქებს. ლეეკოვიჩის შემთხვევაში კი: ჩავარდნა მესამე.

P.S. ერთი მოდით და გვიპასუხეთ: ბოლოს და ბოლოს, აქამდე გვყავს თუ არა რუბინშტეინის კონკურსში გამარჯვებული ქალი? არადა, საჭიროა.

18.03.2008

ბანოტ რონი
გაზეთი „იედიოთ აბრონოთ“
თარგმანი ებრაულიდან
ჯემალ აჯიაშვილისა

დიდი ტრადიციის გაგრძელება

ჯანსუღ კახიძის ფესტივალი

საოცარი ნოსტალგია, სევდა და ტკივილი, მონატრება... ეს ის ემოციებია, რომლებიც ვახტანგ კახიძემ შარშან, სულხან ნასიძის საიუბილეო სალამოზე კომპოზიტორის სიმფონიების შესრულებისას მსმენელზე დატოვა. დირიჟორის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია დაუვიწყარი იყო. დამსწრეთ დიდხანს გაყვა „ფიროსმანის" გიტარის თემის გულშიჩამწედომი, ამოუცნობი სევდითა და მონატრებით აღსავსე ჟღერადობა. ... რა იყო ეს? უბრალოდ დირიჟორის მიერ ნასიძის სიმფონიების კარგი ინტერპრეტაცია თუ უფრო მეტი? ვფიქრობ, უფრო მეტი. ეს იყო ყველაფერი ერთად – საოცარი პასუხისმგებლობა და სიყვარული „მამისეული" სამყაროს, მისი სამეგობროს მიმართ, იმ მუსიკის მიმართ, რომელიც ამ ბრწყინვალე თაობამ დაგვიტოვა. ვახტანგ კახიძემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა /და იქნებ შეგვარცხვინა კიდეც?!/ თუ რა დიდი კომპოზიტორი-სიმფონისტი გვყოლია და როგორ ზერელედ ვეკიდებით ხოლმე ქართველები საკუთარ ფასეულობებს.

შემთხვევითი არაა, რომ ჯანსუღ კახიძის ფესტივალის შესახებ მასალის მომზადებისას, სნორეს ეს დაუვიწყარი მუსიკალური საღამო ამოტივტივდა ჩვენს ცნობიერებაში. ჯანსუღ კახიძის მემკვიდრეობისადმი მისი ვაჟის, დირიჟორ ვახტანგ კახიძის დამოკიდებულება არ არის უბრალოდ მამის ტრადიციის გაგრძელება, ესაა ის ყველაფერი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და ამასთან ერთად საოცარი პასუხისმგებლობა ჯანსუღ კახიძის დანატოვარის მიმართ. კვლავ წარმატებით გრძელდება მუსიკალური ფესტივალი „თბილისური შემოდგომა", ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა ჩვენს ქალაქში; რაც მთავარია, ვახტანგ კახიძე თვითონაც მრავალი საინტერესო წამოწყების ავტორია.

2007 წელს ჯანსუღ კახიძის შვილების, ვახტანგ და თეონა კახიძეების მიერ დაფუძნდა ჯანსუღ კახიძის სახელობის ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს ქართული კულტურის ხელშეწყობას და პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

უპირველესი ღონისძიება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ფონდმა არის ჯანსუღ კახიძის სახელობის ფესტივალი.

აღსანიშნია, რომ ფესტივალი გამიზნულია არა თბილისელი მსმენელისათვის, არამედ საქართველოს რაიონების მაცხოვრებლებისათვის, რაც თავისთავად ძალზე სასიკეთო ჩანაფიქრია – ბოლო ათწლეულზე მეტია საქართველოს რაიონებში, ფაქტიურად, ჩამკვდარია კულტურული ცხოვრება. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მსმენელი და მაყურებელი დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა ფესტივალის ყოველ კონცერტსა თუ წარმოდგენას.

მეორე სასიკეთო მიზანი ისაა, რომ ფესტივალი საქველმოქმედოა – ფესტივალის შემოსავალი რჩება ადგილობრივ თეატრებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ მომავალ ფუნქციონირებას და განვითარებას. დღეს ბომ ყოველ კაპიკს რაიონის თეატრებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ფესტივალი საინტერესოა იმითაც, რომ მასში მუსიკის გარდა ჩართულია ხელოვნების სხვა დარგებიც: დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი.

2007 წელს ფესტივალი ჩატარდა თელავში, რუსთავსა და ბოლნისში. I ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი მომღერალი ლადო ათანელი, კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი". ფესტივალის გენერალური სპონსორი იყო კომპანია „მაგთი".

ჩატარებულმა ღონისძიებებმა ნათლად დაგვანახა, რომ ამგვარი ფესტივალი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და დიდ როლს ასრულებს რეგიონების კულტურული ცხოვრების განვითარებაში. სწორედ ამიტომ ფესტივალი იქნება ყოველწლიური და თანდათან გაფართოვდება მისი გეოგრაფიული არეალი.

2008 წლის 2-8 მაისს ჯანსუღ კახიძის II ფესტივალი ჩატარდა ახალციხესა და ქუთაისში. მონაწილეობდა კვლავ თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით, ანსამბლი „რუსთავი" და კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (რეჟ.: ლევან წულაძე).

ძალზე მიზანდასახულად იყო შედგენილი პროგრამაც, ძირითადად შესრულდა ნაწყვეტები პოპულარული კლასიკური მუსიკიდან: პ. ჩაიკოვსკის VI სიმფონიის „სკერცო", როსინის საოპერო უვერტიურები, ბეტრაუსის ვალსები და სხვ. ყველგან შესრულდა რაველის „ბოლერო" და საოცარი ნარმატებითაც. ეს არის საკვლევით გამიზნული გზა, რომლითაც ფართო მსმენელი შეძლებს შეუმჩნეველად შეეიდეს კლასიკური მუსიკის რთულ და მრავალფეროვან სამყაროში.

რედაქცია

რადიო ინტერვიუ ვახტანგ კახიძესთან

/საზოგადოებრივი რადიო. გადაცემა „მუსიკალური შეხვედრები“ – აკად. ნია ბახტაძე/

ჩვენი სტუმარია თბილისის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი ვახტანგ კახიძე.

ჩვენი საუბარი შეეხო ჯ. კახიძის სახელობის ფესტივალს, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

– ბოლო წლების თქვენს ძალიან მრავალმხრივ და მრავალფეროვან შემოქმედებით მოღვაწეობაში მინდა გამოვყო ჯანსულ კახიძის ფესტივალი, რომელიც უკვე მეორედ ჩატარდა მაისის თვეში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ახალციხესა და ქუთაისში.

– ჯ. კახიძის მარში კინოფილმიდან „პირველი მერცხალი“ გახდა ამ ფესტივალის ჰიმნი. სადაც ჩვენ ჩავდიოვართ, ორკესტრი ყველგან ასრულებს ამ მარშს. ჯ. კახიძის ფონდი შარშან დავაფუძნეთ მე და ჩემმა დამ – თეონა კახიძემ. ამ ფონდს ძალიან ბევრი ამოცანა აქვს – საქველმოქმედო. იურიდიული კუთხით რომ ვთქვათ, ეს არის არაკომერციული იურიდიული პირი. პირველი, რაც შევძელით, შარშან დავაარსეთ ჯ. კახიძის ფესტივალი, რომელიც მხოლოდ რეგიონებში ტარდება /თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“/.

– ეს იდეა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ყველაზე მეტად დღეს ჩვენს რეგიონებს უჭირთ. იქაურ მაცხოვრებლებს არა აქვთ იმის საშუალება, ცოცხლად მოისმინონ კლასიკური მუსიკა. და ალბათ ეს არის დიდი საჩუქარი ყველასათვის, რისთვისაც დიდი მადლობა ვახტანგ კახიძეს, რომლის იდეაც იყო რეგიონებში ამ ფესტივალის დაარსება.

– 20-25 წლის წინ ჩვენი ორკესტრი დადიოდა გასტროლებზე რეგიონებში, იყო ამის საშუალება და ქვეყანაშიც იყო სათანადო მდგომარეობა. ცნობილი მოვლენების გამო ეს ყველაფერი შეწყდა. რამდენიმე წელია მინდოდა ამ ტრადიციის აღდგენა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერ შევძელი. ამასობაში მომწიფდა სხვა იდეაც, რომ ეს არ ყოფილიყო მხოლოდ მუსიკალური ფესტივალი. ეს გახლავთ მრავალმხრივი ფესტივალი, სადაც წარმოდგენილია ფოლკლორი, დრამატული ხელოვნება – თეატრები. ასე იყო შარშან, ათი სალამო ჩავატარეთ: 4 – თელავში, 3 – ბოლნისში, 3 – რუსთავში. წარმოიდგინეთ, ეს რა პრობლემებთანაა დაკავშირებული, როგორ ორგანიზაციასთან და ა. შ. პირველი, რაც აუცილებელი იყო ამ ფესტივალის დასაფუძნებლად – მონახვა პარტნიორების, რომლებიც გვერდში დაგვიდგებოდნენ, აიტაცებდნენ ამ იდეას, რომლებთანაც ერთობლივად შევძლებდით ამის განხორციელებას. მინდა გითხრათ, ეს აღმოჩნდა ნამდვილად ქართული საქმე, იმიტომ რომ საქართველოს რეგიონებში, ჩვენს საყვარელ ქალაქებში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა კლასიკური მუსიკის მოსმენის და ეს ჩვენი შეგრძნება დაემთხვა კომპანია „მაგთიკომის“ დამოკიდებულებას. მათი სლოგანიც ასეთია „ვაკეთებთ ნამდვილ ქართულ საქმეს“. „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობა ზუსტად მიხვედა რაზეა ლაპარაკი, ზუსტად განსაზღვრა სტრატეგია, რა მოთხოვნაა, როგორი უნდა იყოს სამომავლოდ მისი გრძელვადიანი განვითარება და რა პერსპექტივები აქვს ამ იდეას. და ჩვენ ფაქტიურად გამოვედით, როგორც პარტნიორები, ჯ. კახიძის ფონდი და „მაგთიკომი“ და ერთობლივად ნარმოვადგინეთ ეს ფესტივალი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამას არა მარტო ფესტივალის შემდგომ, არამედ ფესტივალის დღეებში. დავიწყოთ იმით, რომ არ ვაჭარბებ, ხალხი ჭალებზე ეკიდა, როგორი სითბო, როგორი ყურადღება გამოხატეს მონაწილე კოლექტივების მიმართ. თურმე როგორი ნოსტალგია ჰქონიათ, კლასიკური მუსიკა იქნება ეს, თუ სხვა. ამავე დროს მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ საოცრად კარგი მსმენელები არიან. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ფონდის მთავარი სტრატეგია და პრინციპული პოზიციაა, რომ ფესტივალის მთელი შემოსავალი რჩება რეგიონების თეატრებს და მათ აქვთ საშუალება თავის შეხედულებისამებრ განკარგონ ეს თანხები. თქვენ იცით, რა საავალალო მდგომარეობაა ადგილობრივ თეატრებში, შენობები, დაბალი ხელფასები და ა. შ. ასე, რომ მათ შეუძლიათ ეს ფული გამოიყენონ, როგორც თვითონ უნდათ. ამასთანავე თითოეულმა მსმენელმა თუ მაყურებელმა იცის, მის მიერ გადახდილი თანხა საქველმოქმედოა და ეხმარება თავისი ქალაქის თეატრს. დიდი მადლობა კომპანია „მაგთიკომს“ და მის ხელმძღვანელობას. ჩვენი პარტნიორობა კვლავაც გრძელდება. შარშანვე დავსახეთ ეს სტრატეგია, რომ წელს ეს არეალი გაფართოებულიყო. რასაკვირველია თელავი, რუსთავი და ბოლნისი – სადაც შარშან ჩატარდა ეს ფესტივალი, ეს ის ქალაქებია, რომლებმაც, ასე ვთქვათ, უკვე მოიპოვეს გარანტია, რომ ამ ქალაქებში წელსაც ჩატარდება ფესტივალი შემოდგომაზე უკვე მეორედ. და ჩვენი ამოცანაა, რომ სამომავლოდ ეს არეალი კიდევ უფრო გავაფართოვოთ. შარშან, ფესტივალის დამთავრების შემდეგ მე, ჩვენს შემოქმედებით და ტექნიკურ ჯგუფებთან ერთად შემოვიარეთ მთელი დასავლეთ საქართველო და ადგილზე ვნახეთ რა სიტუაციაა, სად შეიძლება კონცერტების გამართვა, სად რა პრობლემებია... მინდა გითხრათ, რომ ამან ძალიან გამოაცოცხლა ადგილობრივი ხელმძღვანელობა. მათ როდესაც დაინახეს მოსახლეობის ასეთი დიდი ინტერესი, ძალიან დიდი ყურადღებით მოეკიდნენ მოსამზადებელ სამუშაოებს. მაგალითად, თელავის თეატრში რემონტი დაიწ ყეს და ამჯერად მგონი სკამები დარჩათ გამოსაცვლელი მხოლოდ. ეს გია ნაცვლიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომელმაც სამიოდ თვეში ნამდვილი სასწაული მოახდინა. ნელს ჩვენ უკვე შევძელით, რომ ეს ფესტივალი ჩაგვეტარებინა ახალციხესა და ქუთაისში. მასში მონაწილეობა მიიღო თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა, სახელმწიფო ანსამბლმა„რუსთავმა„ და მარჯანიშვილის სახ. დრამატული თეატრის დასმა, რომელმაც ნარმოადგინა სპექტაკლი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“. წარმატება აქაც უდიდესი იყო და ვფიქრობ, მსმენელი და მაყურებელი საოცრად მადლიერი დარჩა. საერთოდ ეს ფესტივალი მთელი ნლის მანძილზე იქნება. სამომავლოდ სხვა თეატრებიც და ფოლკლორული ანსამბლებიც ჩაერთვებიან. შესაძლებელია, კონკურენციის სახეც მიიღოს და არ გამოვრიცხავ, რომ გაცვლა-გამოცვლა მოხდეს რეგიონულ თეატრებს შორის. მაგალითად შარშან ასეთი რამ მოხდა – რუსთავის თეატრი ჩავიყვანეთ ბოლნისში არაჩვეულებრივი სპექტაკლით „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. ასე, რომ იდეები ბევრია, გაჩნია რა საშუალებები გვექნება და რაც მთავარია ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს მშვიდობა, საქართველოს რეგიონებში აბსოლუტურად ყველგან დიდი მოთხოვნილებაა ყოველივე ამის მიმართ და ნოსტალგიაც არის.

/სტილი დაცულია/

მსოფლიო საბალეტო პრემიერები თბილისში

2 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა მსოფლიო პრემიერაზე მიიწვია მაყურებელი. მსოფლიოში აღიარებულმა თანამედროვე ქორეოგრაფებმა ალექსეი რატმანსკიმ და იური პოსოხოვმა სპეციალურად თბილისის საბალეტო დასისათვის დადგეს ერთმოქმედებიანი ბალეტები.

„ვარიაციები"

ალექსეი რატმანსკისთან მუშაობა დღეს ნებისმიერი საბალეტო დასისათვის სასიამოვნო ფაქტია. საინტერესო და ნიჭიერი ქორეოგრაფი ამ წლის ბოლოს უკვე ასრულებს დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში მუშაობას და აპირებს მთლიანად ქორეოგრაფიაში გააგრძელოს საქმიანობა.

თბილისში რატმანსკის ქორეოგრაფიას, შეიძლება ითქვას, კარგად იცნობენ. ნინო ანანიაშვილმა მაყურებელს შესაძლებლობა მისცა მისთვის დადგმული ნამუშევრები ქართველი ბალეტომანებისათვის საბალეტო სამყაროს ვარსკვლავების შესრულებით ეჩვენებინა. თბილისის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე მოსვლის შემდეგ კი დასის რეპერტუარში რატმანსკის ორი ერთმოქმედებიანი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე" და „ლეა" შეიტანა.

თუ „სიზმრებში" დრამატურგიული ქსოვილი იაპონური კაბუკის თეატრის პიესებზეა აგებული, ხოლო „ლეა" ანსკის პიესის მიხედვით დაიდგა და გარკვეულ სიუჟეტს ეფუძნება, ახალ საბალეტო მინიატურაში, რომელიც რატმანსკიმ თბილისში დადგა, სრულიად განსხვავებულ მოდელთან გვაქვს საქმე.

რატმანსკის საკუთარ ქორეოგრაფიაში უყვარს მცირე ფორმები. ის თანამედროვე მინიატურისტია. იგი თანამედროვე ქორეოგრაფებს შორის ერთადერთია, რომელიც სუფთა ცეკვის სამყაროში მუშაობს, დგამს ბალეტს ბალეტზე, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ბალეტს მუსიკის შესახებ.

რატომ აირჩია რატმანსკიმ თავისი საბალეტო მინიატურისათვის ბიზეს საფორტეპიანო პიესა „ქრომატიული ვარიაციები"? შესაძლებელია მან თავიდანვე გააკეთა განაცხადი სტილზე, რომლის განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში იქნებოდა მუსიკა. „ვარიაციები" 14 წუთს გრძელდება და იგი არ არის რაღაც სიუჟეტის შემცველი. მაგრამ თავად რატმანსკი ამ შეფასებას არ ეთანხმება და იხსენებს ბალანჩინს, რომლისთვისაც როცა სცენაზე ქალი და კაცი დგას ეს უკვე არის სიუჟეტი. მარტო ამაში არ გამოიხატება მისი სიახლოვე ბალანჩინთან. პა დე სიზის მთელი ქორეოგრაფიული ტექსტი ბალანჩინის სამყაროსთან სიახლოვეს გვაგრძნობინებს. აქ არ ვგულისხმობთ სტილის მსგავსებას, მოძრაობებისა და კომბინაციების ერთგვაროვნებას ან ვარიაციების ბალანჩინისეულ სირთულეს. ვსაუბრობთ მხოლოდ მოდელზე. ეს არის მუსიკის ხედვა, მუსიკის გადმოტანა ცეკვის, პლასტიკის ენით.

დასაწყისშივე ექვსივე მოცეკვავე ცალ-ცალკე გამოდის სცენაზე და თითქოს წარადგენს საკუთარ თავს. განწყობა უკვე იქმნება – სოლისტები თითქოს გვამზადებენ, რომ აქ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ მათგან ველით საინტერესოს. მოლოდინი, რომ სცენაზე უნდა გამოჩნდეს კიდევ ერთი სოლისტი, აღარ არსებობს. არსებობს სხვა განცდა, სხვა მოლოდინი – როგორ ცეკვას შემოგვთავაზებენ ისინი.

ცეკვას იწყებს მეორე წყვილი – ნინო ოჩიაური და დავით ხოზაშვილი. მათ, პარმონიულ ცეკვას, მესამე ელეგანტური წყვილი აგრძელებს – მაია დოლიძე და ირაკლი ბახტაძე. გოგონები ყოველნაირად ცდილობენ გაექცნენ მამაკაცებს, ისინიც მისდევენ, ეწევიან, ისევ იპყრობენ... ასეთი თამამია მათი ცეკვა და ამ დროს შემოდის სცენაზე სოლისტი მამაკაცი – ვასილ ახმეტელი. მისი ენერგიული ვარიაცია გოგონების დაინტერესებას იწვევს და აძლიერებს თითქოს მათ დაშორებას პარტნიორებთან.

ძიება, ერთმანეთისაკენ ლტოლვა ამ საბალეტო მინიატურას თან დაპყვება. მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დგება როცა სცენაზე თავის სოლო ვარიაციას დაიწყებს ნინო ანანიაშვილი. ამ დროიდან მინიატურაში სამი წყვილის სინქრონული, პარმონიული ცეკვა იწყება.

ნინო ანანიაშვილის მკვეთრი და სწრაფი პა დე ბურეები, დახვეწილი ფორმები, მისი პლასტიური მკლავების გრაციოზული მიმოხვრა (რომელიც პრემიერის შემდეგ შეცვლილმა კოსტიუმმა უფრო კარგად გამოაჩინა და სულ სხვა ეფექტი შექმნა სცენაზე), ჰაერში შესრულებული ფინალური ჟეტე ამ მოკლე ვარიაციას უდიდეს დატვირთვას სძენს. ანანიაშვილი სცენაზე დიდი ხნით არ არის, მაგრამ შემოსვლის შემდეგ ქორეოგრაფიის მთავარი ღერძი ხდება, რომელზეც იგება სამი წყვილის ყველა მოძრაობა. ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. ბალერინები ცეკვას აგრძელებენ თავიანთ პარტნიორებთან, სადაც გამოყენებული ფორმები, დაბალი ანწევები (ამითაც ემსგავსება რატმანსკის ქორეოგრაფია ბალანჩინის სტილს) უფრო პოეტურს ხდის ცეკვას.

და თითქოს ამ უსიუჟეტო საბალეტო მინიატურაში იკითხება ერთი, თუნდაც ბანალური სიყვარულის ამბავი, რომელიც ალექსეი რატმანსკიმ ბიზეს ბრწყინვალე მუსიკაზე ააგო (მას შესანიშნავად ასრულებდა ფორტეპიანოზე თამარ მაჭავარიანი).

„საგალოგელი"

სან-ფრანცისკოში მოღვაწე ცნობილმა ქორეოგრაფმა იური პოსოხოვმა საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილისაგან რთული და ცოტა არ იყოს უჩვეულო წინადადება მიიღო. პრიმაბალერინამ ყოფილ პარტნიორს ქართულ მუსიკალურ მოტივებზე თანამედროვე ბალეტის შექმნა შესთავაზა.

ქორეოგრაფი დაეთანხმა ამ წინადადებას, მით უფრო, რომ წარსულში საქართველოსთან და მის კულტურასთან ურთიერთობის მოტივაცია ჰქონდა.

რევაზ ლაღიზის, არჩილ კერესელიძის, იოსებ კეჭაყმაძის, გიორგი ცაბაძის, მერაბ მერაბიშვილის მელოდიებზე, ქართულ ხალხურ მუსიკაზე, რომელსაც მუსიკალური ჯგუფი „ჩანგი" ასრულებს, უსიუჟეტო ბალეტის მოძრაობები, პუანტებზე დადგმული ცეკვები განუმეორებელ სანახაობას ქმნის. ამ უჩვეულო სინთეზით კმაყოფილია იდეის ავტორი ნინო ანანიაშვილი.

„ამ ბალეტის შექმნა დაკვეთა იყო, – ამბობს იური პოსოხოვი, – როცა ნინომ ქართულ ხალხურ მუსიკაზე შემომთავაზა ბალეტის შექმნა, თავიდან გამოვრიცხე ასეთი შესაძლებლობა, რადგან თანამედროვე ბალეტის დადგმა ნაციონალურ მუსიკაზე რთული საქმეა. ბოლოს კი მაინც დავთანხმდი ამ სპეციფიკურ შემოთავაზებას. საქართველოში არა ერთხელ ვარ ნამყოფი, მიცეკვია აქ, მყავს ბევრი მეგობარი და საოცრად მიყვარს ეს ქვეყანა. ვიფიქრე: რატომაც არა!

მუსიკა შემთხვევით ვიპოვე. ვიჯექი თბილისის ერთ-ერთ რესტორანში და ვუსმენდი ქართულ მელოდიებს ანსამბლ „ურმულის" შესრულებით. მომენონა, გავიგე, ვინ ასრულებდა და გადავწყვიტე, მასზე დამედგა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ დღეს ეს ანსამბლი არ უკრავს ბალეტის მუსიკას, მაგრამ ხალხური მუსიკის შესრულება შეუძლია სხვა კოლექტივსაც. შერჩეულ იქნა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები – ჯგუფი „ჩანგი."

დადგმის პროცესი საკმაოდ რთული იყო. სხვაა, როცა დგამ სიუჟეტურ ბალეტს, არის დრამატურგიული მომენტები, პაუზები. აქ კი მხოლოდ მუსიკაა, რომელზეც უნდა დადგა მოძრაობები.

ბალეტის დადგმას ვიდრე დავიწყებდი, კარგად გავეცანი საქართველოს ისტორიას. შეიძლება ითქვას, მის სიღრმეებშიც ნავედი. უამრავი ქართული ტაძარი მოვინახულე. ყველგან შესანიშნავად გალობენ, რაც შთაგონების წყაროდ იქცა ჩემთვის. ძველი ტაძრები ძალიან მხიბლავს. ახალ ნაგებობებს სკეპტიკურად ვუყურებ, მაგრამ სამების ტაძარმა გამაოცა მისი სიდიადით. მიყვარს სიონი, ქაშუეთი... ჩემთვის მუსიკა ძირითადი საფუძველი იყო და იგი სწორედ იმ გრძნობებიდან გამოვიდა, რომელიც მე, რუს ადამიანს გამიჩნდა. ასეთ გრძნობებსა და ემოციებზე დავდგი ეს ბალეტი.

მაყურებელი არ უნდა ელოდეს, რომ „საგალობელში" იქნება ქართული მოძრაობები. ვერც ერთ ასეთ მოძრაობას აქ ვერ ნახავთ. ეს არის თანამედროვე, კლასიკური ბალეტი. საინტერესოდ ვიმუშავეთ მსახიობებთან. მართალია, დაიღალნენ, მაგრამ მგონი კმაყოფილნი დარჩნენ. მეც კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით. ჩემთვისაც ექსპერიმენტი იყო. ერთი სიტყვით, თეატრში მაყურებელი ამ ბალეტის სანახავად, ვფიქრობ, უნდა მოვიდეს არა იმის შეგძრნებით, რა უნდათ, რომ ნახონ, არამედ უნდა ნახონ ის, რაც სცენაზე იქნება წარმოდგენილი."

პრემიერიდან რამდენიმე დღის შემდეგ საბალეტო დასი საგასტროლოდ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალმა ბალეტებმა, რომელიც წარმოდგენილი იქნა ბერკლში, ლოს-ანჯელესში, ჩიკაგოში, მინიაპლოსსა და ნიუ-იორკში, ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში, უკვე მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება:

ალექსეი რატმანსკის „ბიზე ვარიაციებს" ნიუ-იორკში პრემიერა ჰქონდა. ეს საბჭოთა პერიოდში საცეკვაო იმპრესიონიზმის გამოხატვას შგავდა, ნიუ- იორკელების ნაწილმა კი იგი შეიძლება ჯერომ რობინსის საფორტეპიანო ბალეტებს შეადარონ. ბალეტი ანანიაშვილისთვისაა შექმნილი და ეს აშკარად გამოჩნდა მისი შესრულებისას, რომელიც სალამოს მოვლენა იყო... მეორე ანტრაქტის შემდეგ პროგრამა „საგალობლით" დაიხურა – კიდევ ერთი პრემიერა ნიუ-იორკში. ბალეტი ანანიაშვილის ყოფილმა კოლეგამ იური პოსოხოვმა შექმნა და ქართულ ტრადიციულ მუსიკაზეა დადგმული, რომელსაც ანსამბლი ცოცხლად ასრულებს. ქორეოგრაფიას შეიძლება „ნეოკლასიკური ეთნოგრაფიის" სტილი ვუწოდოთ. ფოლკლორული მუსიკის ბალეტთან შეხამება ყოველთვის საინტერესოა – ჩნდება როგორც ბევრი მსგავსება, ასევე ბევრი სხვაობა. მამაკაცები დიდ სამუშაოს ასრულებდნენ ქუსლებსა და თითის ნვერებზე, ქალებისათვის კი ისეთი პარტიები იყო დადგმული, სადაც ფეხის სწრაფი მოძრაობაა საჭირო. ამ ბალეტში დასი ყველაზე თავისუფლად და ცოცხლად გამოიყურებოდა **(ჯოელ ლობენთალი, 29 თებერვალი, 2008).**

„სან-ფრანცისკოს ბალეტის ქორეოგრაფს იური პოსოხოვს ეკუთვნის „საგალობელი," რომელიც ქართულ ხალხურ მელოდიებზე დაიდგა. შედეგად მივიღეთ სურნელოვანი, მინიერი, ეთნიკური ნაზავი დოლისა და ფლეიტის მუსიკაზე. მან გამოიყენა ძლიერი მამაკაცურობისა და ნაზი ქალურობის კონტრასტი, რათა წარმოეჩინა განუმეორებელი ქართული სული. მათ ცეკვაში გვხვდება უეცარი მიმართულებების ცელილებები, მაღალი ნახტომები, რიტმული მოძრაობები. ქალების ნატიფი რიტმი უფრო დახვენილი აღმოჩნდა. მათი ხელების მოძრაობები ქმნიდნენ სილუეტების ჩრდილს უკანა ფარდის ფონზე. ეჭვგარეშეა, რომ სურდათ წარმოეჩინათ თბილისის მზის სითბო. პოსოხოვის ბალეტს ჰქონდა კარგი დასასწყისი, რომელიც გაგრძელდა მგრძნობიარე პა დე დეთი, რომლებსაც ცეკვავდნენ გოგუა და ახმეტელი. ამ დასის საქებრად უნდა ითქვას, რომ ძნელი წარმოსადგენია სხვა მოცეკვავეები, რომლებიც მიაღწევდნენ ასეთ ბალანსს სიმსუბუქესა და სიძლიერეს შორის, ქალურობასა და მამაკაცურობას შორის, ქართული მზით გამთბარი სამხრეთული ტემპებითა და სიყვარულით" **(ქრიტიკალ დანსი, 16 თებერვალი, 2008, კეტრინ პოვლიკი).**

„პროგრამის ნამდვილი სილამაზე იყო იური პოსოხოვის „საგალობელი", სადაც მკაფიოდ იგრძნობოდა მოცეკვავეების ფესვები. ეს ბალეტი ქართულ ნაციონალურ მუსიკაზეა შექმნილი. უკრაინაში დაბადებული ქორეოგრაფი იური პოსოხოვი, რომელსაც უმუშავია როგორც დიდი თეატრის საბალეტო დასთან, ისე სან ფრანცისკოს დასთან, აჩვენებს თუ როგორ შეიძლება შეერწყას ნაციონალური მუსიკა ბალეტის ტექნიკას და შეიქმნას დახვენილი სასცენო სურათი, რომელიც ხაზს უსვამს მამაკაცის სიმკაცრეს და ქალის ენებიანობას" **(ჰედი ვეის, chicago Sun-times, 10 მარტი 2008).**

„აღდგომიდან ამაღლებამდე“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ჩვენში, მაშინაც კი, როცა ათეისტური საბჭოეთი ენერგიულად ცდილობდა ყოველგვარი რელიგიური დღესასწაულების ამოშანთვას ადამიანის ცნობიერებიდან. ბევრი დაავიწყეს კიდეც, მაგრამ აღდგომის საფუძველი მაინც ვერ შეარყიეს. ბზობის შაბათს მაინც გვხვდებოდნენ ადამიანები ბზითა და ანთებული სანთლებით ხელში, წითელ პარასკევს მაინც იღებებოდა კვერცხები წითლად, აღდგომის კვირას კი გაისმოდა – ქრისტე აღსდგა! ამას ჩუმად ისინიც კი წარმოთქვამდნენ, ვინც ხმამაღლა ანტიქრისტესთან იყვნენ შეკრული. ყველაფერთან ერთად, აღდგომა ხომ გაზაფხულის, სიცოცხლის, იმედის სიმბოლოა.

ახლა აღდგომის დღესასწაული თავისუფლად სუნთქავს და ეს ირიკლა კიდეც ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. მას უკავშირდება ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რომელიც 2006 წელს დაარსდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და უკვე მესამე წელია ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდისა და აკაკი რამიშვილის საერთაშორისო ფონდის „ტრადიცია და ინოვაციას“ მიერ. ტრადიციულად, კონცერტების ციკლი იწყება აღდგომის პირველ კვირას თბილისში და სრულდება ამაღლების დღესასწაულზე საქართველოს რომელიმე რეგიონში.

წლევანდელი მესამე ფესტივალი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა, სვანეთში, სოფელ ლატალში დასრულდა ფოლკლორული კონცერტით. მასში მონაწილეობდა ლატალის გუნდი (ხელმძღვანელი ალექსანდრე გვეჩიანი) და ფოლკლორული ანსამბლი „შავნაბადა“ (ხელმძღვანელი დავით ცინცაძე). ეს განსაკუთრებული საფინალო აკორდი გამოდგა, რადგან ლატალელები ათწლეულების მანძილზე სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას – არც არავინ იწვევდა სტუმრად და არც არავინ სტუმრობდა მათ. „ძნელი წარმოსადგენია და კიდევ უფრო ძნელია გადმოსაცემად ის განწყობა, რომელიც ლატალში დაგვხვდა – ამბობს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი მარიამ (მანანა) დავითაშვილი. – ხალხი განუზომელი სიხარულით გვხვდებოდა. ქუჩებში ნამდვილი ზეიმი გეგონებოდათ. ყველა გარეთ იყო გამოსული და ცრემლნარევი, გაბრწყინებული თვალებით შემოგვცქეროდნენ. ამბობდნენ, რომ მონატრებულნი იყვნენ ხელოვანთა სტუმრობას, რომ უკვე არა ერთი ათწლეულია არავის გახსენებია მათი არსებობა. კონცერტზე ხომ ტევა არ იყო. ალბათ, ორი დღე შეუწყვეტლივ რომ გადაგვება კონცერტი, არავინ დაიძრებოდა ადგილიდან. აშკარად გამოჩნდა, რომ კულტურული ურთიერთობების აღდგენა ასეთი შორეული რაიონების, განსაკუთრებით მთის მოსახლეობასთან, აუცილებელია. მათთან საუბრისას, ხშირად, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი“.

მანამდე, ფესტივალის მონაწილენი გურჯაანს ეწვივნენ. შესანიშნავად მიიღეს გურჯაანელებმა ოპერის სოლისტი მზია დავითაშვილი და კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია, კონსერვატორიის სტუდენტი მარიამ ნაფყვია,

ფოლკლორული ანსამბლი „ლატალი“

პიანისტი ოთარ მაღრაძე, მსახიობი ვანო ხუციშვილი, ხალხური მომღერალი ლექსო გრემელაშვილი, რომლებსაც დიდებულად უმასპინძლა გურჯაანის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა პაატა და გიორგი გურგენიძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს რეგიონების სტუმრობა და სოფლად საერო, სასულიერო და პროფესიული ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა ამ პროექტის ერთი მხარეა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის განხორციელებაც დაისახა მიზნად ფესტივალმა, გახლავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ახალგაზრდა ხელოვანთა მონვევა და მათი შემოქმედების წარდგენა საშობლოში. ამ მხრივ წლევანდელი ფესტივალი, მართლაც, წარმატებული იყო, რაც ცხადყო პირველსავე კონცერტმა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, რომელიც ფესტივალის მუდმივი პარტნიორია. კონცერტი, ერთგვარად, მემორიალურ სახეს ატარებდა. პირველ განყოფილებაში პიანისტებმა ხატია ბუნიათიშვილმა, თამარ ლიჩელმა, მევიოლინე ირაკლი ცხადაიამ, ვიოლონჩელისტმა გიორგი ხარაძემ მხოლოდ იოჰანეს ბრამსის ნაწარმოებები

ლეო შიუკაშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „ქართველ მევიოლინეთა გალა-კონცერტი“

გიორგი ხარაძე

შეასრულეს. ვფიქრობ, ეს შემთხვევით არ შეარჩიეს ორგანიზატორებმა. ბრამსის კომპოზიციები შემსრულებლისაგან არა მარტო ტექნიკურ სრულყოფას, არამედ ღრმა მუსიკალურ აზროვნებას, დახვეწილ გემოვნებასა და კულტურას მოითხოვენ. თითოეული მათგანი ფლობდა ამ თვისებებს, რამაც მთელი კონცერტის მაღალი ესთეტიკური ხარისხი განაპირობა და, იმავდროულად, თითოეული მათგანის განსხვავებული მიდგომა და შემოქმედებითი ინდივიდუალობა გამოაჟღინა. ხატია და თამარი თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდნენ პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის კლასში და საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობენ საერთაშორისო სარბიელზე. ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი, 20 წლის ხატია ბუნიათიშვილი 6 წლიდან გამოდის ევროპის საკონცერტო ესტრადაზე. მისი არაერთი შესანიშნავი გამოსვლა მოუსმენიათ თბილისელებს. წელს იგი ისრაელში, რუბინშტეინის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. პირველივე ტურის შემდეგ აღფრთოვანებული რეცენზენტი წერდა მასზე: „დაიმახსოვრეთ ეს სახელი!" საერთაშორისო აღიარება არ აკლიათ ირაკლი ცხადაიასა და, განსაკუთრებით, პარიზის როსტროპოვიჩის სახელობის კონკურსის გრან-პრის მფლობელ გიორგი ხარაძეს, რომელიც უკრავს ისეთ უდიდეს მუსიკოსებთან, როგორებიც არიან გ. კრემერი, ი. ბაშმეტი, მ. პრესლერი, რ. პიდუ და სხვ. ეს საღამო ახალგაზრდა ქართველ შემსრულებელთა ოსტატობის უტყუარი გამოვლენა იყო.

ნიკა მემანიშვილი (გურამ წიბახაშვილის ფოტო)

მეორე განყოფილების დასაწყისში ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკა მემანიშვილმა დარბაზს ამცნო, რომ ორასი წლის წინ, 2 მაისს, პირველად აჟღერდა ბეთჰოვენის სამმაგი კონცერტი ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ჩელოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. და აი, ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ, 2008 წლის 2 მაისს ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება ამ თხზულების შესრულება ხატიას, ირაკლისა და გიორგის მიერ ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. კონცერტს დირიჟორობდა ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი, რომელმაც შეძლო ამ ურთულესი პარტიტურის სახოვნად წაკითხვა, ორკესტრისა და სამი მკვეთრად ინდივიდუალური ხელოვანის ერთიან სისტემაში მოქცევა და კონცერტის შეკრული, გამოკვეთილი ფორმით წარმოჩენა. ნიკამ, როგორც დირიჟორმა, პირადად ჩემთვის, პირველი სერიოზული გაანცხადი გააკეთა სულხან ნასიძისა და ალფრედ შნიტკეს პარტიტურების ინტერპრეტაციისას და, ვფიქრობ, შესძლებს იმ უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის სრულად რეალიზებას, რომელიც მასში უდავოდ იგრძნობა. ეს ამ კონცერტზეც გამოვლინდა. დარბაზის აღფრთოვანებული, მღელვარე რეაქცია იყო პასუხი შემსრულებელთა მიერ ბეთჰოვენისეულ დაუოკებელ ენერგიათა იმგვარი ელვარებით გამოხატვისა, რომელიც ახალგაზრდობის თვისებაა და იმ ოსტატობის დემონსტრირებისა, რომელიც მონიფულ მუსიკოსთათვისაა დამახასიათებელი.

ის, რომ საქართველოში ხელოვნებისადმი ინტერესი არ ნელდება არანაირი სოციალური პრობლემებისა და თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე კორექტივებისა თუ რეფორმების მიუხედავად, კიდევ ერთხელ დაადასტურა „ბავშვების ხელოვნებამ", რომლითაც გაიხსნა ფესტივალი თბილისის რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები „ლაშარელა", „რუსთავი", თბილისის №1 და №2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლების, თბილისის და ქუთაისის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები, პირველი ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის კამერული ანსამბლი და ორკესტრი, ბავშვთა ფოლკლორული თეატრი „ნაბადი"...

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე კი გაიმართა ვოკალური მუსიკის საღამო. კონცერტში მონაწილე ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორებიც არიან თეიმურაზ გუგუშვილი და სულხან გველესიანი, არ სჭირდებათ წარდგენა საქართველოში. კონცერტის დასაწყისში სულხან გველესიანის მიერ მძაფრი დრამატიზმით, ტემბრული ფერადოვნებითა და გამოკვეთილი სახეობრივი ნიუანსებით შესრულებულმა პროლოგმა, ლეონკავალოს „ჯამბაზებიდან", განსაზღვრა კონცერტის ხარისხი. თეიმურაზ გუგუშვილის მინდიას არიას თაქთაქიშვილის ოპერიდან, უკვე ჩვეული მეუხარე ოვაცია მოპყვა და კონცერტის ბოლოს მათ მიერ შესრულებული აბესალომისა და მურმანის დუეტით დაგვირგვინდა. მამაკაცთა ამ დუეტს მართლაც ამშვენებდა ქეთევან ქემოკლიძის მსუყე და ტემბრულად მდიდარი მეცოსოპრანო. თბილისის კონსერვატორიაში გულიკო კარიაულის აღზრდილმა, მილანის „ლა სკალას" თეატრთან არსებულ აკადემიაში დაასრულა სწავლა 2007 წელს. „სკალას" თეატრშივე შედგა მისი დებიუტი. მას შემდეგ ინტენსიურად გამოდის მსოფლიო საოპერო საცენებზე. იმ საღამოს მსმენელისათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ახალგაზრდა ვოკალისტ – „ლეგიონერებს" შორის ქეთევან ქემოკლიძე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა.

ქეთევან ქემოკლიძე – მეცო-სოპრანო

თბილისის კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა ფესტივალის ორ კონცერტს

უმასპინძლა. აქ გაიმართა ედიშერ სავიცკის კლავირაბენდი, რომელიც ძალზედ რთული და მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა – მოცარტის, სკრიაბინის, პროკოფიევის სონატები და ფრანკის პრელუდია, ქორალი და ფუგა... თბილისის კონსერვატორიიდან, სადაც ნანა ხუბუტიასთან მეცადინეობდა, ამერიკაში, ლექსო თორაძის კლასში გადასული ედიშერი პირველად გამოდიოდა თავის ქალაქში სოლო კონცერტით. ახალგაზრდა მუსიკოსი ამას ძალზედ საპასუხისმგებლოდ მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სერიოზული საგასტროლო ტურნეები გამართა სხვადასხვა ქვეყანაში, მაინც თვლის, რომ შინ დაკვრა სულ სხვაა...

ლიანა ისაკაძე

ედიშერ სავიცკის პიანიზმის თავისებურება, პირველ ყოვლისა, ბგერით პალიტრასთან მიმართებაში გამოვლინდა. იგი საოცრად გრძნობს კომპოზიტორის სტილს, ფორმას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აკუსტიკურ სფეროზე ამახვილებს და სრულიად განსხვავებულ სონორულ ატმოსფეროს ქმნის სკრიაბინისა და პროკოფიევის ოპუსების ინტერპრირებისას, რომელიც არა გარეგნული ეფექტიდან, არამედ ნაწარმოების სილრმისეული გააზრებიდან იბადება.

პიანისტი ედიშერ სავიცკი

ამ პრინციპმა თვით მოცარტის ფა მაჟორულ სონატაშიც იჩინა თავი, მაგრამ ისე, რომ არ დარღვეულა კლასიკური ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტონაციური სისადავე და სიმკვეთრე. კონცერტმა ცხადჰყო, რომ გამოჩნდა კიდევ ერთი საინტერესოდ მოაზროვნე, საკუთარი სტილის მაძიებელი ქართველი მუსიკოსი.

ამ ფესტივალს კიდევ ერთი თავისებურება აქვს. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი – კონსულტანტი ყოველ წელს იცვლება. პირველ ფესტივალზე – ახალგაზრდა პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი იყო, გასულ წელს ეს საპატიო მისია კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძეს ხვდა. წლევანდელ ფესტივალს კი უდიდესი მევიოლინე ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობს. ფესტივალის თბილისური ბლოკი სწორედ „ქართველ მევიოლინეთა გალა-კონცერტით" დასრულდა. თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, რომელშიც ლიანა ისაკაძე მონაწილეობდა. კონცერტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო.

საციოლინო მუსიკის საღამო ქართული საციოლინო სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი ნარმომადგენლისა და პედაგოგის ლეო შიუკაშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა და კონცერტიც მისი მოსწავლეების მონაწილეობით დაიგეგმა. მაგრამ პირველმა განყოფილებამ იმედები გაგვიცრუა. ზაზა ფურცელაძის (ივ ფურსელის) გამოსვლა, რომლის საკმაოდ სერიოზულ მიღწევებს გვამცნობს ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად, სცენაზე დამწყები მოყვარული მევიოლინე იდგა. რასაკვირველია, მისასალმებელია ახალი სახელების მოძიების სურვილი ქვეყნის გარეთ, მათი სტიმულირება. მაგრამ ივ ფურსელი არც ისე ახალგაზრდაა, რომ მისი მომავალი შემოქმედებითი ზრდის იმედი გვქონდეს. სიტუაციის „გამოსნორებას" შეეცადნენ ნინო მელიქიშვილი, რომელიც ამჟამად პარიზში მოღვაწეობს და განსაკუთრებით, გიორგი ბაბუაძე, რომელიც იაპონიაში კანსაის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტმაისტერია და პარალელურად ეწევა სადირიჟორო მოღვაწეობას. მაგრამ პირველი შთაბეჭდილების განელება მაინც ვერ მოხერხდა, რაც მსმენელის რეაქციას აშკარად ეტყობოდა.

მეორე განყოფილებაში ლიანა ისაკაძისა და კონსტანტინე ვარდელის გამოჩენამ სრულიად შეცვალა დარბაზის განწყობა. სცენაზე ორი დიდი მუსიკოსი იდგა. თუმცა ამჯერადაც იყო სასიამოვნო მოულოდნელობა – საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის პირველი ვიოლინო – კონსტანტინე ვარდელი თავისი ანსამბლის გარეშე, სოლისტის რანგში უნდა მოგვესმინა. აღელდა ვიოლინოების დუეტი ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებით და დაიწყო ნამდვილი მუსიკირების პროცესი, აღსავსე ბახისეული მუსიკის სილრმით, პოლიფონიური ფაქტურის უნყვეტი მდინარებით, ფიქრით, აზრით დატვირთული, ანუ ის, რაც მხოლოდ მუსიკოს-დიდოსტატებს ხელეწიფებათ. ჩვენ, მსმენელები დავბრუნდით მაღალი მუსიკის სამყაროში და შედგა ამ ფესტივალისათვის ჩვეული ჭეშმარიტი მუსიკის ზეიმი.

კონცერტის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ლოჟაში იხმო ლიანა ისაკაძე, დალოცა სრულიად საქართველო, ქართული ხელოვნება, ყველა ქართველი ხელოვანი და ცხადია, თვით ლიანა ისაკაძე. კიდევ ერთხელ ნარმოსთქვა „ქრისტე აღსდგა" და დატოვა კონსერვატორია. ქალბატონი ლიანა კი ისე გაუჩინარდა, ვერავინ შენიშნა. „უწმინდესთან შეხვედრისას ისეთი ემოცია დამეუფლა, ისეთი სიმშვიდე ვიგრძენი, რომ არავისთან არ შემეძლო ურთიერთობა ჩემი ვიოლინოს გარდა" – ბრძანა ქალბატონმა ლიანამ მეორე დღეს.

მანანა კორძაია

კონცერტი სვანეთის სოფელ ლატალში

„გვახსოვდეს, რომ ჩვენს გვერდით არის მედეა ამირანაშვილი!"

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმმა შეხვედრა მოუწყო სახელოვან მომღერალს, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატს – მედეა ამირანაშვილს. შეხვედრა – კონცერტი ფაქტობრივად დაამთხვიეს მის დაბადების დღეს. ახლობლებისა და კოლეგების ვინრო წრეში კიდევ ერთხელ გადმოიშალა ქართული საოპერო თეატრის ცხოვრების ის ღირსშესანიშნავი პერიოდი, რომელსაც მედეა ამირანაშვილის მოღვაწეობა უკავშირდება. შეხვედრა-კონცერტს უძღვებოდა ასევე ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, სასიქადულო მომღერალი და პიროვნება, ბატონი ნოდარ ანდღულაძე, რამაც განსაკუთრებული შთამბეჭდაობა შესძინა საღამოს. აყღერდა ჩანაწერები მედეა ამირანაშვილის შესრულებით. თავად ქალბატონი მედეას სურვილი გახლდათ შეხვედრა-კონცერტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ყოფილიყვნენ ახალგაზრდა მომღერლები, მომავალი თაობა, რომ გამომზეურებულიყო არამხოლოდ ქალბატონი მედეას პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგი, არამედ კოლეგებისაც. ამგვარად, საღამოზე ოპერის თეატრის სოლისტებთან – მარინა დარულავასთან (მედეა ამირანაშვილის ქალიშვილი) და ირინა რატიანთან (მედეა ამირანაშვილის აღზრდილი) ერთად წარსდგნენ ახალგაზრდა მომღერლები: თეონა დვალი (პროფესორ გულიკო კარიაულის კლასი), ალუდა თოდუა (პროფესორ ელდარ გეწაძის კლასი) და მარიკა მაჩიტიძე (პროფესორ მედეა ამირანაშვილის კლასი).

შალვა დავითაშვილი – კომპოზიტორი, ზაქარია ფალიაშვილის სახლ- მუზეუმის დირექტორი:

ვანახლებთ შეხვედრა კონცერტების ციკლს – „ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატები". პირველი შეხვედრა გახლავთ მას შემდეგ, რაც განვაახლეთ ექსპოზიცია და გამოვფინეთ ფალიაშვილის პრემიის ლაურეატთა სტენდი. ამჯერად არ მოხერხდა ყველა ლაურეატის მოთავსება, ამიტომ სტენდზე არიან მხოლოდ ისინი, ვინც უშუალო წვლილი შეიტანა ფალიაშვილის შემოქმედების პროპაგანდა-პოპულარიზებაში.

მედეა ამირანაშვილი ქართული ეროვნული სკოლის სიამაყე და მშვენებაა. მე იგი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისიდანვე მახსოვს. ეს გზა სულ კრეშჩენდოთი მიდიოდა. სხვანაირად ასეთ შედეგს ვერც მიაღწევდა, ვინაიდან როგორც ელენა ობრაზცოვამ ბრძანა: ვოკალისტობა არის ბედნიერებაც და ამავე დროს ცხენეც. ბედნიერებაა იყო შვილი ისეთი მშობლების, როგორებიც იყვნენ პეტრე ამირანაშვილი და ნადეჟდა ცომაია. ალბათ, უფრო დიდი ბედნიერებაა მიაღწიო ასეთი მშობლების სიმაღლეს. მახსოვს, რა ზეიმი იყო ჩვენს საოპერო თეატრში, როდესაც ერთად მღეროდნენ პეტრე და მედეა ამირანაშვილები. ახლა ხელში მიჭირავს შემონახული პროგრამა სპექტაკლ „პიკის ქალისა", სადაც ელეცკის პარტიას ასრულებს პეტრე ამირანაშვილი – სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, გრაფინიას – ნადეჟდა ცომაია – საქართველოს სახალხო არტისტი, ხოლო პრილეპას – მედეა ამირანაშვილი, ჯერ ყოველგვარი ტიტულების გარეშე. ამ პროგრამას გადაეცემ ქალბატონ მედეას.

თამარ ნულუკიძე – მუსიკისმცოდნე, შეხვედრა-კონცერტის ორგანიზატორი:

შემთხვევითი არ არის, რომ ლაურეატთა სტენდის გამომზეურების შემდეგ პირველ შეხვედრას ვანყობთ მედეა ამირანაშვილთან., ვინაიდან იგი გახლავთ ამ პრემიის ერთ-ერთი პირველი მფლობელი.

ეს იყო 1971 წელს, ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლის თავზე გადაწყდა დაარსებულიყო კომპოზიტორის სახელობის პრემია. ამის ინიციატორი გახლდათ კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე. სხვათა შორის, საქართველოში რუსთაველის პრემიის შემდეგ ეს იყო პირველი სახელობითი პრემია. პირველი ლაურეატები გახდნენ ქუთაისის საოპერო თეატრის გახსნითი სპექტაკლის – „აბესალომ და ეთერის" მონაწილენი: პეტრე ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი და მუსიკისმცოდნე ლადო დონაძე – მონოგრაფიისათვის – „ზაქარია ფალიაშვილი". ზემოხსენებულ მომღერლებს პრემია მიენიჭათ ქუთაისის საოპერო თეატრის გახსნაში მონაწილეობისათვის და საერთო ღვაწლისათვის ქართულ საოპერო ხელოვნებაში. აქ ისეთი საზოგადოებაა შეკრებილი, ვისთვისაც კარგად არის ცნობილი ქალბატონი მედეას ღვაწლი და დამსახურება. მან თავის თანამოსაგრე დიდებულ მომღერლებთან ერთად შექმნა უმნიშვნელოვანესი ეპოქა ქართული საოპერო თეატრის ისტორიაში და ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ამ მომღერალთა თანავარსკვლავედის რამდენიმე წარმომადგენელი დღეს ესწრება ამ საღამოს. აქ ბრძანდებიან ბატონი ნოდარ ანდღულაძე, ბატონი თენგიზ მუმკუდიანი, ქალბატონი ცისანა ტატიშვილი...

ერთ-ერთი თვისება, რაც წლების მანძილზე გამოარჩევდა: იგი იმდენად ისწრაფოდა მრავალფეროვნებისაკენ, არ სჯერდებოდა მხოლოდ ლირიკული სოპრანოს რეპერტუარს და ეუფლებოდა დრამატული და კოლორატურული სოპრანოს პარტიებს. ამიტომაც ძალზე ერცელი და მდიდარია მის მიერ შექმნილ სცენურ სახეთა ნუსხა, აქ გამოვლენილი სხვადასხვა ინდივიდუალური თვისებები გადმოსცემდნენ მოლერლის ფართო შესაძლებლობებს. ასე, ათეული წლების მანძილზე მსმენელ-მაყურებელს ხიბლავდა მისი – მადამ ბატერფლაი და ეიოლეტა, მიმი და ტოსკა, აიდა და ლეონორა, მარფა, ტატიანა და იოლანტა, მარგარიტა და ნედა, ყველას ვერც ჩამოვთვლით.

საგანგებოდ შევჩერდებით მის მონაწილეობაზე ქართულ ოპერებში. მის შემოქმედებით ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ზაქარია ფალი-

ამშვილის ოპერათა გმირებს. მარების პარტიით იწყება მედეა ამირანაშვილის სცენური ბიოგრაფია კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის სცენაზე. მას შემდეგ იგივე ოპერაში უკვე ოპერის თეატრის სცენაზე წლების განმავლობაში ეთერის როლს განასახიერებდა. ამირანაშვილისეული მარო კი „დაისიდან" ამ გმირის ერთ-ერთ ელვარე განსახიერებად იქცა. მის მიერ შესრულებული მაროს ტირილის შესახებ ანტონ წულუკიძის სიტყვების ციტირებას მოვახდენთ: „ამ არიას მედეა მღერის თავისებურად; იგი არ იმეორებს ჩვეულებრივ მიღებული მგრძნობიარე ინტონაციების ბაზგასმას, არამედ მღერის საკუთარი გაგებით – მკაცრ ფორმებში, თანმიმდევრულად მზარდი დინამიკით, რითაც მის მიერ შესრულებული მაროს ტირილი საკმაოდ მონუმენტურ შთაბეჭდილებას სტოვებს."

მის ქართველ სცენურ გმირთაგან გამოვარჩევთ მზიასა (ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია") და ლელას (რევაზ ლალიძის ოპერიდან „ლელა"). ეს ოპერები პირობას უქმნიდნენ მომღერლების კიდევ სხვა შესაძლებლობების გამოვლენას ეროვნული მუხტის თვალსაზრისით. თავის მხრივ შემსრულებლებმაც არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მათ აღიარებაში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, „მინდიას" ბრწყინვალე წარმატება უკავშირდება ზურაბ ანჯაფარიძის, პეტრე ამირანაშვილის, მედეა ამირანაშვილის განუმეორებელ ტრიოს. – ეს ის ტრიოა, რომელიც დასაწყისშიც ვახსენეთ – ქუთაისის საოპერო თეატრის გახსნის მონაწილენი და ზაქარია ფალიაშვილის პრემიის პირველი ლაურეატები.

ნოდარ ანდღულაძე – საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი: ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაკავშირებს მედეას და მე. მედეა ჩვენს დარგში, ვოკალის სფეროში ცოცხალი კლასიკოსია. ბოლო ხანებში კლასიკას ძალიან უტევენ. უტევენ კლასიკასა და კლასიკურ შემსრულებლობას ყოველი მხრიდან – მოდერნისტები, არქაისტები. და მაშინ, როდესაც ჩვენს სინამდვილეში არსებობს ისეთი ფენომენი, როგორიც არის მედეა ამირანაშვილი, კლასიკას ძნელად თუ ვინმე მოერევა. მედეა იცავს კლასიკას თავისი ოსტატობით, თავისი შემოქმედებით. საიდან მოდის მისი კლასიკურობა? რა თქმა უნდა, პირველ რიგში მშობლებისგან. მახსოვს, ლილე კილაძესთან რომ გადავდიოდი, სადარბაზოში მეექვსე სართულიდან ისმოდა, ნადია როგორ ამღერებდა მედეას გამებს. მაშინ ის ჯერ სტუდენტიც არ იყო, სულ პატარა გოგონა იყო. მის მერე სანდრო ინაშვილის სკოლა, შემდეგ შულგინა...

1958 წლის ქართული ხელოვნების დეკადის ნინ ოპერის თეატრის დირექტორმა დიმიტრი მჭედლიძემ მოიყვანა მანამდე, ასე ვთქვათ, გაძევებული ნინა ვალაცი – დედით ქართველი, მამით იტალიელი, იტალიური სკოლის ჩემთვის ერ-ერთი საოცარი წარმომადგენელი, რომლის ბადალიც ძალიან ცოტა მომისმენია. ის მანმდე ბაქოში გახლდათ და ბატონმა დიმიტრიმ მოინვია საგანგებოდ ახალგაზრდა ქალებისათვის, რათა მათთვის კონსულტაცია გაეწია. ნინა ჩვენს ოჯახს დაუახლოვდა და ხშირად გვსტუმრობდა ხოლმე. არ დამავიწყდება მისი დახასიათება რამდენიმე ქართველი გოგონასი, ზოგიერთზე ამბობდა: საკვირველი, სნორუპოვარი ხმა აქვს, მაგრამ სულელია.... მედეაზე კი ამბობდა: ეს საოცარი ნიჭის მომღერალია. ახლაც თვალნინ მიდგას ამას რომ გვეუბნებოდა ჩაის სმის დროს. ჯანა უკვე წასული იყო, როდესაც მედიკო მოვიდა ჩვენთან- მამასთან და მოასმენინა იმ დროს მომზადებული მაროს პარტია, მას ეს ჯერ არ ჰქონდა ნამღერი. დამიჯერეთ, დღესაც ყურში მაქვს ყველა ნოტი. ეს იყო საოცრება! ახალგაზრდა მომღერალი ასეთი სრულყოფილებით ფლობდეს ვოკალურ პარტიას, გადმოსცემდეს გმირის სახეს, მთელ პალიტრას, ასეთი სიზუსტის, სინატიფის ბგერას. აი, ამას ვგულისხმობდი, როდესაც კლასიკაზე ვსაუბრობდი. ეს არის კლასიკური ხაზი, რაც, ჯერ კიდევ ცოტათი ბოგინობს ჩვენს კონსერვატორიაში, ოპერის თეატრში კი, სამწუხაროდ, თითქმის დაკარგულია, თუ არ ჩავთვლით, ერთ-ორ მომღერალს.

და აი, არის 1958 წლის თებერვალი, ერთი-ორი თვით ადრე დეკადამდე. სამწუხაროდ, ოპერის დირექციას და სპექტაკლის ხელმძღვანელობას არ ეყო გამბედაობა დეკადაზე ახალგაზრდა მომღელისთვის მიენდო ეს პარტია.

აქ ითქვა, რომ მედეა ეუფლებოდა არამხოლოდ ლირიკული, არამედ დრამატული და კოლორატურული სოპრანოს პარტიებს. მე სწორად არ მიმაჩნია ამგვარი დიფერენციაცია. ორელი ამბობდა: – ჩემზე მხოლოდ თქვით, რომ ვარ ტენორი და მეტი არაფერი.

აქ ასევე ითქვა ჩვენი თაობის მომღერლების განსაკუთრებულობის შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას ვიხდი. ჩვენ, მართლაც, სხვა თაობა ვიყავით. ერთმანეთისგან ძალიან ბევრს ვსწავლობდით. პირადად მედეასგან ძალიან ბევრი ვისწავლე. მასთან სიმღერა იყო ჩემთვის დიდი დღესასწაული, დიდი სიამოვნება იყო, როდესაც მის ხმას შევყვებოდი. ახლა მედეა თავად ძალზე წარმატებულად მოღვაწეობს, როგორც პედაგოგი და მე ვურჩევდი ვოკალისტთა ახალ თაობას, მომავალ თაობას, გაითვალისწინონ, რომ მათ გვერდით არსებობს მედეა ამირანაშვილი.

ცისანა ტატიშვილი:, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი: XX საუკუნეში მედეა ამირანაშვილისთანა მომღერალი არ გვყოლია. საერთოდ, ჩვენი თაობა, სულ სხვა თაობა იყო. რა მომღერლები გვყავდა! ეს იყო ოპერის თეატრის ოქროს ხანა და ამას ქმნიდნენ ის მომღერლები, რომლებიც „ოქროს ფონდს" წარმოადგენდნენ. ვრთავ ადრინდელ ჩანანერებს და ვგრძნობ, ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი მათ გვერდით. როდესაც ახლანდელ მომღერლებს ვისმენ, სულ ვფიქრობ, ნეტავ ვინმე იმათგანს მაინც დამსგავსებოდნენ! ვუსურვებ ჩვენს საოპერო თეატრს, ჩვენს საოპერო ხელოვნებას, გამოჩნდებოდეს ისეთი მომღერალი, როგორიც იყო და არის მედეა ამირანაშვილი.

თენგიზ მუშკუდიანი, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი: აქ ბევრი რამ ითქვა მედიკოზე და კიდევ ბევრი ითქმება. მეც იგივე უნდა გავიმეორო, რომ ბედნიერი ვარ, რომ იმ პერიოდში მომიხდა სწავლა, შემოქმედებითი შრომა, როდესაც ის მოღვაწეობდა. რაც მედეამ იმოღვაწა, ეყოფა ბევრ მომღერალს, შეიძლება ითქვას, თაობებს. ამიტომ ისღა დამრჩენია, ვუსურვო მედიკოს ხანგრძლივი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და წარმატებები პედაგოგიკის სფეროში.

ილარიონ ჭეიშვილი, ვიოლონჩელისტი, პროფესორი: მახსოვს, მედეას შემოქმედებითი გზის დასაწყისი. როგორ იზრდებოდა იგი, როგორ იხვეწებოდა მისი ხმა, თითქოს ამომავალი მზე მიდიოდა კოსმოსისაკენ. სულ მიკვირდა როგორ კითხულობდა იგი ტექსტს და მუსიკას, ზოგჯერ

უტექსტოს, რომლის მეშვეობით ზოგჯერ უფრო მეტს იტყვის ადამიანი. მიკვირდა მასში გმირთა ის განსაბიერება, რაც უნდა ჰქონდეს დრამატულ მსახიობს. ეს იშვიათი მოვლენა იყო. ჩვენ ამ მოვლენის მოწმენი ვიყავით და დიდი მადლობა მას ამისთვის.

სვეტლანა ქეცბა, მუსიკისმცოდნე: ამ საღამოს ჩვენ მოწმენი გავხდით უამრავი ცრემლის, რაც ახლდა მედეას ჩანაწერების მოსმენას. ჩემი აზრით, ეს გამოიწვია არამხოლოდ იმან, რომ მედეა ამირანაშვილი ფლობს იშვიათ ხმას, არამხოლოდ იმან, რომ ის არის თავისი მშობლების შვილი და რომ არაჩვეულებრივი ატმოსფეროა მის გარშემო, არამედ უწინარესად იმან, რომ მას აქვს მეტად მგრძნობიარე და მხურვალე გული. მას ხელეწიფება გულითა და გონებით ჩაწვდეს იმას, რასაც ფლობს, უწინარესად სახეებს, რომელთაც ის ქმნის. მაგალითად, ვერ დავივიწყებ, როგორ გადმოსცემდა მარფას სახეს, რა არაჩვეულებრივი გულწრფელობა იყო მის სიმღერაში.

არ შემიძლია არ გავიხსენო ის ძნიმე წუთები ჩემს ცხოვრებაში, როდესაც აფხაზეთიდან აქ აღმოვჩნდი ჩემს ოჯახთან ერთად, უარაფროდ. მაშინ მედეამ საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა. მას შეუძლია სითბოს გაცემა ისეთ დროს, როდესაც ეს ადამიანს ყველაზე მეტად ჭირდება

მარინა მაჭავარიანი – ანჯაფარიძე, პუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლე: იმდენჯერ ახსენეს აქ ზურაბ ანჯაფარიძე, არ შემიძლია მეც არ გამოვხატო ჩემი გრძნობები. მედეა იყო ზურიკოს უსაყვარლესი მეგობარი, არაჩვეულებრივი პარტნიორი. ზურიკოს გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ოჯახის მეგობარი და პატარა ზურიკოს პატრონი, არაფერი გამოეპარება მასთან დაკავშირებით, ყველაფერს დანვრილებით კითხულობს.

ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვიკრიბებით. აქ ბრძანდება ჩვენი საამაყო პაატა ბურჭულაძის დედა – ქალბატონი ნუნუ, რომელსაც აქვს ქალთა კლუბი. მისი პრეზიდენტი მედეაა. მე ვთავაზობდი მედეას დახმარებას, ვიცეპრეზიდენტის ამპლუაში, მაგრამ ასე მომიგო: – შენ შენი ფონდიც გეყოფა.

მახსენდება ზურიკოს გარდაცვალება, რამდენი რამე გახდა საჭირო, მითუმეტეს ეს იყო ურთულესი პერიოდი. სწორედ მაშინ მედეა გაგვიძღვა წინ მე და ზურიკოს და გაგვეინათა გზა.

გულნარა ჩაფიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი: მედეა საოცარი მომღერალი იყო და არის. მე იგი ქალღმერთად მყავს წარმოდგენილი.

მედეა ამირანაშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, შეხვედრა-კონცერტის მთავარი გმირი:

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ყველას დღევანდელი საღამოსათვის, იმისათვის, რომ თვალნინ გადამიშალეთ ჩემი ახალგაზრდობა, საუკეთესო წლები. დიდი მადლობა ამ საღამოს მომწყობთ, მონაწილეთ. ბედნიერი ვარ დღევანდელი ახალგაზრდა მომღერლების მოსმენის შემდეგ, მინდა მივულოცო, მათ აქვთ დიდი მომავალი და პერსპექტივა. ყველას დიდი მადლობა!

ქართული ხელოვნება საზღვარგარეთ

მარლენ დიტრიხი გერმანიაში მიემგზავრება

13 ივნისს საქართველოდან გერმანიაში საკმად წარმომადგენლობითი დელეგაცია გაემგზავრება. აქ, ფრანკფურტში ხუთი დღის განმავლობაში საქართველოს დღეები გაიმართება. მრავალფეროვანი პროგრამიდან გერმანელების განსაკუთრებულ ყურადღებას ალბათ მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, „მარლენ დიტრიხი" შეიპყრობს. ცნობილი მომღერლისა და მსახიობისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, ბევრი გერმანელი მარლენ დიტრიხის პიროვნებისადმი კვლავ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მსახიობ ეკა კახიანის ჩვენთან საუბარში გამოთქმული აზრი იმის შესახებ თუ რამდენად საპასუხისმგებლოა გერმანიაში, გერმანელებისთვის წარმოადგინო ასე ცნობილი და საყვარელი პიროვნება.

სპექტაკლი „მარლენ დიტრიხი" უკვე ორი წელია წარმატებით მიდის თბილისში. ალბათ ბევრს ახსოვს ის დიდი წარმატება და აღიარება, რომელიც მან გასულ წელს ედინბურგის ფესტივალზე მოიპოვა. ფესტივალის საიტზე დაინტერესებულთ შეუძლიათ პროფესიონალების თუ უბრალოდ ამ ჟანრის მოყვარულთა მრავალი კომპეტენტური რეცენზია და აღტაცებული გამოხმაურება მოიძიონ, რომელიც მათ „მარლენ დიტრიხის" ედინბურგის სცენაზე ხილვის შემდეგ გამოხატეს.

ამგვარად, არა მხოლოდ საქართველოში აღიარებული, „მარლენ დიტრიხი" უცხოელ მაყურებელთან შეხვედრისათვის ემზადება, ახლა უკვე მსახიობის სამშობლოში. სპექტაკლის მთელი კოლექტივისათვის, განსაკუთრებით კი მთავარი როლის შემსრულებელ ეკა კახიანისათვის მარლენის სამშობლოში გამოსვლა ძალზედ საპასუხისმგებლოა. იქ მოპოვებული წარმატება განსაკუთრებით ფასეული იქნება სპექტაკლის თითოეული მონაწილესათვის.

თბილისის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელოვნებო VI სკოლა – 90

კულტურა, ეს პირველ ყოვლისა, ტრადიციებია, რომლის უნყვეტობა სანინდარია როგორც მისი ხარისხის, ისე განვითარების. საბედნიეროდ, საქართველოში პროფესიულ სამუსიკო განათლებას საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა არაერთი მდიდარი ტრადიციების მქონე საგანმანათლებლო კერა, რომელთა შორისაა VI სამუსიკო სკოლა.

ამჟამად უკვე ხელოვნების VI სკოლა. ეს ის მდიდარი ტრადიციების სკოლაა, რომელიც სათავეს XX საუკუნის დასაწყისში ილებს და დღემდე ნარმატებულია. ამ სკოლამ ბევრი ქარ-ცეცხლი გამოიარა – 1930-იანი ნლები, მეორე მსოფლიო ომის და ომის შემდგომი პერიოდი, 90-იანი ნლები – ძველის ნგრევისა და ახლის შენების პერიოდი და ბოლოს, იგი XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების „სეკვესტრსაც" გადაურჩა...

XX საუკუნის დასაწყისში, დაარსდა მუსიკალური სტუდია, რომელიც მოგვიანებით VI სამუსიკო სკოლად გადაკეთდა. იგი უამრავი პრობლემის წინაშე იდგა. მას არ ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არც შენობა. პედაგოგებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, გაკვეთილების ჩატარება სახლში უწევდათ. 90-ნლიანი ისტორიის მანძილზე თანდათანობით ხდებოდა პრობლემების დაძლევა, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. მხოლოდ 1948 ნელს გადაეცა საკუთარი შენობა. დღეს სკოლას, სასწავლო პროცესისათვის ყველა საჭირო კომპონენტთან ერთად, შესანიშნავი ბიბლიოთეკა და ფონოთეკაც აქვს. ასე თანდათანობით იდგამდა ფეხს იპოლიტოვ-ივანოვის VI სამუსიკო სკოლა, რომელშიც დიდი ნვლილი მიუძღვის არაერთი თაობის მუსიკოს-პედაგოგს და სკოლის ხელმძღვანელობას (ელენე გედევანიშვილი, ლალი ზურმუხტაშვილი, არჩილ გამცემლიძე, რომელიც 40 ნელი ხელმძღვანელობდა სკოლას; პედაგოგები: მ. ზომერი, ზ. მირზაშვილი, ე. ტერ-გრიგორიანი, მ. გედევანიშვილი, ა. რუდენკო, ბ. ლუბლინსკაია და სხვა მრავალი).

დამსახურებული პედაგოგები:
მედეა ნიჟარაძე, ლეილა თოფურიძე, ომარ გვეტაძე.

2002 ნლიდან სკოლას სათავეში ჩაუდგა ლია ჩხეიძე, რომლის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ სკოლისადმი

მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ლეილა თოფურიძე, თამილა კარტოზია, მარინა ხოტაურაშვილი; დგანან: გულიკო ჯომარდიძე, ნატო დანდურიშვილი.

დირექტორი ლია ჩხეიძე მოსწავლეებთან ერთად: თორნიკე მაჩაიძე, ინსტრუმენტთან მარცხნივ: ნატა ომნაძე მარჯვნივ ეკა ქელეძე

თვალნათლივ იგრძნობა სასწავლო პროცესის განახლებაში, ყველა სასიკეთო ნამონყების მხარდაჭერასა თუ ხელშეწყობაში. თუმცა ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მისი პროფესიული ცხოვრება კონსერვატორიის დამთავრებისთანავე VI სამუსიკო სკოლას დაუკავშირდა. იგი ნლების მანძილზე ამ სკოლის პედაგოგი იყო, შემდეგ სასწავლო ნანილი, ამჟამად კი სკოლის დირექტორია. მას ყველა წამონყებაში გვერდში უდგას სასწავლო ნანილის გამგე ლია ბახტაძე, რომელიც ხანგრძლივ პედაგოგიურ და საკონცერტმაისტერო მოღვაწეობას ეწევა. სწორედ მათი ხელმძღვანელობის დროს ძველისძველ შენობას ჩაუტარდა მაღალი ხარისხის რემონტი. დღეს ყველა აღფრთოვანებას გამოხატავს ამ შესანიშნავი შენობის ხილვისას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს VI სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელთა ნვლილი იმაში, რომ როდესაც ზემოაღნიშნული რეფორმის შედეგად ასევე საუკეთესო ტრადიციებისა და დიდი ისტორიის მქონე შ. ასლანიშვილის სახელობის V სამუსიკო სკოლა მთლიანად შეუერთეს VI სკოლას, ამ მტკივნეულმა პროცესმა მაქსიმალურად მშვიდად ჩაიარა. უფრო მეტიც, მათ შეძლეს სრულად შეენარჩუნებინათ V სამუსიკო სკოლის პედაგოგთა მთელი კოლექტივი, რაც ამ სკოლის ხელმძღვანელობის არა მხოლოდ ტაქტსა და გულისხმიერებას მიანიშნებს, არამედ მათ შორსმჭვრეტელობას და საქმისადმი სიყვარულს – V სამუსიკო სკოლის ბრწყინვალე პედაგოგიური კოლექტივი, საფორტეპიანო თუ თეორიული განყოფილების პედაგოგთა საუკეთესო პლეადა (დირექტორები: მიხეილ ყანჩელი, თემურ კობახიძე, ეთერ კილაძე, ტერეზა არონიშიძე, გომარ სიხარულიძე, თემურ კიკნაძე, ომარ გვეტაძე, რომელიც დღეს პედაგოგად აგრძელებს მუშაობას; პედაგოგები: ნატალია სოლოვეიჩიკი, ტატიანა ტერ-კაზარიანი, ლალა სვიმონიშვილი, ანტონინა კოსარევა, თამარ გვეტაძე, ვასილ ლაბაძე, მედეა ნიჟარაძე, ლერა ხარბედია, ნუნუ ბერძენიშვილი, ნათელა გულდამაშვილი, ლეილა თოფურიძე და სხვ. მრავალი) ხომ წარმატების კიდევ ერთი სანინდარია. ეს იყო, მართლაც და, საუკეთესო ტრადიციების მქონე სკოლა, მაღალი პროფესიული დონის თეორიული და საფორტეპიანო განყოფილებებით. პედაგოგებმა ვასილ ლაბაძემ და თამარ გვეტაძემ შესანიშნავი თეორიული კლასი შექმნეს. ისინი მუდამ ზრუნავდნენ სასწავლო პროცესის განახლებაზე. თამარ გვეტაძემ სოლფეჯიოს სწავლების პროცესში არაერთი სიახლე დანერგა, მისი გაკვეთილები მოსწავლეთათვის ნამდვილი

საფორტეპიანო განყოფილება

დღესასწაული იყო, ხოლო ძველი თუ ახალი თაობის პიანისტ-პედაგოგებმა მრავალი შესანიშნავი შემსრულებელი თუ მუსიკოს-პედაგოგი აღუზარდეს ქვეყანას. სამწუხაროა, რომ ეს თვითმყოფადი, ხანგრძლივი ისტორიისა და ტრადიციების მქონე სკოლა ასე ერთი ხელის მოსმით, მავანთა და მავანთა მერკანტილურ ინტერესებს შეეწირა. ვეჭვობ, ვისაც ამ სკოლის გაუქმებაში „ნვლილი" მიუძღვის, იცოდეს ან შალვა ასლანიშვილის, ვის სახელსაც ატარებდა ან უკვე გაუქმებული სკოლა, ან ამ სკოლის ფასი, ან კიდევ ის მადლი, რომელიც ამ სკოლის თითოეულმა პედაგოგმა თითოეულ მოსწავლეს, თაობებს ჩაუნერგა. გულდასამშვიდებელი მხოლოდ ისაა, რომ სკოლა, თავისი პოტენციალის და ადამიანური რესურსების სრულ განადგურებას გადაურჩა... ამ ორი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული კოლექტივის თანაარსებობა შედგა. ამის შემდეგ სკოლა ხელახლა დაფუძნდა, ახლა უკვე, როგორც VI სახელოვნებო სკოლა.

ტრადიციულ განყოფილებებთან (საფორტეპიანო, სიმებიანი, ჩასაბერი ინსტრუმენტები და საგუნდო-ვოკალური, საეტრადო, გიტარის კლასი), VI სკოლაში გაიხსნა ახალი განყოფილებები: სახვითი განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას ახალგაზრდა, ნიჭიერი პედაგოგი თამარ კაკოიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ განყოფილებამ დაარსებისთანავე გამოიჩინა თავი. მან თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ დათვარიელება-კონკურსში სიგელები დაიმსახურა. ასევე, საპატრიარქოსთან შეთანხმებით, გაიხსნა ხატწერის განყოფილება. ამ უკანასკნელს სათავეში უდგას ნიჭიერი მუსიკოსი და ხატმწერი თამარ გურაშვილი. აქვე ისწავლება თეატრზე მუშაობა (პედაგოგი – თეა ბერიძე). ამ მცირე დროის მანძილზე ორივე განყოფილების მონაფეებმა უამრავი ნამუშევარი შექმნეს და წარმატებებსაც მიაღწიეს. თავისთავად ის, რომ მუსიკასთან ერთად თანაარსებობენ სხვა ჟანრები და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოსწავლეებს ერთმანეთთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ, მეტად დადებითი ფაქტორია, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების თვალსანიერის გაფართოებას, მათ მრავალმხრივ ხედვას.

ლირსების ორდენოსნები:
თამარ ვაშაკიძე, მანანა მანჯგალაძე, ომარ გვეტაძე, ნათელა გულდამაშვილი, მთვარისა ყიფიანი.

თამარ გურაშვილის ხელმძღვანელობით სკოლაში დაფუძნდა ხალხური სიმღერისა და მგალობელ გოგონათა გუნდი. მგალობელთა გუნდის აღზრდილები დღეს სხვადასხვა საეკლესიო გუნდებში გალობენ, ხოლო გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „ნანილა", რომელშიც თამარ გურაშვილის ყოფილი

სკოლის გუნდი – ხელმძღვანელი ლალი ჭიკაიძე, კონცერტმაისტერი ნინო გოროზიანი და სკოლის დირექტორი ლია ჩხეიძე და სასწავლონაწილი ლია ბახტაძე.

ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც დღეს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან.სხედან მარცხნიდან – მარინა მეტრეველი, დარეჯან გოცირიძე, ვეტა გრიგორიანი, ლია ჟვანია, ლალა ბასლაძე, ლერი ხარბედია; დგანან მარცხნიდან – მეკი ოობაშვილი, ალა მარტიროსიანი, ნათელა გულდამაშვილი, ომარ გვეტაძე, თინა ცაგარეიშვილი, ივეტა აკოფიანი, ნინო გოროზიანი);

მოსწავლეები არიან თავმოყრილნი, წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევიან.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი ლალი ჭიკაიძე, კონცერტმაისტერი – ნინო გოროზიანი), რომელმაც ორჯერ მიიღო ქალაქის მერიის სიგელი.

ნოვატორული წამოწყებები VI სამუსიკო სკოლისათვის უცხო არაა. მან თავისი 90 წლის ისტორიის მანძილზე არაერთ მნიშვნელოვან და სასიკეთო წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი: 1936 წელს ჩამოყალიბდა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი, რომელიც შემდეგ გადაეცა ნიჭიერ ბავშვთა ათწლედს. 1940 წელს სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა ორკესტრი. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. ამ ორკესტრის ჩამოყალიბების იდეამ ბიძგი მისცა საქალაქო ორკესტრის შექმნას. ბუნებრივია, ამან ხელი შეუწყო საანსამბლო შესრულების კულტურის განვითარებას საქართველოში. მოგვიანებით, მსგავსმა ტრადიციებმა სხვა სკოლებშიც იჩინა თავი.

VI სამუსიკო სკოლისათვის ახალი წამოწყებები, სასწავლო პროცესში შემოქმედითობა, საჩვენებელ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ეს სკოლის ყოველდღიური ცხოვრების ჩვეული თვისებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თეორიული განყოფილება და მისი გამგე თამილა კარტოზია, რომელსაც მხარში უდგას ასევე ღვაწლმოსილი, პროფესიის

ნატურმორტი (პასტელი) – მარიამ ციანავა

მაცხოვარი (ტემპერა) – ნ. მერეაშვილი



მოციქულები პეტრე-პავლე (ტემპერა) – ქეთევან მერეაშვილი

ფუტკრები (პასტელი) – მიხეილ ხოფერია

ნატურმორტი (თიხა) – გიორგი ეოლსკი

ნატურმორტი (პასტელი) – ანი გოგოლაშვილი

მთავარანგელოზი გაბრიელი (ტემპერა) – ნინო ხაინდრავა

მაცხოვარი (ტემპერა) – მარიამ აღაკიძე

ნატურმორტი (გუაში) – სალომე ლაპიაშვილი

პეიზაჟი (თიხა) – მარიამ ცანავა

მამალი (მერეული ტექნიკა) – მაჭავარიანი დავითი

საორკესტრო განყოფილება: მარცხნიდან სხედან – ლილი ანთაძე, ომარ გვეტაძე, თინა კელენჯერიძე; დგანან – მიხეილ ლომსაძე, ქეთევან თაქმაიძე, ინგა მიქაძე.

ერთგულებით გამორჩეული პედაგოგი ლეილა თოფურიძე. ქ-ნი თამილას თაოსნობით სკოლაში სისტემატიურად ეწყობა თემატური საღამოები, რომელებიც, მსოფლიო თუ ქართული მუსიკის კლასიკოს კომპოზიტორებს ეძღვნება. ასევე საინტერესოა, რომ თეორიულ საგნებში კლასიდან-კლასში გადასაყვანი გამოცდის ნაცვლად, ტარდება ვიქტორინები, რაც ბავშვებისათვის მეტად სახალისოა და სტიმულის მიმცემი. ხდება ნარჩინებული ბავშვების სიგელებით დაჯილდოება.

სკოლაში ასევე დამკვიდრებულია ყოველ გაზაფხულზე მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოების ჩატარების შესანიშნავი ტრადიცია. ერთ-ერთმა ასეთმა მუსიკალურ-ლიტერატურულმა საღამომ იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ქუთაისის მუსიკალური საზოგადოების მოთხოვნით, განმეორებით ჩატარდა ქუთაისში. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ლიტერატურისა და პოეზიის შესანიშნავი მცოდნისა და მოყვარულის ქ-ნ როზი უჩანეიშვილის, როგორც დეკლამატორის წვლილი, რომელიც ცოცხალი მუსიკის თანხლებით პოეზიის შესანიშნავ ნიმუშენს აზიარებს მსმენელს.

დიპლომანტები (საფორტეპიანო კლასი): მარცხნიდან – თამარ კუპატაძე (IIკლ.), სალომე ტაბატაძე (II), მარიამ ჭანკვეტაძე (Iკლ.), ნატო კვირიკაშვილი (VIIკლ.) – პედ.: მთვარიდა ყიფიანი; ქეთი ჩხეიძე (Vკლ. პედ.: ლია ბახტაძე).

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართული მუსიკის შესრულება და მისი სასწავლო პროცესში ჩართვა, არცთუ იოლად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დღესაც კი. ამ კუთხითაც VI სამუსიკო სკოლას დიდი ტრადიციები აქვს და მას ქართული მუსიკის პროპაგანდაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, რითაც ერთგვარად ამართლებს კიდეც თავის სახელს. – ცნობილია, რომ თვით იპოლიტოვ-ივანოვი ქართული მუსიკის დიდი მოამაგე, მოყვარული და პროპაგანდისტი იყო. ამ კუთხით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა დინა სამსონიამ. დღეს მის ტრადიციებს პედაგოგი მთვარიდა ყიფიანი აგრძელებს. მის მიერ მოეწყო ქართული მუსიკისადმი მიძღვნილი არაერთი კონცერტი: მერი დავითაშვილის, ვატა აზარაშვილის და სხვა კომპოზიტორების შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტები; ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც კომპოზიტორის ოჯახის წევრები, საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხვათა შორის, რუსეთის იმჟამინდელი ელჩისათვის იპოლიტო-ივანოვის სახელობის სკოლა აღმოჩენა იყო. მან კონცერტის შემდეგ აღფრთოვანება ვერ დამალა და თანადგომა აღუთქვა სკოლას...

აღნიშვნის ღირსია მთვარიდა ყიფიანის კიდევ ერთი მშვენიერი წამოწყებაც. იგი ყოველ გაზაფხულზე, ყვავილების დღეს ანყობს თავისი ნაქარგების გამოფენას და კლასის კონცერტს, რომელსაც უამრავი სტუმარი ესწრება ხოლმე.

სკოლაში ყოველწლიურად ტარდება შიდასასკოლო კონკურსები: კონკურსი პოლიფონიური, სონატური, ტექნიკური თუ სხვა ჟანრის ნაწარმოების შესრულებაში. კონკურსი „მომავლის იმედი" – სამ კატეგორიად და ორ ტურად; კონცერტები – საშობაო, საგაზაფხულო; საგაზაფხულო კონცერტი პირველკლასელთათვის „საჩუქარი დედას", საანგარიშო და სიმფონიური კონცერტი, რომელზეც წლის ბოლოს საუკეთესო მოსწავლეები ორკესტრთან ერთად უკრავენ. ამ კონცერტებში უფროსი თაობის პედაგოგთა გვერდით აქტიურად არიან ჩართულნი ახალგაზრდა პედაგოგებიც – მეგი იობაშვილი, თინა ცაგარეიშვილი, ნინო გოროზიანი, ლალი ჭიკაიძე, მანანა გამცემლიძე, ივეტა აკოფიანი, კარინა მალხაზოვა, რომელთა მოსწავლეები თითქმის ყველა სასკოლო თუ საქალაქო ღონისძიებაში იღებენ მონაწილეობას.

სხვადასხვა წლის საუკეთესო პედაგოგები: თამილა კარტოზია, ლეილა თოფურიძე (3-ჯერ), ლერი ხარბედია, მანანა მანჯგალაძე, ლია ბახტაძე (2-ჯერ), ლალი ჭიკაიძე, ნინო გოროზიანი (2-ჯერ).

წელს კიდევ ერთი სიახლეა სკოლაში. VI სკოლის ისტორიაში პირველად დაიდგა მოუზიკლი „სამი გოჭი", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორსა და სკოლის პედაგოგ თამარ ვაშაკიძეს, ლიბრეტო – თეორიული განყოფილების გამგეს თამილა კარტოზიას, დადგმა ეკუთვნის პედაგოგს თინა მეიფარიანს.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ფესტივალ „მსგებსის" მიერ ჩატარებულ დათვალიერებაში „გაზაფხული 2008" VI სამუსიკო სკოლას მოსწავლეთა მაღალი საშემსრულებლო დონის გამო გამორჩეული სასწავ-

ხატწერის განყოფილება, პედაგოგი თეა ბერიძე მოსწავლეებთან ერთად

მოუზიკლი „სამი გოჭის“ მონაწილეები (კომპოზიტორი თამარ ვაშაკიძე, ლიბრეტოს ავტორი თამილა კარტოზია, რეჟისორი თინათი მეიფარიანი)

ლებლის წოდება და დიპლომი მიენიჭა.

ამავე დათვალიერება-კონკურსში სკოლის აღსაზრდელთა შორის ოთხი მოსნავლე დიპლომანტი გახდა, ხოლო მათი პედაგოგი მთვარიდა ყიფიანი ნლის საუკეთესო პედაგოგის დიპლომით დაჯილდოვდა. შარშან მისი ორი მოწაფე: სალომე ტაბატაძე (I კლ) და ნატო კვირიკაშვილი (VI კლ.) ამავე კონკურსის ლაურეატები გახდნენ, მათ შორის სალომე ტაბატაძემ ქ. ფრანკფურტის ქართული სათვისტომოს დაფინანსება მიიღო.

იპოლიტოვ-ივანოვის VI სამუსიკო სკოლა აქტიურადაა ჩართული ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი მუდმივად ღებულობს მონაწილეობას რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებში და ხშირად წარმატებულიც არის. თავისი მიღწევებით განსაკუთრებით გამოირჩევა საფორტეპიანო განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას შესანიშნავი პროფესიონალი, უზადო გემოვნების მქონე პიროვნება ქეთევან შამანაური.

VI სკოლა საიუბილეო თარიღებს ყოველთვის საინტერესოდ აღნიშნავდა, რასაც სკოლის მდიდარ ბიბლიოთეკაში შემორჩენილი ბუკლეტები და პროგრამები მოწმობენ. წელსაც, სკოლის 90 ნლის იუბილესთან დაკავშირებით უამრავი კონცერტი და ღონისძიებაა დაგეგმილი: „პირველი ნაბიჯები“, მუზიკლი „სამი გოჭი“, „ქართული მუსიკის საღამო“, საანგარიშო კონცერტი, კონცერტი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, საიუბილეო კონცერტები კონსერვატორიის მცირე დარბაზსა და მუსიკალურ ცენტრში, სიმფონიური მუსიკის ორი კონცერტი.

არაერთი სიგელით და მადლობით დაჯილდოებული პედაგოგები:
დარეჯან გოცირიძე, მარინე ხოტეარიშვილი, ირინა ჩიხლაძე, მერი გოგია, მარინა მარღანია, ნინო მელვინეთუხუცესი, ივეტა აკოპოვა, ლია კიკვაძე, ეკა ბედოშვილი ვიქტორ კიკაჩეშვილი, თინა ცაგარეიშვილი, ალა მარტიროსიანი, ლია ნაკაშიძე, ვიტალი კლიაშტორნი, მთვარიდა ყიფიანი, როზი უჩანეიშვილი, დალი გიორგობიანი, ვეტა გრიგორიანი, ლიანა ჟვანია, რუსუდან არჩვაძე, ლილი ანთაძე, ნელი ზაერაშვილი, გრეტა მარტიროსიანი, ლუიზა ხაბულიანი, ინგა მიქაძე.

დღემდე VI სამუსიკო სკოლა გამორჩეულ სკოლათა რიცხვშია, რომელმაც არაერთი შესანიშნავი მუსიკოსი აღუზარდა ქვეყანას, არაერთი მოზარდი აზიარა მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს. სკოლის აღზრდილთა შორისაა ცნობილი მუსიკოსები და შემსრულებლები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მხოლოდ მცირე ხნით, 30-იან ნლებში იყო ეოკალური განყოფილება, მან მოასწრო აღეზარდა ცნობილი ოპერის მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელიზავეტა გოსტენინა; სკოლის აღზრდილთა შორისაა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის აწგანსვენებული პროფესორები: გულნარა ქავთარაძე, მარინე ნათიშვილი, ბორის ფიაურელი; კომპოზიტორები: რევაზ გაბიჩვაძე, ნიკოლოზ გუდიაშვილი, რევაზ ლაღიძე, მუსიკისმცოდნე ევგენი მაჭავარიანი და სხვ. VI სამუსიკო სკოლაში დაწყებითი განათლება მიიღეს საქართველოს სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა თამარ გაბარაშვილმა ს. ცინცაძის სახელობის სახელმწიფო კვარტეტის სოლისტმა, პროფესორმა კონსტანტინე ვარდელმა, კომპოზიტორებმა ვაჟა აზარაშვილმა, ჯემალ სეფიაშვილმა. ახალი თაობის ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა შორისაც ბევრია ამ სკოლის კურსდამთავრებულები: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, კონსერვატორიის პედაგოგი, პიანისტი თამარ ლიჩელი, ნატო ელიავა (პედ.: ნათელა გულდამაშვილი), კონსერვატორიის მაგისტრი, პიანისტი სოფიკო დავითაშვილი (პედ.: ნუნუ ბერძენიშვილი), საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის შემსრულებლები ნინო და ია დავითაშვილები (პედ.: ან გარდაცვლილი მეგი ქლიბაძე) და სხვ.

სკოლის ფოლკლორული ანსამბლი (სოლისტი ნიკა ნერეთელი, ხელმძღვანელი თამარ გურაშვილი).

და ბოლოს, რიგით კონცერტებზე თუ საერთაშორისო კონკურსებზე არაერთ უცხოელს განცვიფრებით აღუნიშნავს ქართველი მსმენელის მაღალი კულტურა, საზოგადოებისა, და განსაკუთრებით ახალგაზრდობის შესაფური ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი. ეს, უდავოდ, სამუსიკო განათლების იმ საუკეთესო ტრადიციების შედეგია, რომლის მატარებელიცაა, სხვა სამუსიკოს საგანმანათლებლო კერებთან ერთად, თბილისის იპოლიტოვ-ივანოვის VI ხელოვნების სკოლა. ამ სკოლამ თავისი არსებობის 90 ნლის მანძილზე არა მხოლოდ მრავალი გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი აღზარდა, არამედ, საზოგადოდ, დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

მასალა მოამზადა მზია ჯაფარიძემ

საბუთთა გაცნობილება: შუაში პედაგოგი თინათინ კაკოიშვილი, მარცხნივ სალომე ლაპიაშვილი, მარჯვნივ – მარიამ ცანავა.

მერი დავითაშვილი:

„ჭეშმარიტი მუსიკა მძლავრი იარაღია, რომელსაც შეუძლია არაჩვეულებრივად აღზარდოს ადამიანი“

ჩვენი ჟურნალის სტუმარია **კომპოზიტორი მერი დავითაშვილი**, რომელიც თანამედროვე ქართულ კლასიკური მუსიკის გარკვეულ პრობლემებზე გვესაუბრება.

– ჩემი მოღვაწეობა, თუ შეიძლება ითქვას, მიმდინარეობდა ორი ხაზით: ერთი არის შემოქმედება, რომელიც 50-იანი წლებიდან იწყება და იქედან მოყოლებული სულ ვწერ; მეორე ხაზი არის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც დაკავშირებულია კონსერვატორიასა და სამუსიკო სკოლებთან და მეასმე ხაზი არის საზოგადოებრივი დატვირთვა. ამ ხაზით 1972 წლიდან ვხელმძღვანელობ საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულებს, რომელიც ყოველწლიურად, ტრადიციულად ტარდებოდა მთელს რესპუბლიკაში, ახლა, სამწუხაროდ, უფრო შეზღუდულად იმართება. ბავშვთა მუსიკის ამ ფესტივალზე ხდება დემონსტრირება, თუ რა ხდება საინტერესო საბავშვო მუსიკაში. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ვაზიაროთ ჭეშმარიტ მუსიკას.

ვფიერობ, ჭეშმარიტი მუსიკა მძლავრი იარაღია, რომელსაც შეუძლია არაჩვეულებრივად აღზარდოს ადამიანი. ეს მძლავრი იარაღი კი იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ მომავალი სრულყოფილი პიროვნება გავზარდოთ. სერიოზული მუსიკა ადამიანებში საერთო დონის ამაღლებას, ახალგაზრდობის სწორი გზით სიარულს უწყობს ხელს. ეს არის ჩემი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მთავარი მიზანი.

– ვისი ორგანიზებითა და ხელშეწყობით ტარდება კვირეულები?

– წინათ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ტარდებოდა კვირეული, რისთვისაც მთავრობის საგანგებო დადგენილება არსებობდა. ამაში მეხმარებოდა განათლებისა და კულტურის სამინისტროები, პროფკავშირები, სახელმწიფო ფილარმონია და კომპოზიტორთა კავშირი. ახლა, როცა შეიზღუდა კვირეულის ფარგლები, იგი მაინც ტარდება კეთილი ხალხის სურვილით. კვირეული ტარდება კომპოზიტორთა კავშირის ეგიდით. ჩემს გვერდით დგანან კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები, ორგანიზაციულ საკითხებში განსაკუთრებით მეხმარება ახალგაზრდა მუსიკისმცოდნე ნინო მესხი.

– თუ აისახებოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები კვირეულზე?

– არცერთ წელს არ გვქონია ჩავარდნა. მაშინაც კი, როცა აქ სროლები იყო და როცა თბილისში ხოცავდნენ ერთმანეთს. არასდროს არ დამიყრია ფარ-ხმალი. სტიმულს მაძლევდა ის, რომ თვითონ ბავშვების მხრიდან მოდიოდა ამ კვირეულის ჩატარების სურვილი და დაინტერესება. საბავშვო კვირეული ძალიან მნიშვნელოვანია ჩემს შემოქმედებაში.

– საკმაოდ დიდი ხანია, რაც ბავშვებთან ერთად გიწევთ მუშაობა. როგორ ფიქრობთ, განვლილ წლებთან შედარებით, რამდენად მოდის მათი მხრიდან მუსიკით დაინტერესება?

– თავი რომ დავანებოთ იმას, თუ ცხოვრების როგორი ფონია შექმნილი, ბავშვი უნდა აღიზარდოს ნესიერად. ეს არის ჩემი, როგორც შემოქმედის, პედაგოგის და მშობლის მთავარი მისია. ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი კომპონენტი არის მუსიკა. ბავშვების და მოზარდების ინტერესი მუსიკისადმი არ განელებულა. ადრეც ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავდა და ახლაც საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები არიან, ეს სულაც არ არის ჩვენი დამსახურება. უბრალოდ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე აღარ ხდება მათი წარმოჩენა.

– თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

– თანამედროვე საზოგადოებაში ისეთი ტენდენცია დამკვიდრდა, რომ მუსიკა მხოლოდ გასართობ საშუალებად აღიქმება. ძველი არაფერი არ აინტერესებთ. არადა, ჩვენი ოქროს ფონდის იგნორირება არ შეიძლება.

– მუშაობისთვის ეს ტენდენცია რამდენად არის ხელისშემშლელი?

– ჭეშმარიტი მუსიკოსი ვერ გაჩერდება უსაქმოდ. კომპოზიტორები, პედაგოგები იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა გასამრჯელო, მაინც არ ღალატობენ თავიანთ საქმიანობას და ამ შრომის შედეგებსაც იმკიან. ჩვენი ბავშვები საზღვარგარეთ მუსიკალურ კონკურსებში სულ საპრიზო ადგილებს იღებენ. მრავალი საერთაშორისო აღიარება გვაქვს. საქართველოში კი სათანადოდ არ აფასებენ ლაურეატებს. საგულისხმო პოლიტიკა ისეა მოწყობილი, რომ ნაკლებად აინტერესებთ კლასიკური, ხალხური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაცია. მხოლოდ მოუებსა და გართობაზე არიან ორიენტირებულნი. იმედი მაქვს, რომ ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში შეიცვლება.

– მედიის მხრიდან კლასიკური და ხალხური მუსიკის მიმართ მხარდაჭერას ვერ გრძნობთ?

– 2005 წელს თბილისში ჩატარდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. ეს კონკურსი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ყოველთვის ვლელავ ხოლმე, როცა ამის შესახებ

ვსაუბრობ. საქართველოს არ ღირსებია არასდროს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსები გამართულიყო ასეთი მასშტაბით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ტელევიზიამ და პრესამ სრული იგნორირება გაუკეთა ამ მოვლენას. მედიის მხრიდან თანადგომას თითქმის ვერ ვგრძნობთ. მაგრამ ვხედავ, რომ თანდათან მოდიან აზრზე, როცა უყურებენ, რა ხდება მთელს მსოფლიოში. არის მუსიკალური არხი „შეცო“, სადაც გადმოსცემენ საინტერესო ოპერებს, ბალეტებს, სიმფონიურ და კამერულ კონცერტებს. მოხიბლული ვარ იმით, რომ მსმენელით გადაჭედილი დარბაზებში ისმენენ. აი, იქედან უნდა ვისნაელოთ ჩვენ, თუ როგორ უნდა კლასიკური მუსიკის მოსმენა.

– თქვენი აზრით, ქართველ მსმენელთა გარკვეულ ჯგუფს არ გააჩნია მოსმენის კულტურა?

– ქართველ ხალხს ყოველთვის უყვარდა მუსიკა და ყოველთვის მოსმენის მაღალი კულტურა ჰქონდა. ეს ტრადიცია უნდა აღდგეს.

– თქვენ უშუალო შეხება გაქვთ მუსიკალური სკოლების მოსწავლეებთან, როგორ შეაფასებდით სკოლებში არსებულ მდგომარეობას?

– საქართველოში სამუსიკო სკოლების ძალიან კარგი ქსელი იყო გაშლილი და ეს უნდა შეენარჩუნებინათ. დღეს მუსიკალური სკოლების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირეს. ამით ბავშვების დიდ ნაწილს მოუსპეს საშუალება ზიარებოდნენ ჭეშმარიტ მუსიკას, რომელსაც ყველა კომპოზიტორი უპირატესობას ანიჭებს. მუსიკა ახალგაზრდას კეთილშობილურად ზრდის და მას დრო აღარ რჩება იმისთვის, რომ უარყოფითი საქმით დაკავდეს. აი, ამ მიმართულებით უნდა წასულიყო ჩვენი საქმე. მაგრამ ეს ყველაფერი იგნორირებულია. რომელი სკოლებიც შემცირებას გადაურჩა, მათი ჩვენება ხდება ჩვენს კვირეულზე.

– როგორ ფიქრობთ, რა არის სკოლების შემცირების მიზეზი?

– წინათ სამუსიკო სკოლაში შეყავდათ ბავშვები. ახლა კი ამას ზედმეტად თვლიან. ბავშვები ესტრადაზე გამოყავთ პირდაპირ, ისე რომ მუსიკალური სკოლა ნვალებად მიაჩნიათ და მუსიკალური განათლება არ აქვთ. ჰგონიათ, რომ თანამედროვე მუსიკას ემსახურებიან. ტერმინი „თანამედროვე მუსიკა“ საფაო საკითხია, დავა მიდის ერთი მხრივ, პროფესიონალ მუსიკოსებსა და მეორე მხრივ, მოსახლეობასა და ჟურნალისტებს შორის. თანამედროვე მუსიკა ის კი არაა, რასაც ისინი უწევენ დღეს პროპაგანდას. ის არის პრიმიტიული და გართობამდე დაყვანილი მუსიკა. სერიოზული თანამედროვე მუსიკა არის სულ სხვა არე, რომელიც ყველაფერ ამის მიღმა რჩება.

– თქვენი აზრით, რას უნდა დაეთმოს საქართველოში მეტი ყურადღება?

– მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვიყავი. მოხსენებებით გამოვდიოდი სხვადასხვა ქვეყნებში. ქართველმა არ შეიძლება საქართველო ხალხური სიმღერით არ ასახელოს, ამიტომ ჩემი მოხსენებები სწორედ ქართულ ხალხურ მუსიკაზე ავაგე. ქართულ მუსიკას, იმდენად დიდი ტრადიციები აქვს და იმდენად მდიდარი ხალხური მუსიკა გვაქვს, რომ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ჩვენი, ქართველი ბავშვები სხვაგვარ გარემოში იზრდებიან და ისინი თავიდანვე ეჩვევიან მრავალხმიან

სიმღერას. სწორედ ეს უპირატესობა აქვს ქართულ მუსიკას. ჩემმა მოხსენებამ ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ მოდიოდნენ და ნოტებსა და ჩანაწერებს მთხოვდნენ, მაგრამ არც ნოტები მქონდა და არც ჩანაწერები.

– დღევანდელ პირობებში რამდენადაა კლასიკური მუსიკის ჩაწერის პრობლემა?

– მუსიკოსის პროფესიას, სხვა პროფესიებისგან განასხვავებს ის, რომ მას მსმენელამდე მისატანად შუამავალი ჭირდება შემსრულებლის სახით. საქართველოში პროფესიონალურ ჩანაწერებს ვერ აკეთებენ. ამის სპეციალური სტუდია აღარ არსებობს. ხმის ჩამწერი სტუდია, „მელოდია“, რომელიც ჩვენ ავაშენეთ, დაანგრიეს. იქ შეიძლებოდა ნებისმიერი სახის მუსიკის ჩაწერა. ახლა არსებული სტუდიით, ინსტრუმენტებითა და ტექნიკით, პროფესიული მუსიკის ჩაწერა საქართველოში შეუძლებელია.

– თქვენ საზოგადოების გარკვეული ნაწილი გიცნობთ როგორც საბავშვო კომპოზიტორს...

– მთელი ჩემი ცხოვრება ბავშვებს მივუძღვენი. ჩემი ორი ოპერა იდგმებოდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბელეტის თეატრში. ერთ-ერთმა მათგანმა რუსთაველის პრემია დაიმსახურა. ბევრი მაქვს ნამუშევარი სიმფონიურ, კამერულ მუსიკასა და კინო მუსიკაში. საბავშვო სიმღერები ჩემი შემოქმედების ერთი ნაწილია. ჩემი შვილი პატარა როცა იყო, ვუყიდე მაყვალა მრევლიშვილის წიგნი. ისე მომეწონა ლექსები, რომ მაშინვე დაგავწყვიტე სიმღერის დაწერა. მე არ მიფიქრია, რომ ეს სიმღერები გარეთ გავიდოდა და პოპულარული გახდებოდა. ჩემი მხრიდან ეს იყო წმინდა დედობრივი ვალი.

ნინო ნაცვალაძე

კამერული მუსიკის პარალელებში

გასული წლიდან დაწყებული თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სასიამოვნო ტრადიციად იქცა კამერული მუსიკის კონცერტების ჩატარება. თეატრის სიახლეებიდან, რომელიც დასის ბაზაზე ახალი კამერული შემადგენლობის კოლექტივების ჩამოყალიბებაში გამოიხატა, სიმებიანი კვარტეტის, კამერული ორკესტრის, ანსამბლ „Mon Plaisir"-ის, სოლისტებისგან შემდგარი ფოლკლორული ანსამბლი „სულიკოს" სახით, უნდა აღინიშნოს თეატრის სოლისტების კონცერტებიც, და არა მარტო თბილისში.

უხვი იყო წარმატებებით ეს წელი ოპერის სოლისტის ირინე რატიანისთვისაც. მას, სულხან გველესიანს და ზაზა აზმაიფარაშვილს, რუსეთის დედაქალაქმა დეკემბერში უმასპინძლა; მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის დიდ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მათ გამართეს კონცერტი სახელწოდებით „თაქთაქიშვილიდან ვერდიმდე". აღსანიშნავია ნლევანდელ სეზონში რატიანის დებიუტი ოდაბელას პარტიით ვერდის „აბილაში" თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, ტურნე ისრაელში ოპერის დასთან ერთად რიშონ ლეციონის ფესტივალზე.

ამჯერად, 4 ივნისს ირინე რატიანი და კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში მსმენელის ნინაშე კამერული რეპერტუარით, რუსული და ქართული მუსიკით წარსდგნენ. ამ ვოკალური მუსიკის საღამოსადმი ინტერესს ინვევდა ისიც, რომ საოპერო მომღერლის პროგრამაში იყო კამერული ნაწარმოებები, რაც შემსრულებლობის სხვა ასპექტებს წარმოაჩენს.

კონცერტის I განყოფილებაში სრულდებოდა სტილით განსხვავებული, მაგრამ ქრონოლოგიურად ერთ პერიოდში, XX საუკუნის 10-იან წლებში დაწერილი რახმანინოვის და პროკოფიევის ნაწარმოებები. სერგეი რახმანინოვის ოთხი რომანსი, თხზ. 38 (№1, 3, 4, 6) პოეტი-სიმბოლისტების (ა. ისააკიანი – ა. ბლოკის, ი. სევერიანინის, ვ. ბრიუსოვის, კ. ბალმონტის) ლექსებზე, მისი ვოკალური ლირიკის ტიპური ნიმუშებია. ლაკონური, მაგრამ ექსპრესიის მხრივ მდიდარია, ქალური სახიერებით აღბეჭდილი „მწარედ მტირალი ტირიფის" პოეტური სიმბოლიკა რომანსში „Ночью в саду у меня"; სიფაქიზისა და ექსპრესიულობის შერწყმა ხდება რომანსში „Маргаритки". მასში მელოდიურ-თემატური ინიციატივა არა ხმას, არამედ ფორტეპიანოს ეკუთვნის (შემთხვევითი არ არის, რომ რახმანინოვმა მისი საფორტეპიანო ტრანსკრიფციაც შექმნა), რაც რატიანი-ჩაპლინსკაიას ტანდემში სათანადოდ აისახა. სრულიად უჩვეულო, მე ვიტყოდი, უნიკალურია რახმანინოვის სარომანსო მემკვიდრეობაში ბრიუსოვის ლექსზე (გოეთეს ბალადის მოტივებზე) დაწერილი რომანსი „ Крысолов". პრიმიტიულობისა და სინატიფის, მიამიტობისა და ვერაგობის მოტივები ამ პასტორალში ჯადოქრის შესახებ, რომელმაც ჯადოსნური სალამურით ქალაქი ვირთხები მოაშორა და მისივე საშუალებით მერე შური იძია, ამ რომანსს danse macabre-ის ტიპის რომანს-სკერცოდ აქცევს, რომლის თეატრალიზებული მრავალსახიერი სურათის შექმნის ამოცანა მომღერალმა ოსტატურად შეძლო, მისი ხმა თანაბრად და სავსედ ჟღერდა ყველა რეგისტრში. რახმანინოვის ციკლი დაასრულა №6 რომანსმა „Ау".

სერგეი პროკოფიევის ვოკალური ციკლი „საძაგელი იხვის ჭუკი" წარმოადგენს განვითარების ერთიანი ხაზით გამთლიანებულ მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებს პროზაულ ტექსტზე ჰანს ქრისტიან ანდერსენის ალეგორიული ზღაპრის მიხედვით, რომელშიც საძაგელი იხვის ჭუკი მშვენიერ გედად იქცევა მას შემდეგ, რაც ცხოვრების სიმწარესა და მტანჯველ სულიერ მარტოობას იგემებს; მხატვრულ სახეთა პერსონიფიცირებით, „თეატრალიზაციით", მონოოპერის ნიშნებით, პროკოფიევის 1914 წელს შექმნილი ეს უნიკალური ქმნილება ჩვენში იშვიათად სრულდება, ალბათ იმიტომაც, რომ შემსრულებლისაგან მოითხოვს რეჩიტატიულ-დეკლამაციური წყობის რთული ვოკალური პარტიის ზუსტ ინტონირებას და შინაგანი გარდასახვის უნარსაც (ამ ციკლის ერთ-ერთი პირველი შესრულება, რომელიც პირადად მე თბილისში მოვისმინე 70-იან წლებში, თენგიზ და ვაჟა ჩაჩავების ინტერპრეტაცია იყო). ირინე რატიანის შესრულებაში ამ ზღაპარი-იგავის გმირი – „საძაგელი იხვის ჭუკი" „გედად" იქცა მომღერლის პროფესიული ვოკალური ოსტატობისა და ხატოვანი სამსახიობო ნიჭის წყალობით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საკონცერტო პროგრამის მეორე, „ქართული" ნაწილი; დიდი ხანია ჩვენ საკონცერტო პროგრამებში არ ყოფილა ასე უხვად ქართული კამერული ვოკალური მუსიკა.

მიუხედავად მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობისა, რომელიც კონცერტის პროგრამაში წარმოდგენილ ქართველ ავტორებს გააჩნიათ, არის მათი შემოქმედების გამაერთიანებელი და ვოკალური სტილისათვის დამახასიათებელი თვისებები – მელოდიური სიუხვე, ტრადიციული მუსიკალური ენისადმი ერთგულება და დემოკრატიულობა, რომელმაც საოცრად გაამთლიანა კონცერტის II განყოფილების პროგრამაში წარმოდგენილი სამი თაობის, ოთხი განსხვავებული ხელწერის მქონე კომპოზიტორი: ბიძინა კვირნაძე, მერი დავითაშვილი, ვაჟა აზარაშვილი და კახა ცაბაძე.

ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ სრულდებოდა ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერილი მერი დავითაშვილისა და კახა ცაბაძის ორი ვოკალური ციკლი, რომელთა შექმნის თარიღებს შორის დროითი დისტანცია თითქმის სამი ათეული წელია, და კიდევ ერთი, ოთხივე ავტორი ესწრებოდა კონცერტს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა შემსრულებელთა პასუხისმგებლობას.

II განყოფილებაში დრამატურგიული თაღი შეკრა ბიძინა კვირნაძის ნაწარმოებებმა – შუშანიკის ლოცვამ ოპერიდან „იყო მერვესა წელსა", რომელიც კონცერტის კამერულ რეპერტუარში გამონაკლისს შეადგენდა, და ბისზე შესრულებულმა, უკვე ჰიტად ქცეულმა „შემოდგომის ყვავილებმა". კვირნაძის პოეტური, ლირიკული ინტონაციის თავისებურებები, გარკვეულწილად ინტიმურობაც, ნატიფი გემოვნება, დახვეწილი გამომსახველი ხერხები, ტემბრული აზროვნების

ფერადოვნება და მუსიკალური პლასტიკის განუმეორებელი შეგრძნება მის შემოქმედებას მსმენელისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად სასურველსა და ახლობელს ხდის. კონცერტზე აჟღერებული ორივე ნომერი კინოფილმ „დათა თუთაშხიადან“ იღებს დასაბამს. ოპერა „იყო მერვესა წელსა“ კომპოზიტორის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა, რომელშიც კიდევ ერთხელ გამობრწყინდა მისი ლირიკული, პოეტური მუსიკის ამაღლებული ხასიათი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლირიკულ-ფსიქოლოგიური განცდით დატვირთული შუშანიკის პარტია, რომლის ლირიკული ლაიტთემა დამახასიათებელი ჰარმონიით, ოპერის პირველი მოქმედების დასაწყისში ჩასახული, სრულად მეორე მოქმედების ამ სცენაში ეღერს (მას საფუძვლად უდევს ლირიკული თემა კინოფილმიდან „დათა თუთაშხია“). კონცერტის კამერულ ვერსიაში კლავირის საფორტეპიანო თანხლების რამდენადმე გამოხშირულმა ფაქტურამ, მართალია, გარკვეული სირთულე შეუქმნა მომღერალს, მაგრამ კონცერტის ბოლოს, ბისზე შესრულებული რომანსი „შემოდგომის ყვავილები“ კონცერტის ღირსეულ გვირგვინად იქცა.

მარცხნიდან: მერი დავითაშვილი, კახა ცაბაძე, ირინე რატიანი, ბიძინა კვერნაძე, ვიქტორია ჩაპლინსკაია, ვაჟა აზარაშვილი.

მერი დავითაშვილის კამერულ-ვოკალური მუსიკა, რომელშიც მისი შინაგანი ბუნება და ლირიკული განცდებია ჩაქსოვილი, შემოქმედების სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი. აქ გამოჩნდა კომპოზიტორის დამოკიდებულობა პოეტური სიტყვისადმი, ვოკალური ლირიკის ნათელი ფერები, მცირე ფორმის შექმნისთვის აუცილებელი ზომიერების გრძნობა და სიფაქიზე. ამ მხრივ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ანა კალანდაძის ტექსტზე შექმნილმა ვოკალურმა ციკლებმა: „ლირიკური მინიატურები“, „ვარდფურცლების დარია“ და „ყაყაჩოსა სინითლითა“; და ეს არც არის გასაკვირი. კომპოზიტორის პოეტთან ურთიერთობა ჯერ კიდევ სიყმაწვილის წლებში დაიწყო; ისინი თანაკლასელები იყვნენ და ანა კალანდაძის საოცრად მუსიკალური პოეტური სიტყვაც სარომანსო ჟანრში პირველად მერი დავითაშვილმა ააჟღერა. აქედან მოყოლებული ანა კალანდაძის ლექსები კომპოზიტორისთვის შემოქმედებით თანამგზავრად იქცა. ორივე გვხიბლავს ქალური განცდის სიფაქიზით, კდემით, კეთილშობილებითა და სინაზით, რომელიც წარმოდგენილი იყო კონცერტზე შესრულებულ ვოკალური ციკლის „ლირიკული მინიატურების“ რომანსებში: „დავშრები შენდა“, „არაბი ხარ“, „თუთა“, „თქვი ჭია-მაიავ“, „ჟუჟუნა წვიმა“. ისინი კომპოზიტორის და პოეტის სულიერ სიახლოვეზე მეტყველებენ.

კამერულ-ვოკალური ჟანრი ვაჟა აზარაშვილისათვის ყოველთვის იყო წამყვანი, ის ამ ჟანრის დიდოსტატია. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში კომპოზიტორმა მიაკვლია საკუთარ სასიმღერო სტილს და იმ პოეტთა ნრეს, რომელთა შემოქმედება მისთვის განსაკუთრებით ახლობელი გახდა. ათამდე რომანსში ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის და მ. ფოცხიშვილის ლექსებზე, რომელიც 60-იან წლებში დაიწერა, გამოვლინდა მისი სტილის ნიშნები – მდიდარი მელოდიური ნიჭი და ვოკალური ინტონაციის სათუთი გრძნობა. აღსანიშნავია, რომ კონცერტზე აჟღერებული რომანსები ნ. ბარათაშვილის და შ. პეტეფის ლექსებზე – ლირიკულ-პოეტური სახეებით აღბეჭდილი „საყურე“, „ჩემი ლოცვა“ და „როგორ მიყვარხარ“ (თარგმანი გ. აბაშიძის) სწორედ ადრეული პერიოდის საუკეთესო რომანსთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც პრემირებული იყო.

კონცერტის თავისებურ აღმოჩენად იქცა რატიანის მიერ ინტერპრეტირებული კახა ცაბაძის ახალი რომანსი „გაზაფხულის საღამოა მშვიდი“ (ტერენტი გრანელის ლექსზე) და ვოკალური ციკლი ანა კალანდაძის ლექსებზე „თუთა“, „ვაეაო შუაფხოველო“, „ქართულო ცაო“. თუ ვოკალური ციკლის პირველ ორ რომანსში პოეტური ტექსტის სახეობრივი და ნმინდა ვერსიფიკაციული წყობა ღიად უბიძგებდა კომპოზიტორს იმ გამომსახველობითი საშუალებების მოზიდვისაკენ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ზედაპირზე ძევს (მაგალითად, „მთის“ კილოს ინტონაციების გამოყენება რომანსში „ვაეაო შუაფხოველო“), ახალი მხატვრული ხედვით, სახეების სიმბოლიკით, რეფლექსიის სიღრმითა და გრძნობების ექსპრესიით გამოირჩეოდა „გაზაფხულის საღამოა მშვიდი“ და განსაკუთრებით „ქართულო ცაო“, რომელმაც ღირსეულად წარმოაჩინა ნიჭი და პოტენციალ კომპოზიტორისა, რომლის მუსიკა სამწუხაროდ შედარებით იშვიათად ჟღერს აკადემიურ სცენაზე.

მინდა აღვნიშნო, რომ ირინე რატიანის რეპერტუარის გაფართოვება კამერული მუსიკით, მის ფართო საშემსრულებლო დიაპაზონზე მეტყველებს, რაც შესაძლებელი გახდა მომღერლის პროფესიონალიზმის წყალობით, მხატვრული სახეების შექმნის, სიტყვის ნატიფი ფსიქოლოგიური ნიუანსების მსმენელამდე მიტანის, სცენური ეფექტების გარეშე შინაგანი გარდასახვის უნარით. უნდა აღინიშნოს გამოცდილი კონცერტმაისტერის, ჩინებული მუსიკოსის – ვიკა ჩაპლინსკაიას ოსტატობაც, ანსამბლურობის უტყუარი გრძნობა; ვინც არ იცის ამ პროფესიის სპეციფიკა, ის ვერ მიხვდება თუ კონცერტმაისტერის რაოდენ დიდი შრომის ფასად მოდის მომღერლის ნარმატება.

და კიდევ ერთი, ვისურვებდი ქართული მუსიკა საოპერო თეატრის კედლებში უფრო ხშირად აჟღერებულიყო და არა მარტო კამერული მუსიკის კონცერტზე.

მარინა ქავთარაძე

„მე თბილისის მოტრფიალე ვარ...“

ამას წინათ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის შემოქმედებითი საღამო. მანამდე კი ამასთან დაკავშირებული მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა: პიროვნებამ, რომლის ვინაობასაც ამ შემთხვევაში არ ახმაურებენ, მოისმინა სიმღერა „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ (აქამდე მეგონა მისი სათაური იყო „ფიროსმანის შესანდობარი“ – თ.წ.) და მოხიბლული დაინტერესდა ავტორით. როდესაც გაიგო, რომ იგი ეკუთვნის ჩვენს შორის მყოფ ქალბატონს – ნუნუ დუღაშვილს, ავტორს ერთმანეთზე მეტად სულისშემრხევი სიმღერების – „ღმერთი სიყვარულისა“ თუ „კახეთო, ჩემო კახეთო,“ „ქუთაისო,ქუთაისო“ თუ „იმერეთის ნიავო,“ „გადამრიე, გადამრიე“ თუ „ბათუმი რად ღირს კარგო,“ „ქართველო მინავ“ თუ „გეიყვარდეს საქართველო“ და ა. შ., გადაწყვიტა შეექმნა პირობა ამ სიმღერების საჯაროდ აჟღერებისა.

ნუნუ დუღაშვილი

საღამოს რეჟისორმა ზაალ ჩიქობავამ ნუნუ დუღაშვილის სასიმღერო შემოქმედების ერთ კომპოზიციად გააზრებისას ამოსავლად სწორედ ეს სიმღერა გახადა. სცენაზე ჩნდებოდნენ ძველი თბილისის პერსონაჟები, შეიძლება ითქვას, მთელი საღამოს განმავლობაში წრებრუნვაში იყო მოქცეული – „თბილისი, ფიროსმანის ქალაქი“. ბურუსითდაფარული ჩვენებები ინვევდა შეგრძნებას, რომ ყველაფერი მირაჟია, ანუ პოეტის სიტყვების პერიფრაზით რომ ვთქვათ – „რომ ყველაფერი არის სიზმარი, რომ ბინდისფერი არის ყოველი“... რიგი სიმღერების შემდეგ კი კულმინაციურ მომენტში სიმღერის – „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ პირველივე აკორდების აჟღერებისას მბრუნავ სცენას შემოყვა ანთებული სანთლები, გუნდს წინ უძღოდა კომპოზიტორი – ამ ფონზე გაისმა მომღერალი გიო ხუციშვილის ხმა – „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტევოს ჩემმა თბილისმა“...

ტრადიციული მსმენელისათვის შეიძლება ცოტა შემანუხებელიც აღმოჩნდა ბურუსითმოცული სცენა, დიდი დოზით ბუნდოვანი გამოსახულებები. შეიძლება, მართლაც, გაუგებარი იყო თუ რატომ ცვიოდა საღამოს დასასრულს დარბაზში ფიფქები, მაგრამ ჩვენ უნინარესად მივესალმებით თეატრისა და რეჟისორის მხრივ ნუნუ დუღაშვილის შემოქმედების ერთიანად, კონცეფციური გააზრებით შემოთავაზების მცდელობას. მეტადრე დღეს კიდევ მეტად აქტუალურია წარმავალი თბილისის თემა, აქამდე ჩვენთვის ნარუვალი ღირებულებები, დღეს წარმავალად რომ გვეჩვენება ის, რაც ახლდა ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულის თბილისს.

* * *

სიმღერა „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ დოკუმენტური ფილმის „თბილისი, ფიროსმანის ქალაქი“ მზადების პროცესში დაიბადა. ფილმი გერმანელებმა დაუკვეთეს ქალაქის საბჭოს. რეჟისორი გახლდათ – ოთარ გურგენიძე, კომპოზიტორი – ნუნუ დუღაშვილი. დაინერა მუსიკა, რაც მთელ ფილმს ლაიტთემად უნდა გასდევნოდა. მუსიკა შემთხვევით მოუსმენია იმ დროს ტელევიზიაში მომუშავე ნიაზ დიასამიძეს. როგორც ქალბატონი ნუნუ იხსენებს: – ორი დღე ფანქრითა და ქაღალდით დაყვებოდა მას უკან. კომპოზიტორს ეგონა, – გადაცემაზე მუშაობსო, კიდევ უკითხავს: – რას აკეთებ, ნიაზ, მაგრამ მას პასუხი მესამე დღეს გაუცია შემდეგნაირად: – ნუნუ, აბა, მოდი, დაჯექი, დაუკარი შენი მელოდია, – და დაუდია ფურცელი, რომელზეც ლექსი ეწერა. – არაფერს არ განიშნებსო? – უკითხავს. კომპოზიტორისთვის ცხადია, იმ ნუთასვე გასაგები გახდა, თუ რას ნიშნავდა ყოველივე, ლექსიც შეერნყა მელოდიას. თავდაპირველად ასე იწყებოდა:

„მე თბილისის მოტრფიალე ვარ, იმის ავ-კარგს გულში ჩავიკრავ...

რეფრენი ჰქონდა: „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტევოს ჩემმა თბილისმა!“

სიტყვის „ავკარგს“ ეღერადობა კომპოზიტორს ცოტა ეხამუშა და შეცვალეს სიტყვით – „სახელს“

ავტორმა სიმღერა მოასმენინა ფიროსმანისადმი მიძღვნილი დიდებული საგალობლის ავტორს, კომპოზიტორ არჩილ ჩიმაკაძეს, რომელსაც აღტაცებასთან ერთად ასეთი აზრი გამოუთქვამს – დასანანი იქნება, რომ არ გაზარდოო. მისი პოტენცია გეკარნახობს, რომ ეს არის ფართო, გაშლილი, ეპიკური სიმღერა. ავტორმა ყურად იღო რჩევა და, მართლაც, თემა განავითარა. სიმღერამ მეტი მასშტაბი და შთამბეჭდაობა მიიღო.

თავდაპირველად კომპოზიტორს ჩაფიქრებული ჰქონდა – „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ ემღერა მამია ხატელიშვილს თაყის ანსამბლთან ერთად, როგორც აკაპელა, მაგრამ ეს ვერ მოესწრო.

ნიკო ფიროსმანაშვილი

შემდეგ თავად ნუნუ დუღაშვილმა შეასრულა ამ ანსამბლთან ერთად. „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“ ასევე იმღერეს ანსამბლმა „ფესვებმა“, გულიკო ჭანტურიამ, რობერტ ბარძიმაშვილმა, ნიკო ლეკიშვილმა, გიო ხუციშვილმა. სიმღერა ერთ-ერთ ეფექტურ ეპიზოდად იქცა გიზო ნიშნიანიძის ძალზე პოპულარული

გია შარაძეების ფოტოსურათიდან „ქალაქი"

კომპოზიციისა – „პაემანი ვერაზე". კომპოზიტორი ბატონ გიზოს უმადლის ამ სიმღერის სტუდიურ ჩანაწერს.

* * *

მაინც როგორ მოიპოვა განსაკუთრებული ყურადღება სიმღერამ – „მე თბილისის მოტრფიალე ვარ" – ქართველი ადამიანის ყურთასმენაში დამკვიდრებული და შესისხლხორცებული თბილისისადმი მიძღვნილი განუმეორებელი სიმღერების შემდეგ? ცხადია, ვგულისხმობთ ქართული სიმღერის კლასიკოსების – რევაზ ლაღიძის „თბილისოს", იმთავითვე ჩვენი დედაქალაქის მუსიკალურ ემბლემად რომ იქცა, მისივე „შენ გიმღერი ჩემო თბილის ქალაქო", გიორგი ცაბაძის შემოქმედებას, რაც შეიძლება მთლიანად თბილისის ტრფიალებად აღვიქვათ.

აღსანიშნაია, რომ თბილისის თემაზე შექმნილი სიმრერების უმეტესობა ან ძველი თბილისის წარმტაცი სურათების ილუსტრირებას წარმოადგენს, ან ასეთი თბილისის ხოტბას. ეს სიმღერები თბილისური ფოლკლორის სტიქიიდან არიან ამოზრდილნი. ნუნუ დუღაშვილსაც აქვს ამგვარი ნიმუშები, სახელდობრ, „თბილისური ალბომიდან": „თბილისო სიყვარულო", „შენ და თბილისი", „თათრის გოგონავ", „არაბი ხარ", „სოლოლაკი."... ამ სიმღერების ერთ-ერთ ღირსებად ისიც მიგვაჩნია, რომ ისინი არ განიცდიან ნინამორბედი კომპოზიტორების სტილურ გავლენას, მათ, თავისთავადი, თვითმყოფადი სახე აქვთ.

სიმღერაში „მე თბილისის მოტრფიალე ვარ" უფრო ახლო წარსულის თბილისელის გულისთქმაა გამოხატული. ვიტყოდით, აქაც, მის მელოდიურ მიმოქცევაში გაერთვება თბილისური ფოლკლორის სტილის მარცვალი, მაგრამ ის ძალზე შეფარულია, სახეობრივ- ემოციური გარდასახვის მეოხებით. ამიტომაც ეს სიმღერა არის ძველი თბილისური ცხოვრების არა ფრაგმენტი, არამედ მისი განცდა – გულსა და სხეულში გამოტარებული. როგორც თავად კომპოზიტორი ბრძანებს: – ეს სიმღერა არის ბოჰემაზე, მასში მთელი ბოჰემური სული ჩავაქსოვე, ეტყობა ამიტომაც შეარხია მან ნიაზის გული და ნერვი...

ნიაზ დიასამიძე

მართლაც, სიმღერამ „მე თბილისის მოტრფიალე ვარ" (ცხადია, მუსიკისა და ლექსის ერთობას ვგულისხმობთ – თ.წ.) მოიცვა ის ტკივილი, თბილისში მიუსაფარ, უთვისტომო ნიკალას რომ წაპყვა თან. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ რომ ნიაზ დიასამიძე იქცა ტექსტის ავტორად. ნიაზ დიასამიძე, რომელიც ისტორიას შემორჩა, როგორც თბილისური ბოჰემის ერთ-ერთი სიმბოლო. ნიაზ დიასამიძე, რომელიც თავდავიწყებას არამხოლოდ ვერელ მეგობრებთან თავშეყრასა და ბაბუსში ჰპოვებდა, არამედ ამავე დროს ფორტეპიანოზე დკვრაშიც, ქართული, რუსული თუ ევროპული პოეზიის ნიმუშების განცდაშიც.

რაც შეეხება კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილს: ფაქტია, რომ მისი ცხოვრების მონოდებად სიმღერა იქცა. ამ ნუთას იმასაც ამბობს, რომ ეუხერხულება, კომპოზიტორს რომ უნოდებენ. ცხოვრების გზის დასაწყისში სხვა რამეზე ფიქრობდა, სხვა რამეზე ოცნებობდა. მოსკოვიდან საგანგებოდ ნიჭიერი მოზარდების ასარჩევად ჩამოსული პროფესორი იოხელესის გადაწყვეტილებით, იგი მისი კლასის სტუდენტი გახდა, მაგრამ მშობლების ნებამ იძალა და ხანმოკლე აღმოჩნდა მოსკოვის კონსერვატორიაში, პიანისტ იოხელესის კლასში სწავლა. საკომპოზიტორო ხელოვნებას თბილისში – დიდი ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. შექმნილი აქვს საფორტეპიანო კონცერტი, საფორტეპიანო პიესები, სავიოლინო პიესების ციკლი, მუსიკა კინოფილმებისათვის. მაინც სწუხს სიმღერის გარდა სხვა მუსიკალური ჟანრების სიმწირეს.

ეფიქრობთ, ქართველი საზოგადოებისაგან ნუნუ დუღაშვილს უსაზღვრო მადლობის მეტი არაფერი ეთქმის სწორედ მისი სიმღერებისთვის, რომლებიც დიდი ხანია აიტაცა და შეისისხლხორცა ხალხმა ისე, რომ ხშირად არც იციან, თუ ვინ არის მათი ავტორი. როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, – ამაზე დიდი ჯილდო შემოქმედისთვის რა უნდა იყოს. დიდი მადლობა ქალბატონ ნუნუს იმისთვის, დღეს, სიმღერებად ნოდებული „ანტისიმღერების" მოძალების ჟამს, ღირსეულად რომ აგრძელებს ქართული სიმღერის კლასიკოსთა ტრადიციას, აკი თავადაც კარგა ხანია აღიარეს (ავტორიტეტულმა მუსიკოსებმა – თ.წ.) ქართული სიმღერის კლასიკოსად.

ჩვენი რუბრიკისა და ნერილის მიზანი ერთი სიმღერის ამბის თხრობა იყო და თუკი სიტყვა მაინც გაგვიგრძელდა, შეგვიძლია ისევ ჩვენს მიერ ატაცებული სიმღერის პერიფრაზის მოხმობაც: – მოგვიტევოს ჩვენმა მკითხველმა!

თამარ წულუკიძე

მუსიკა, მისი სამყაროს განუყოფელი ნაწილი

სიტყვა „მხატვარი" ქართულ ენაში, თავისი ფუძითა და სემანტიკით მშვენიერს, ხატს, ხატებას უკავშირდება, რაც თავის თავში არა მხოლოდ სილამაზეს, არამედ მიუნდომელსა და საიდუმლოსაც გულისხმობს; სამყარო, რომელიც ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედებაშია მოცემული, სამყარო, რომელიც მის სახელოსნოში დაგვხვდა, ქართული სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობასთან სრულ თანხვედრაშია – მშვენიერი, იდუმალი, მიუნდომელი...

ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული", რიჩარდ შტრაუსის „სალომე", ანტონიო ვივალდის „წელიწადის დრონი", ჰერმან ლოვენსპოლდის „სილფიდა", კომპოზიტორ ფელიქს ღლონტისა და მუსიკისმცოდნე მანანა კორძაიას პორტრეტები, „მუსიკოსები"... მის შემოქმედებაში, თითქოსდა მუსიკასთან დაკავშირებული ბევრი თემა არაა, მაგრამ, მუსიკა ბ-ნი ზურაბის ცხოვრებისა და შემოქმედებითი სამყაროს განუყოფელი ნაწილია. ზურაბ ნიჟარაძის სახელოსნოში იმთავითვე თვალში მომხვდა მუსიკალური ცენტრი – მუსიკა ხომ მისი შემოქმედებითი პროცესის თანმდევი კომპონენტიცაა.

– ბ-ნო ზურაბ, ცნობილია თქვენი განსწავლულობა მუსიკაში და მუსიკის სიყვარული, პორტრეტების თქვენ უზარმაზარ გალერეაში მუსიკოსთა სახეები ნაკლებად გვხვდება, თუმცა თქვენი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია კომპოზიტორ ფელიქს ღლონტის პორტრეტი. რით იყო ეს გაპირობებული, რამ განსაზღვრა თქვენი არჩევანი?

– დაკვეთით დავხატე. ახლახანს 80 ნელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით დამიკვეთეს.

– ჩანს, თქვენ მანამდეც გქონდათ კომპოზიტორთან ურთიერთობა. ეს შემთვევით დაკავშირებული ხომ არ არის ბათუმთან, სადაც თქვენც და ბ-მა ფელიქსმაც ცხოვრების გარკვეული წლები გაატარეთ?

– არა, იქ არ შევხვედრივარ. ჩვენ „ნიჭიერ ბავშვთა" მუსიკალურ ათწლედში ერთ კლასში, კონტრაბასის კლასში ვსწავლობდით. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, დაახლოებით სამოცი წლის წინ. რა თქმა უნდა, ფელიქსი ფორმალურად იყო იქ, ის ისე იყო გართული კომპოზიციებით, რომ არც აპირებდა გაპყოლოდა კონტრაბასს, სხვათა შორის, არც მე. ჩვენთან ერთად სწავლობდა, აგრეთვე, ბიძინა კვერნაძე.

– როდესაც მის პორტრეტს ხატავდით განმსაზღვრელი იყო მისი წინაალმდეგობრივი და მეტად საინტერესო პიროვნება, მისი მუსიკა, ტიპაჟი თუ...?

– რა თქმა უნდა, როგორც კომპოზიტორი ძალიან საინტერესოა, თანამედროვე... მასალა თანამედროვე, საინტერესო ინსტრუმენტული მხარე – შემოდის ახალი ინსტრუმენტები, ჩნდება ახალი მასალა, ახალი ჟღერადობა, ახალი ჰარმონიები. ის ძალიან ნიჭიერი კაცია. მისი ნაწარმოებები მოსმენილი მაქვს, ახლახანს მაჩუქა რამოდენიმე. ადრეც მქონდა მოსმენილი, მაგრამ, ძალიან ღრმად არ ვარ ჩახედული მის მუსიკაში.

– ქართულ მუსიკაში?

– თანამედროვე მუსიკას რასაც ეძახიან, ვერ გეტყვით, რომ კარგად ვერკვევი. რაღაც მომწონს, რაღაც – არა. ისე, პრინციპულად, აბსოლუტურად ვეთანხმები არჩევანში... თუმცა მე ჩემი თვალსაზრისი მაქვს ამასთან დაკავშირებითაც. მე ვთვლი, რომ ახალი შემოდის ახალი მასალით და არა თავიდან, ტვინიდან მოგონილით. ახალი მასალა განაპირობებს ახალ ესთეტიკას. აი, ასე ჩამოვაყალიბებდი ჩემს დამოკიდებულებას თანამედროვე...

– თანამედროვე მუსიკას გულისხმობთ?

– არა მარტო. საერთოდ, როცა ყოფილა რაიმე სიახლე ან მუსიკაში, ან ფერწერაში, ან ლიტერატურაში, საზოგადოდ ხელოვნებაში, ეს ყოველთვის იყო დაკავშირებული ახალ მასალასთან. ნათელი რომ იყოს რას ვგულისხმობ, განვმარტავ. დანტემ დანერა „ღვთაებრივი კომედია" იტალიურ ენაზე. ეს იყო ახალი მასალა, იმიტომ რომ მეტყველება შემოვიდა იტალიური და არა ლათინური. ლათინურად ვერ დაწერდა ამ ნაწარმოებს. რასაც ეძახიან ახალს, თანამედროვეს, ამას მე ვაკავშირებ თანამედროვე მასალასთან. ამდენად, მე, განწყობის თეორია რომ მოვიშველიოთ, კი მესმის ეს, და მივესალმები კიდეც. თანამედროვე – ესაა ახალი მასალის ფლობა...

– ე.ი. თქვენ თანამედროვეს ხელოვნებაში იღებთ როგორც ფაქტს, მოვლენას. რეალობიდან გამომდინარე ახალი მასალის აუცილებლობასა და მის ფლობას. მაგრამ, რას იტყვით ესთეტიკურ მხარეზე?

– ერთი-ორი ნაწარმოები ძალიან მომეწონა. როგორც გითხარით, ფელიქსმა მაჩუქა და მოვისმინე. მაგრამ რასაც ის ქადაგებს... დამირეკა ერთხელ და მეუბნება, ზურიკ, „თანამედროვე მუსიკა არ უნდა იყოს სასიამოვნო". „რატომ?! – ვეუბნები მე – თქვენ, ავანგარდისტები, როდესაც გამოდიოდით და დეკლარირებდით თავისუფლებას, პირველი, რაც თქვენ გააკეთეთ, დაანესეთ აკრძალვები, როგორ გავიგოთ-მეთქი ეს?". ვერ მიპასუხა.

– საერთოდ რთული პიროვნებაა და როგორც ალვნიშნე, წინაალმდეგობრივი...

– აქ პიროვნებაზეც არაა. უბრალოდ, ესენი საკითხს შემდეგნაირად აყენებენ. გასაგებია, რომ მოძველებული ნორმები, მოძველებული თვალსაზრისები, ესთეტიკური აღქმა და ა.შ. უნდა შეიცვალოს. რა თქმა უნდა, იცვლება, ვითარდება კიდეც, მხოლოდ ისევ მასალასთან დაკავშირებით. მაგრამ

აკრძალვები მე არ მესმის პრინციპულად! ვინაიდან, ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში შეიძლება იყოს ძალიან სასიამოვნო და ამავე დროს თანამედროვე. აუცილებელი არაა ხელოვნების ნიმუში იყოს მახინჯი, რომ იყოს თანამედროვე.

– სამწუხაროდ, თანამედროვეს ცნება ზოგს ასე ესმის.

– ხო, ამის წინააღმდეგი ვარ პრინციპულად. თუ ხელოვნება უნდა იყოს თავისუფალი, როგორც ამას ავანგარდისტები აცხადებენ, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ თავისუფლებაზე და არა აკრძალვებზე. რატომღაც ჩამოყალიბდა ისეთი ტენდენცია, რომელმაც ძალიან ვიწრო ჩარჩოებში მოაქცია ავანგარდული ხელოვნება. გესმით? უკვე კანონებს ადგენენ, დოგმები ჩნდება, ეს ყველაფერი კი სნორედაც რომ „არაცოცხალია". სადაც კი დოგმატური გაჩნდება, ეს უკვე ცუდის ნიშანია. ამიტომაც არ მესმის, რატომ არ უნდა იყოს თანამედროვე მუსიკა სასიამოვნო. ამავე დროს, იგივე, ფელიქს ღლონტს, ძალიან სასიამოვნო ჰანგები აქვს თავის ნანარმოებებში. მელოდიზმიც არის და მელოდიურობაც, ერთიცაა და მეორეც. იცით რა, თეორიული მხარე ძალიან ხშირად სცდება პრაქტიკას. ფილოსოფია ერთია, როგორ სრულდება ეს ფილოსოფია – მეორე. ამგვარად, ვფიქრობ, ფელიქს ღლონტი რასაც ქადაგებს, იმის საწინააღმდეგოს აკეთებს. ახლა რატომ მელოდიური...

ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ თუ არის წამყვანი ხმა, ეს ეწინააღმდეგება პოლიფონიურ პრინციპს. წინათაობის კომპოზიტორები ბახსაც კი ადანაშაულებდნენ: „ის არ არის პოლიფონისტი, ვინაიდან მასთან არის წამყვანი ხმა. ამიტომ, ეს არ არის ნამდვილი პოლიფონიაო". ასეთი წინააღმდეგობებიც არსებობს. საზოგადოდ, წინააღმდეგობრივად ვითარდება ყველაფერი, როგორც გითხარით, ფელიქს ღლონტთან არის ძალიან კარგი ფრაგმენტები, კარგი ტემბრული მიგნებები. ახალი ინსტრუმენტები რომ შემოდის, პერსონაჟის დატვირთვას ღებულობენ.

– ალბათ, ტემბრის პერსონიფიკაციას გულისხმობთ?

– დიახ. ბახის, მოცარტის, საერთოდ, კლასიკოსების ორკესტრში არ იყო ეს. იქ განზოგადებული ღღერადობაა, არა? როდესაც ტემბრს ენიჭება განსხვავებული მახასიათებელი, ალიქმება როგორც მოქმედი პერსონაჟი, ეს სულ სხვაა. მაგრამ, მთავარია, რომ ეს განსხვავებული ჩაენეროს მთლიან ხმოვანებაში, არ იყოს ამოვარდნილი. საზოგადოდ, ტენდენციაა ასეთი. მთელი ეს პლურალიზმი გულისხმობს განსხვავებულს, მაგრამ „აღვირახსნილი" განსხვავებულობა კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა ჩაენეროს ესთეტიკურ მთლიანობაში. ესაა პრინციპული საკითხი.

– თქვენ დასაწყისში საუბრობდით ახალ მასალაზე ხელოვნებაში. მაგალითად, ქართულ მუსიკაში ცალკეულ ნაწარმოებებში გვხვდება ახალი, საინტერესო მასალა, მაგრამ ვერ ხდება ხოლმე ამ მასალის შესაბამისი განვითარება, ერთ მთლიან დრამატურგიულ ქარგაში თავმოყრა და შეკვრა. ვგულისხმობ, რომ ქართულ მუსიკაში ხშირად არის დრამატურგიული პრობლემები (განსაკუთრებით დიდ ფორმებში) და არა ახალი მასალის ფლობის უნარი. ახალი მასალა, სამწუხაროდ, ყოველთვის ფორმის ადეკვატური არა.

– აი, სწორე, ეგაა... ყველა მოელენას აქვს ტენდენცია აბსოლუტიზაციისკენ. ეს ძლიერი იმპულსი რომ არ ჰქონდეს, ის არ იქნება სიცოცხლისუნარიანი. მაგრამ, თუ მოუშვი ეს პროცესი, მაშინ ფორმა ირღვევა. ყველა თავისთვის რომ მიერეკება, ერთ ფორმაში ვერ აქცევ. კონტრაპუნქტის მთელი ხელოვნება იმაშია, რომ განსხვავებულები მოაქციო ერთ მთლიანობაში. ესაა კონტრაპუნქტის ხელოვნება. ავიღოთ, თუ გნებავთ, კრიმანჭული – რა განსხვავებული ხმებია, რა მრავალფეროვნება და პლურალიზმი, მაგრამ იკრიბება ერთ სიმღერაში... დიახ, არიან თანამედროვე კომპოზიტორები, დენისოვი, შნიტკე, შონბერგი... მაგრამ, მაგალითად, დოდეკაფონია ხომ ვერ განვითარდა. ყავს მიმდევრები, ვებერნი და სხვა, მაგრამ კლასიკური სახე ვერ მიიღო, კლასიკად ვერ ჩამოყალიბდა.

– ამის მიზეზს თქვენ ხედავთ დოგმების და მკაცრი წესების შემოღებაში, რაც შემოქმედებით თავისუფლებას ზღუდავს, თუ რაიმე სხვა გარემოებასაც გულისხმობთ?

– დიახ, დოდეკაფონიამ თვითონ ჩაკეტა თავისი თავი. თუმცა, იგივე შონბერგი რატომ აკეთებდა ამას? იმისთვის, რომ მოეპოვებინა თავისუფლება და მოხდა პირიქით. აღმოჩნდა, რომ თვითონვე ჩაიკეტა თავი რაღაც კანონებში. აი, ასეთი წინააღმდეგობები არის, რაც, რა თქმა უნდა, მსჯელობას, კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩააბშო და მოსპო, არა. უნდა განვითარდეს აბსტრაქციონიზმიც, და ეს ყველა-

ზურაბ ნიჟარაძე – ი. თაქთაქიშვილის ოპერის „პირველი სიყვარული“ ფარდა

ფერიც, მაგრამ ჩვენ ჩვენი თვალთახედვაც გვაქვს – რისგან რა გამოდის, რა მომავალი აქვს, სიცოცხლისუნარიანი არის თუ განვითარების შანსი არა აქვს და ა.შ. აი, ტრიალებს მთელი ეს იდეური წინააღმდეგობები, ერთმანეთს ებრძვიან და ჭეშმარიტება ნელნელა ვლინდება. ასეთია პროცესი. ჩვენ ვართ პროცესში. პროცესი ნიშნავს ცვალებადობას. ახლა, რა სფეროშია ცვალებადობა? თუ მსოფლმხედველობაზეა საუბარი, მის ცვალებადობას სჭირდება დიდი ფილოსოფიური დასაბუთება. მსოფლმხედველობა ასე ადვილად არ იცვლება, ფორმები იცვლება, ისევ ამ მასალასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ამ პროცესში არის დიდი მიგნებებიც. მაგალითად, ორკესტრირება. – ნახეთ როგორი საინტერესოა რიჰარდ შტრაუსის ორკესტრი. რითი? სწორედ ამ ფერების მრავალფეროვნებით, მაგრამ, ამასთანავე, ამ ყველაფერს თავმოყრა უნდა, ის არ შეიძლება დაიქსაქსოს. ფერწერაშიც იგივე იყო. სეზანი ისწრაფოდა კლასიკისაკენ. ვინც არ არის ჩახედული, გაიკვირვებს. სად სეზანი და სად კლასიკა, მაგრამ თვითონვე ამბობს: „მე ვისწავლი კლასიკისაკენ“. რას ნიშნავს ეს კლასიკა? სრულყოფილი უნდა იყოს. მთელი ეს მრავალფეროვნება. რაც იმპრესიონისტებმა შემოიტანეს, ძალიან კარგია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი. ამ გამოცდილების გამოყენებით, მასთან ზიარებით უნდა შეიქმნას რაღაც კონსტრუქციული, ხომ?! იმპრესიონისტებმა ბოლოს მიაღწიეს იმას, რომ ლაქები დარჩა, ადამიანი დაიკარგა შიგ. ასე არაა? მონეს „რუანის ტაძარი“ რომაა, იქ არც საყდარია, არც არაფერი. იქ ბურუსია მხოლოდ, ბურუსში გათქვეფილი რაღაც, ხომ?. ეს ტენდენცია რომ გაგრძელდეს მივალთ აბსტრაქციონიზმამდე. აბსტრაქციონისტებმა ბევრი იფიქრეს, არავითარი სახლი აქ არ ჩანს, რა ჩანს? ფერადი ლაქები. მოდი, რად გვინდა რამე, ლაქები გავაკეთოთ პირდაპირ. არ გამოვიდა ეს. ლაქა არავის არ აინტერესებს, მას შინაარსი უნდა ჰქონდეს.

– იქნებ ესაა მიზეზი, რომ თანამედროვე ხელოვნებაში თითქოს თანდათან იკარგება, ან უკანა პლანზე გადადის ემოცია, ესთეტიკა, ის, რითაც გვხიბლავს ხელოვნება. ამიტომაც, როგორც მსმენელს, მაყურებელს არ მაღელვებს, ან არ „მეხება“... თითქოს თანდათან გაუცხოება ხდება მაყურებელს, მსმენელსა და ხელოვნების ნიმუშს შორის. ვხედავ, რომ პროფესიულადაა შესრულებული, გამოყენებულია ახალი ტექნოლოგიები, თუ გნებავთ, მასალა, შინაარსობრივადაც დატვირთულია და ა.შ., მაგრამ ეს რატომღაც არ გვაღელვებს...

– ე.ი. დრამატურგიას გულისხმობთ. დრამატურგია დაპირისპირების გარეშე არ არსებობს. არ შეიძლება ცალსახა რაღაც იყოს და იქ იყოს დრამატურგია. იქ აუცილებლად უნდა იყოს დაპირისპირებები, განვითარება... ახლა რა მოხდა. შინაგანი დრამატურგია აურიეს გარედან მოტანილ დრამატურგიაში, ე.ი. ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, არ არის სიცოცხლისუნარიანი. რატომ? იმიტომ რომ, უნდა გამოხვიდე კონკრეტული დარგის და არა მეზობელი დარგის თვითმყოფადობიდან. ლიტერატურიდან კი არ უნდა გახვიდე ოპერაში, არამედ მუსიკიდან, ანუ მასალიდან. იგივეა ფერწერაში. თუ რეპინის სურათში „ბურლაკები“ მთავარი თემაა მხოლოდ ის, თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ ბურლაკები, მაშინ ამის მოყოლა შეიძლება სიტყვებითაც, ფერწერა აქ საჭირო აღარაა. დარგი რა არის? დარგი არის ის, რაც არაფრით არ შეიცვლება. ვენერა მილოსელი არ შეიძლება აღწეროს ვილაცამ და იგივე შედეგი მიიღო. თუ შეიძლება იგივე მიიღო, მაშინ არავითარი აზრი არა აქვს იმის გამოქანდაკებას.

– თუმცა, რამდენადმე მიმსგავსებული განწყობა შესაძლებელია მოიტანოს ფერწერის, თუ გნებავთ, მუსიკის ლიტერატურულმა აღწერამაც, თუ ამას ნიჭიერი და შემოქმედებითი ადამიანი, შემოქმედი აკეთებს. თქვენ არ ფიქრობთ ასე?

– შესაძლებელია, თუ იქ არის ჩაქსოვილი ის რაღაც, რაც მეორე დარგში უფრო კარგად ვითარდება. ფსიქოლოგიზმი, მაგალითად, სკულპტურაში არაა საჭირო, ვინაიდან დოსტოევსკი რომ ფსიქოლოგია, ისეთი ფსიქოლოგი ვერც ერთი სკულპტორი ვერ იქნება, ხომ? რაღა საჭიროა მაშინ სკულპტურაში ამის გაკეთება?! შენ უნდა გააკეთო ის, რაშიც შენ დოსტოევსკი ვერ გაჯობებს – განუმეორებლობა ამ დარგის. „უნდა ამოხვიდე საგანთა ბუნებიდან“, ანუ თეატრში – თეატრის ბუნებიდან; არც მუსიკის, არც მხატვრობის, არამედ თეატრის ბუნებიდან! იყო ქანდაკებაშიც ისტორიული პერიოდები, როდესაც ხდებოდა მისი გასულიერება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არ ხდებოდა ჩანაცვლება, დარგის სპეციფიკა არ კარგავდა სტატუსს. თუ ეს დაკარგა, აი, მაშინ დარგი იშლება. სკულპტორისათვის ფსიქოლოგიური მომენტები – ღიმილი, თვალები და ა.შ., არის დეტალები. დეტალების დომინირებისას კი იკარგება მთელი.

– სამწუხაროდ, მუსიკაში აქვთ ხოლმე პრეზენტია და ამბიციაც თქვენ მეტი და განსხვავებული, ანუ გასცდნენ მუსიკის საზღვრებს...

– იმიტომ რომ, თავის დარგში ახალს ვერაფერს ვერ აკეთებენ. აი, ამაშია საქმე, და მეორე, მეზობელი დარგიდან „ტენიან“ თავის დარგში რაღაცეებს. არ გამოვა ეგ. ეგ არის სწორედ დეკადანსის პირველი ნიშანი.

– თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ჟანრთა ურთიერთშეღწევის პროცესი ახალი არაა, და არც მხოლოდ თანამედროვე მუსიკის მახასიათებელია. გნებავთ XIX საუკუნე აიღეთ, გნებავთ უფრო ადრეც... XX საუკუნეზე აღარა-

ფერს ვამბობ. ეს პროცესი, ვფიქრობ, უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება XXI საუკუნეში.

– კი, ეს მართალია, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ დომინანტი არ დაკარგო. და პირიქით, ხაზი. ამიტომ მოკვდა ჩეხოვის თეატრი – ლიტერატურამ შეჭამა. მერე დაიწყეს ექსცენტრული სიახლეების მოძიება, მაგალითად, ვახტანგოვის თეატრში, როგორც რეაქცია იმაზე. ახლა ისინიც თუ გადააჭარბებენ და დაკარგავენ დომინანტს, არც ის იქნება სიცოცხლისუნარიანი. თუ რეჟისორი განათლებული კაცია, უნდა იცოდეს რას აკეთებს. უნდა იცოდეს, რომ ის არის რეჟისორი და არა მწერალი.

– ვაგნერი „მუსიკა და დრამა"-ში წერს, რომ ხელოვნება უნდა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ, სინკრეტულ ბუნებას. ანტიკურ პერიოდში ხომ დარგები არ იყვნენ დამოუკიდებელნი – მუსიკა, ტექსტი, პლასტიკა, ეს მხოლოდ ერთიანობაში მოიაზრებოდა. ნაწილობრივ ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად ვაგნერთან ყველთა ურთიერთშეღწევის პროცესს...

– ვაგნერს უდიდესი დამსახურება აქვს ორკესტრობაში, მაგრამ ერთი ნაკლიც აქვს, ამსახველობითობა შემოიტანა. ილუსტრაციულობა უცხოა მუსიკისათვის, თუმც შესაძლებელია. არ შეიძლება წყალზე ლივლივის გადმოცემა მუსიკით, ეს უკვე ჩიხია. კი, ბატონო, ანტიკური ხელოვნება იყო სინკრეტული. იქ ხომ მუსიკა, ფაქტიურად, თანმხლებ ფუნქციას ასრულებდა. შემდგომ, როდესაც ხელოვნების დარგებმა დამოუკიდებელი არსებობა დაიწყეს, მათ შეიძინეს თავისთავადობის შანსი და თავისი მახასიათებლები. დარგი თუ ამ მახასიათებელს დაკარგავს, ეს არის უკვე კრიზისი. ვენის კლასიკური სკოლის უმაღლესი წერტილია ბეთჰოვენის შემოქმედება, მაგრამ, ამავე დროს, მუსიკალური ხელოვნების დაკნინების, დაქვეითების მამამთავარი. IX სიმფონიაში მან შილერის ტექსტი შემოიტანა, „ოდა სიხარულისა", რატომ? ეკ. მუსიკით ვერ თქვა ხომ ის, რაც უნდოდა? ნიცშე ამბობს, რომ ბეთჰოვენს IX სიმფონიაში, როდესაც შემოაქვს „ოდა სიხარულისა", ეს უკვე ცუდის ნიშანიაო.

ეს ტენდენცია შემდგომ უფრო გაძლიერდა, რომანტიკოსებთან, და ბოლოს მივედით კრიზისამდე. ეს დარგს ანგრევს. თვითონ მუსიკა ექცევა უკვე იმ „შემოსული" დარგის გავლენის ქვეშ და კრიზისიც სახეზეა.

– თქვენ საუბრობდით, რომ არ შეიძლება იდეამ, „გონმა" აიღოს პრიმატი შემქმედებით პროცესში, არ შეიძლება დოგმებით ხელმძღვანელობა. მაშინ კლასიცისტურ პერიოდზე რას იტყვით, სადაც „რაციოს" პრიმატი გაცხადდა?

– კლასიციზმი – ეს საშინელებაა, მკვდარი ხელოვნება! იმიტომ, რომ თავიდან არის წამოსული. თუ ეს ორგანულად დაიბადება, მაშინ ის სიცოცხლისუნარიანი იქნება. ამიტომ კლასიციზმი – მკვდარია, კლასიკა – ცოცხალი. ხელოვნება განცდების სფეროა და არა მოსაზრებების.

– ბ-ნო ზურაბ, თქვენ როდესაც მუშაობდით საოპერო სპექტაკლების, მათ შორის თბილისის საოპერო დადგმებში ერთ-ერთი საუკეთესოს, რიჰარდ შტრაუსის „სალომეს", ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარულის", ბალეტების მხატვრულ გაფორმებაზე, მაშინ ხომ ბუნებრივად მუსიკა უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი. ასეა, თუ არა? ამ შემთხვევაში დარგის სპეციფიკა არ გადადის მეორე პლანზე?

– უნდა გამოგიტყდეთ. აქ ვხელმძღვანელობდი დამდგმელი-რეჟისორის მელიეას მითითებებით. მე არასდროს არ ვამბობ უარს სამუშაოზე, ერთი მნიშვნელოვანი დამატებით, მე ჩემებურად ვცდილობ ჩემი წარმოდგენა განვახორციელო.

– როგორი წარმოდგენებით ხელმძღვანელობდით, მაგალითად „სალომე"-ზე მუშაობისას?

– მასშტაბურობა... სალომეს ბოლო მონოლოგი 20 წუთი რომ მიდის, გრანდიოზულია, მუსიკის ოკეანეა. გაფორმების გადაწყვეტასაც ღღერადობის ეს მასშტაბურობა, ხასიათების სიმძაფრე მკარნახობდა. თუმცა, რეჟისორის მითითებებს მივყვებოდი. იყო მომენტები, რომლებსაც არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ვაკეთებდი. ჩემთვის საოპერო თეატრში მუშაობა ძალიან უცხო და საინტერესო იყო. განუმეორებელი და მომხიბლავი ატმოსფერო. თაქთაქიშვილის ოპერისათვის მე გავაკეთე უზარმაზარი ფარდა (16×12). მუშაობისას ძალიან მაინტერესებდა საბოლოოდ როგორი იქნებოდა იგი.

– ბ-ნო ზურაბ, როდესაც ჩვენს ჟურნალში ამ რუბრიკის ჩართვა გადავწყვიტე, ერთ-ერთ მხატვარს ვესაუბრე, ვკითხე, რამდენად არის ქართველ მუსიკოსთა სახეები ასახული ქართულ მხატვრობაში. მან მიპასუხა, რომ სამწუხაროდ მუსიკოსების ნრე, რატომღაც, თავის თავში ჩაკეტილი წრე იყო, და ამიტომ ნაკლებად აისახა მათი სახეები ქართულ ფერწერაშიო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– საერთოდ ჩაკეტილობა ჩვენი სენია. ახლაც ასეა. საზოგადოება არ არის და იმიტომ.

მუსიკოსმეოდნე მანანა კორძაიას პორტრეტი

– თქვენ, პირადად, დაკვეთის გარეშე არ გქონიათ სურვილი რომელიმე ქართველი მუსიკოსი, კომპოზიტორი, შემსრულებელი დაგეხატათ? ან ის მითხარით, არც ქართველ კომპოზიტორებს გამოუხატავთ სურვილი, რომ დაგეხატათ? მაგალითად, ოთარ თაქთაქიშვილს, რომლის ოპერაზეც მოგიწიათ მუშაობა?

– არა! (იცინის). ჩემთვის სულ ერთია ვის ვხატავ, ან რას ვხატავ. ბოთლს რომ ვხატავ, ისეთივე ინტერესით შემიძლია პორტრეტი დავხატო. ჩემი დამოკიდებულება არ გამოდის ობიექტიდან. ჩემი დამოკიდებულება ფერწერაში გამოდის ჩემი პალიტრიდან. ჩემი საღებავები უნდა გავაცოცხლო, გნებავთ ნატურმორტით, გნებავთ პეიზაჟით, გნებავთ პორტრეტით და რითაც გნებავთ. დამოკიდებულება, დაინტერესება ჩემი ასეთია. ისე კი, შესაძლებელია ეგეც, თუ დამაინტერესებს ადამიანი, დავხატო. მაგრამ,

პროფესიული დამოკიდებულება აქედან არ გამოდის ვის ხატავ, არამედ როგორ ხატავ.

– ეს გასაგებია. მთავარია როგორ და არა რა, ამას გულისხმობთ, ალბათ. მაგრამ, თქვენ პორტრეტებს რომ ვუყურებთ, ეს ძნელი წარმოსადგენია, ვინაიდან იქ ადამიანის სულში ისეთი ღრმა წვდომა იგრძნობა ძნელად წარმოსადგენია, რომ თქვენი მთავარი ამოცანა მხოლოდ „რა“ იყოს. აი, თუნდაც თქვენი „სვანი გოგონას“ პორტრეტი, რომელმაც გამახსენა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის გმირი, პატარა ხევსური ულამაზესი გოგონა, რომლის მშვენიერება სრულ პარმონიაშია ბუნების, სამყაროს მშვენიერებასთან. ერთხელაც მას მამა დატუქსავს და გაარტყამს. გოგონა გოგანებულია და შეურაცხყოფილი – ხელთუქმნელი მშვენიერების სრული პარმონია დაირღვა... მისი არაამქვეყნიური მშვენიერება „ხელყვეს“; სევდით ივსება და თავს იკლავს.

– შესაძლოა. იცით რა, უბრალოდ კარგად უნდა დაიბატოს და ის, რაც შიგ დევს, ფსიქოლოგიზმი ხომ, თვითონ გამოვა იქედან, ეს თავისთავად ხდება. მე ძალდატანებით არ მჭირდება მისი ილუსტრაცია. როგორც კი ილუსტრაციაში ჩავარდები, ეს არის ცუდი ხელოვნება.

სვანი გოგონას პორტრეტი

– არა, ილუსტრაციას სულაც არ ვგულისხმობ. სწორედ იმის მიღმა რაც არის და რაც არ გამოითქმის, მაგრამ მასში დევს, თქვენ პორტრეტებში ისაა ნაპოვნი.

– დიახ, დიახ, სწორედ ეგაა განუმეორებელი. როგორც კი მე რაიმე იდეის ქვეშ დავიწყებ მუშაობას, არაფერი გამომივა. თვით სკრიაბინსაც კი კიცხავდნენ, რომ მისი ნარმმართველი ხელოვნებაში იდეა იყო. ეს ძალიან ცუდი მაგალითია. მუსიკა მუსიკიდან უნდა ამოდიოდეს და არა იდეიდან. დეგა ერთი პერიოდი მდივნის მოვალეობას ასრულებდა როდენთან. მოგეხსენებათ, იქ როგორი წრე იკრიბებოდა, მათ შორის იყო მალარმეც. დეგა თურმე ნერდა ლექსებს. ერთხელაც მალარმესთვის უთქვამს: „მე იმდენი იდეები მაქვს, იმდენი განცდები, ემოციები, მაგრამ ლექსები არ გამომდისო“, მალარმემ უპასუხა: „ძვირფასო დეგა, ლექსები იდეებით და განცდებით არ იწერება, ლექსები სიტყვებით იწერებაო“. შეხვედრა უნდა მოხდეს სიტყვის – ამ სიტყვაში ფონეტიკური მხარეა, სემანტიკური და ა.შ., და რაღაც მოვლენის. ეს შეხვედრა ბადებს პოეტურ მეტყველებას. იდეის ქვეშ თუ დაიწყე, არაფერი არ გამოგივა. გალაკტიონს აქვს ლექსი „ნიავი ჭვიშის“, გალაქტიონს არც ჭვიში აინტერესებდა არც ნიავი ცალ-ცალკე...

– თუმცა განწყობა იმ ჭვიშმა მოიტანა, ალბათ, შთაგონებაც, არა? მაგალითად, გალაკტიონის „ნიკორწმინდა“, სადაც ლექსის მეტრო-რიტმიკა, დინამიკა, ზემსწრაფვი ბუნება, სიტყვით ლექსის შინაარსის, განწყობის მოჩუქურთმებ-მოვარაყება, ვფიქრობ, თვით ნიკორწმინდის საოცარი ჩუქურთმითაა ნაკარნახევი; ან კიდევ ტიციან ტაბიძის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ მახსენდება: „ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა! ერთად გააღო ცამ შვიდი კარი და ზღვას სარტყელად გადაუარა“, განა ეს განწყობა პოეტს ბათუმმაც არ მოუტანა?

– აი, როგორ მესმის მე. განწყობა მოიტანა ამ შეხვედრამ. სიტყვა „ნიავი“ და სიტყვა „ჭვიში“ შეხვდნენ ერთმანეთს და ჩამოყალიბდა სახე პოეტური. ყველაფერი ასეა, პოეზიაც, ფერწერაც, მუსიკაც... ასე მესმის მე განწყობა.

– ქართულ მუსიკაში თუ შეგიძლიათ ასეთი „შეხვედრის“, ასეთი პოეტური სახის თქვენთვის გამორჩეული ნიმუში დამისახელოთ?

– ახლა ზუსტად ვერ გეტყვით. ასეთი ხან არის, ხან არა. პრინციპში, ნულიდან ვიწყებთ. 80 ნელიწადია ისე თრგუნავდნენ ყველაფერს, რაც კი იყო ნორმალური და კარგი, რომ ჩამოერჩით.

– მიუხედავად ამისა, სწორედ მაგ „დათრგუნვის“ წლებში საუკეთესო თაობები ერთმანეთს ცვლიდნენ. 50-60-იანი წლების მონაპოვრები რად ღირს მარტო, გნებავთ თეატრში, გნებავთ მუსიკაში და ფერწერაში, კინოში, ფაქტიურად ხელოვნების ყველა დარგში, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო ათწლეულებზე, დღევანდელობაზე.

– იცით, ერთი ფაქტორი გასათვალისწინებელია. რომ გაიხსნა ეს საზღვრები, ძალიან დიდი ნაკადი შემოვიდა ინფორმაციის. ამზელა მასალის გადამუშავება, ესეც ძალიან რთული პროცესია. დრო უნდა მაგას, მის დახვეწას, კრისტალიზაციას. მერე ამ ნაკადში თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემაც დგება. ხომ არ შეიძლება ყველაფერი გაიმეორო, თუმცა ძალიან ბევრია ეს გამეორებები, მიბაძვები. ეს ზღვა ინფორმაცია დაიხვეწება, გადამუშავდება და ჩამოყალიბდება განუმეორებელი ესთეტიკური ფასეულობები. მერე ჩვენ არ ვიყავით მომზადებული ამ სიახლეებისათვის, აბსტრაქციონიზმისათვის და ა.შ. ჩვენ არ გაგვიელია ნინა პერიოდები. პირდაპირ რომ აქედან ინყებ, აუცილებლად იქნება მიბაძვების პერიოდი. სიახლე ორგანულად უნდა დაიბადოს. ეს ურბანისტული სამყაროა და მთელი ეს ურბანისტული კულტურა ჩვენში არაა დიდი ტრადიციის მქონე, ისტორიულად ქალაქები არ გვქონდა, ამიტომ ურბანისტული კულტურის დიდი გამოცდილება არა გვაქვს. როცა ეს ორგანულად იბადება, თავისი ნინააღმდეგობებით და ყველა მახასიათებლით, ისეთი შედეგი გვაქვს, როგორიც ევროპამ მოგვცა. ჩვენ კი არ გაგვიელია ეს პერიოდები და პირდაპირ ვბაძავთ. ამიტომ ყალბიც არის და არადამაკმაყოფილებელიც.

– ვფიქრობ, სხვა დარგებმა უფრო უმტკივნეულოდ გადალახეს ეს პრობლემა, ვიდრე მუსიკამ, ალბათ, იმიტომ, რომ მასალად იღებდნენ ეროვნულ ფოლკლორს და ეს იდეოდა ევროპულ ყალიბში, ფორმაში. თუ თქვენი კონცეფციიდან გამოვალთ, მაშინ მასალას უნდა ეკარნახა ფორმა და არა ევროპულ მზა ფორმებში ჩაგვეტია ქართული მასალა. აქ წინააღმდეგობები, ბუნებრივია, იბადება. თუმცა თანდათანობით მოხდა ამის გადალახვაც, ცალკეულ შემთხვევებში მაინც.

– მაგალითად, ცინცაძის „საჭიდაო“ ძალიან კარგი ნანარმოებია...

– ბ-ნო ზურაბ, როგორც თქვენ ამბობთ თქვენ შემოქმედებაში მხოლოდ ფერწერიდან ამოდიხართ. მაშინ რა მნიშვნელობას ანიჭებთ შემოქმედებით პროცესში მუსიკას, რა დატვირთვა აქვს მას?

– ეს არის ორიენტირები. როგორც ზნეობრივ სფერო-

ში საჭიროა ორიენტირი, რომ გაარკვიო რა არის ცუდი, რა არის კარგი, ასევე ესთეტიკაშიც საჭიროა ორიენტირი – რა არის ლამაზი, რა არის მახინჯი. რა თქმა უნდა, მუსიკა, ლიტერატურა, თეატრი ამას აყალიბებს, ორიენტირებად აწვდის ხალხს, სულიერ ორიენტირებს აყალიბებს. მსოფლმხედველობაც ყალიბდება ამ ორიენტირების საშუალებით. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საჭიროა.

– და ბოლოს, მაინც რომელია თქვენი საყვარელი პერიოდი მუსიკაში?

ვიცი, რომ ყველა ეპოქის მუსიკას ისმენთ ხოლმე, მაგრამ უპირატესად რომელს ისმენთ, ან მარტივად – რომელი გიყვართ? იქნებ იპრესიონისტები, ისინი ხომ ძალზედ ფერნერულები არიან. მაგალითად „ბოლერო", განა ფერთა დადებით – შინაარსის და ფორმის შექმნის საუკეთესო ნიმუში არაა?

– არა, სწორედაც ამიტომ არ მიყვარს. ეს ის ტენდენციაა, რომელსაც მე არ ვიზიარებ. მუსიკა უნდა იყოს მუსიკალური და არა ფერნერული.

– ეს ხომ რომანტიკოსებიდან დაიწყო...

– არც რომანტიკოსები მიყვარს. გააჩნია ვინ ასრულებს, რა თქმა უნდა. მუსიკა არ უნდა დაემსგავსოს, მაგალითად, საუბარს. ჰოროვიცი ხომ არაჩვეულებრივი პიანისტია, ვირტუოზი და გენიოსი, მაგრამ ამავე დროს მე ვამტკიცებ, რომ ეს ანტიმუსიკაა. რატომ? იკითხავთ. იმიტომ, რომ მას ეს შუქ-ჩრდილები იმდენად ნიუანსირებული აქვს, რომ იქ ჩნდება კითხვები და პასუხები და კიდევ ჩივილი და ა.შ., ძალზედ ადამიანური განცდები. აი, ეს ძალიან ადამიანური განცდები, პრინციპში, უპირისპირდება წმინდა მუსიკალურს. როცა გლენ გულდი ბახს უკრავს, იქ ეს „ძალზედ ადამიანური" არაა. როდესაც ეს ძალიან ადამიანური შემოდის, მაშინ, როგორც ვთქვი, შევცვალოთ ეს ლიტერატურით – ვიღაც ქალი მეორეს რაღაცას ეუბნება და ა.შ.

– ადამიანურის გარეშე რანაირად გესახებათ ხელოვნება?

– ზედმეტად, დომინირებული გახდა, გესმით? და თუ ის ჩაგრავს მთავარს, ანუ ამ შემთხვევაში, მუსიკას, ის აუცილებლად გაქრება. დოზა უნდა იცოდე. მიქელანჯელომ თავის ფრესკაში სწორედ ადამიანური ძალიან წამონია წინ და მერე დაიწყეს სხვებმაც მიბაძვა. მიქელანჯელომ იცოდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა და ამიტომაც თქვა: „რამდენს აქცევს ბრიყვად ეს ჩემი ფრესკაო". ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდო დარგის სპეციფიკას. ვენერა მილოსელს არც-ერთი აზრი არა აქვს თვალებში, არც უნდა ჰქონდეს! იმიტომ, რომ აზრი სხვა დარგში უფრო კარგად გადმოიცემა, იძენს დასაბუთებასაც, სიღრმესაც.

– ცოტა წინააღმდეგობრივი ხომ არაა თქვენი კონცეფცია?

– პირიქით, წინააღმდეგობრივი მაშინ იქნებოდა, როცა ვიტყოდი, რომ ორივე უნდა იყოს. ეს ძალზე პირდაპირი აზრია და სწორხაზოვანი.

– კი, მაგრამ, მთელი XX საუკუნე რომ სწორედ ჟანრთა ურთიერთშელწევით ხასიათდება?

– მერე რა? დეკადანსია აბსოლუტური. კრიზისი არ არის?

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ამ კრიზისის მიზეზი დარგის სპეციფიკიდან გასვლაა?

– რა თქმა უნდა. ეს პლურალიზმი კარგია, როგორც დემოკრატიის გამოვლენაა, მაგრამ მიყავს ცუდ შედეგებამდე. ხომ გახსოვთ თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი", ხომ გახსოვთ რით ამთავრებს იქ ლევერკიუნი? ეს ხომ შონბერგის კარიკატურაა. ამიტომ მსოფლმხედველობაში უნდა იყოს ჩადებული, უნდა იცოდე საით მიისწრაფვი და რა გინდა. ინდივიდუალიზმმა კარგიც გააკეთა, მაგრამ ცუდიც ბევრი მოიტანა. ინდივიდს უკვე არავითარი კავშირი არა აქვს არავისთან. გიჟები არიან. ყველაფერი განცალკევებული არის, ავადმყოფური. ვისაც კავშირი არა აქვს არავისთან, გიჟია, აბა რაა? ინდივიდუალიზმი, სუბიექტივიზმი... შეიძლება ჭეშმარიტება იყოს სუბიექტური? ჭეშმარიტება როგორ შეიძლება იყოს ერთი კაცისთვის? როგორც გითხარით, ყველა მოვლენას აქვს ტენდენცია თავისი თავის აბსოლუტიზაციის. ეს რომ არ ჰქონდეს, მაგალითად, უჯრედს, იქნება არასიცოცხლისუნარიანი, არ იქნება ჯანსაღი, დალპება. მაგრამ თუ ის მივუშვით, მივიღებთ კიბოს. ამიტომ უჯრედში არის ორი ქრომოსომა, რომელიც ამას თრგუნავს. ყველა მოვლენა ილვწის თავისთავადობისკენ, მაგრამ, უნდა იყოს რაღაც ამის შემაჩერებელი, თორემ მიერეკება მზოლოდ თავისი ეგოს, რომ როგორმე, რაც შეიძლება გაავრცელოს ყველაფერზე... ავადმყოფობაა.

– ვერც ერთი ადამიანი, შემოქმედი, რომც ეცადოს, სუბიექტივიზმს ხომ მაინც ვერ ასცდება?!

– უნდა იყოს ჭეშმარიტების სუბიექტური განცდა. ღმერთი ერთია და ყველა მას ინდივიდუალურად განიცდის, მაგრამ ღმერთი ხომ ერთია? მაგრამ ის განიცდება მილიონი სხვადასხვა ადამიანის მიერ. რაზეა ის მიმართული, ამასა აქვს მნიშვნელობა.

– და ბოლოს, მაინც ქართული მუსიკალური ნაწარმოებებიდან რომელს გამოარჩევდით, რომელს ისმენთ ხშირად, რომელი გიყვართ?

– „მრავალჟამიერი!"

მზია ჯაფარიძე

რედაქციისაგან: წელს, 4 დეკემბერს, ბ-ნ ზურაბ ნიჟარაძეს დაბადების 80 წელი უსრულდება. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი წინასწარ ულოცავს ამ შესანიშნავ შემოქმედს საიუბილეო თარიღს. ვფიქრობთ ჩვენ მილოცვას მთელი მუსიკალური საზოგადოება შეუერთდება.

ჯანმრთელობასა და შემოქმედებით ცხოველმყოფელ ღვწას ვუსურვებთ – მრავალჟამიერ!

ცეკვა

იმპროვიზაცია ჯაზის თემაზე

სანამ ზაფხული ძალაში შევა და სიმძიმის ცენტრი აჭარის კურორტებზე გადაინაცვლებს, თბილისური საკონცერტო, თეატრალური თუ საგამოფენო ცხოვრება განსაკუთრებით დატვირთულია.

მაისი – წელიწადის ერთ-ერთი ულამაზესი თვეა, თუმც პოლიტიკურად ძალიან დაძაბული – „ახალი ქვეყნის შენების დრო", „რადიკალური ძერებით", „არჩევნებით" და ასე შემდეგ.

ისე როგორც პოლიტიკას თანამედროვე კულტურასაც ჰყავს თავისი სახეები, მათ შორის ისეთებიც ვინც, სამწუხაროდ, ქართულ ტელევიზიებსა თუ სხვა მასობრივ სამაუწყებლო საშუალებებში არც თუ ისე ხშირად ჩნდებიან.

მაისის თვის დასაწყისში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამშვენებდა დიდი ბანერი, რომელიც გვაუწყებდა 17 მაისის ჯაზური მუსიკის სალამოს შესახებ – „თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები". მოკლედ დღეს დიდ მოლოდინში ვართ.... შესასვლელთან რიგია, სცენაზე პირადად ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ინსტრუმენტულ შემადგენლობას ვხედავ: საყვირი, საქსოფონი, ფორტეპიანო, კონტრაბასი და დასარტყამი ინსტრუმენტები.

სანამ უშუალოდ კონცერტის შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, მანამ ამ კონცერტთან დაკავშირებული პრეს-კონფერენციის შესახებ: 15 მაისი – ოპერის სარკეებიან დარბაზში იწყება პრეს-კონფერენცია. საქმე იმაშია, რომ ოპერის თეატრი ახალ ნამოწყებას უყრის საფუძველს, პროექტის სახელწოდებაა „ჯაზის კუთხე ოპერაში". საუბარი ბევრი იყო, და დიდხანსაც გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმდნენ, სეზონში ერთხელ ოპერა სცენას დაუთმობს ჯაზური მუსიკის სალამოებს. პროექტს წარმოადგენენ ოპერის თეატრი, თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები, პარფიუმერული მაღაზიათა ქსელ „ვულე-ვუს" და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის თანადგომით. ეს ფაქტი თავისთავად ჯაზური მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, მაგრამ პრეს-კონფერენციაზე ოპერის დირექტორმა დავით საყვარელიძემ აღნიშნა, რომ „ეს იქნება კლასიკური, ინტელექტუალური ჯაზის საღამოები, და არა ის მუსიკა, რომელიც „fanck"-ში გადადის".

გულწრფელად გითხრათ ამ ინფორმაციის გაგება ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, რადგან ჯაზური მუსიკის დიდი თაყვანისცემელი ვარ, ჩვენდა საბედნიეროდ, ბოლო ხუთი თვის მანძილზე ჯაზური მუსიკის მიმართ ინტერესი გაღვივდა: 29 დეკემბერი – კონსერვატორიის დიდი დარბაზი „ქართველები უკრავენ ჯაზს"; 19 მარტი – ჯეკი ტერასონი და მისი ტრიო; 6 აპრილი – დენ ტეფტერი და თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი და ახლა კი 17 მაისის სალამო. ჩვენი ქალაქისთვის ეს არ არის მცირე ჩამონათვალი, მაშინ როცა მთელი საკონცერტო სეზონის მანძილზე ერთი-ორი კონცერტი თუ ეთმობა ხოლმე ჯაზს; რასაკვირველია, არ ვგულისხმობ „თბილისის ჯაზ ფესტივალის" საკონცერტო პროგრამას, რომელზეც დასწრება ძალიან დიდი ფუფუნებაა.

საგულისხმოა, რომ კონსერვატორიის სტუდენტების გარკვეული ნაწილის დიდი სურვილით და მონდომებით გაიხსნა ჯაზის შესწავლის პრაქტიკული კურსი, რომელსაც ხელმძღვანელობს ზურა რამიშვილი, იმედია სტუდენტების და რექტორატის ეს ცდა შედეგს გამოიღებს და საფუძველს მოუმზადებს იმ მოვლენას, რასაც „ჯაზის განყოფილების" გახსნა ჰქვია. ეს მოვლენა კი ნამდვილად დასაჩქარებელია, რადგან ფაქტობრივად ამ მხრივ კრიზისია, ქართული ჯაზის უფროსი თაობის გამოცდილება და პროფესიონალიზმი აუცილებელია გადაეცეს ხვალინდელი დღის ახალგაზრდა ქართველ ჯაზმენებს. „ჯაზის განყოფილების" გახსნას კი მარტო კონსერვატორიის დიდი სურვილი და თანადგომა არ უშველის.

საქართველოში ჯაზური მუსიკის განვითარების ისტორიას ახსოვს ასეთი ცდა – 1967 წელს თბილისში ახალგაზრდულ კლუბ „მერანთან" გაიხსნა ჯაზის სექცია, ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ ჯაზური მუსიკის მხურვალე ქომაგი, მუსიკისმცოდნე ევგენი მაჭავარიანი. ეს იყო პირველი ცდა იმპროვიზაციული ჯაზის პოპულარიზაციისა ჩვენს ქვეყანაში, ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯაზის მოყვარულთათვის. ამ სექციის წყალობით გამოჩნდა ჯაზის იმ დროისათვის ახალგაზრდა მუსიკოსების მთელი პლეადა, მათ შორის პიანისტები: ა. რაქვიაშვილი, ე. ისრაელოვი, ე. ლოლაშვილი; გიტარისტი რ. ბრეგაძე; კონტრაბასისტები: თ. ყურაშვილი, ვ. კუცია; დასარტყამი საკრავები ვართანოვი და სხვა. ჯაზის სექციამ შემდგომში არსებობა შეწყვიტა, მაგრამ არ ყოფილა უშედეგო, ათი წლის შემდეგ თბილისში ფილარმონიის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ჯაზკლუბი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა დღეს ჯაზის სამყაროში კარგად ცნობილი მუსიკოსი თამაზ ყურაშვილი. ჯაზკლუბმა მიიზიდა მრავალი მუსიკოსი. ალბათ, ამჯერადაც იგივე მიზანი ამოძრავებს ბატონ თამაზს. პროექტსაც ხომ ასე ჰქვია „თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები",

19 მაისის ჯაზის საღამო, ერთგვარად რუსეთ-საქართველოს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის და ეპიზოდური „დათბობის" ფონზე წარიმართა, როგორც კახაბერ თოლორდავას კონცერტის პროგრამაში აღნიშნა „დღეს თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, პოლიტიკური ვითარება – საქართველოსა და რუსეთს შორის ძალიან დაძაბულია. პოლიტიკოსებს უჭირთ ერთმანეთთან საუბარი, ერთმანეთის გაგება, ერთმანეთის მოსმენა... შეიძლება, სწორედ ამიტომაცაა რომ დღევანდელ კონცერტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საღამოს ქართველი და რუსი მუსიკოსები შეეცდებიან გაეკეთებინათ ის, რისი გაკე-

თებაც პოლიტიკოსებს უჭირთ. დღეს საღამოს რუსულ-ქართული „მოლაპარაკების“ პირველი მნიშვნელოვანი რაუნდი შედგება“. კონცერტში მონაწილეობდნენ: თამაზ ყურაშვილი (კონტრაბასი), ზურაბ რამიშვილი, ბექა გოჩიაშვილი (ფორტეპიანო), ანდრეი კრასილნიკოვი (საქსოფონი), პეტრე ვოსტოკოვი (საყვირი), ალექსანდრე მაშინი (დასარტყამი საკრავები).

მოგზაურობით ბევრს მოგზაურობს, შესაძლოა დასავლეთ ევროპაში უფრო ბევრი კონცერტი ჰქონია, ვიდრე თავის სამშობლოში; მისი სახელი აკერია ყველას, ვინც თავს ინტელექტუალად მიიჩნევს; თამაზ ყურაშვილმა დიდი ისტორიული სეგმენტი შემოიტანა ჯაზის სამყაროში, მისი შემოქმედება ერთდროულად გლობალურად იჭრება ეპოქაშიც და თანაც საკუთარი მხატვრული ნიშნებითაც გამოირჩევა. მან ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდამ მიაგნო ხელოვნების საკუთარ გასაღებს. მისი რეგალიების ჩამოთვლას არ დავიწყებ, უბრალოდ დაეესესხები დავით საყვარელიძის სიტყვებს, რომელიც მან პრეს-კონფერენციაზე წარმოთქვა – „თათუზა არის ბრენდი“. მისი კომპოზიციები, ერთნაირად იპყრობს და აღაფრთოვანებს ყველა თაობის მსმენელს. თუმცა ვერანაირი სიტყვებით ვერ შეეფასებთ და ვერ აღვწერთ მუსიკოსის შესრულებას. მისი ხელოვნება საკუთარი თვალით და ყურით უნდა მოისმინოთ. იგივე ითქმის სხვებზედაც – „ბექა თორმეტისაა, მე სამოცის, ზურა – ჩემი მომდევნო თაობის წარმომადგენელია, ჩვენი სტუმრებიც ახალგაზრდები არიან, მაგრამ ჯაზი იმდენად თავისუფალი ხელოვნებაა, რომ ასაკობრივ ზღვარს არ აქვს მნიშვნელობა, იგი ყველა თაობის წარმომადგენელს აძლევს საშუალებას წარმართოს დიალოგი. როცა ასეთი დიდია ასაკობრივი სხვაობა შესაძლოა ურთიერთობაში გაჩნდეს გარკვეული ბარიერები, მუსიკაში კი ეს არ ხდება. როდესაც ერთად ვუკრავთ, მე ვხედები ბექას ხელა, ბექა კი ჩემხელა“.

სამი რუსი ახალგაზრდა უკვე არაერთი წელია რაც თამაზ ყურაშვილთან მეგობრობს, როცა ერთად არიან, დროის დიდ ნაწილს მუსიკირებაში ატარებენ. ანდრეი კრასილნიკოვმა და პეტრე ვოსტოკოვმა საკმაოდ მაღალი საშემსრულებლო დონე და ამავდროულად იმპროვიზაციული ოსტატობა გამოამჟღავნეს. რაც შეეხება დრამერს, ალექსანდრ მაშინს – შთაბეჭდილებას ის აფუჭებდა, რომ ძველ ინსტრუმენტზე უწევდა შესრულება.

გაკვეთილზე მკაცრი და მომთხოვნი, ურთიერთობაში კი ძალიან თბილი და მეგობრული; სცენაზეა მონატრებული ზურა რამიშვილი, ნამდვილი პროფესიონალი შემსრულებელი და პედაგოგი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯერ საფორტეპიანო, შემდეგ მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე, მუშაობდა საქართველოს ტელერადიოკორპორაციაში მუსიკალური გამფორმებლის

თანამდებობაზე, პარალელურად უკრავდა ტელევიზიის ჯაზ-ბენდში თამაზ ყურაშვილის ხელმძღვანელობით. მოგზაურობდა ბევრს, მართავდა კონცერტებს ვენაში, მიუნხენსა და ლოზანაში. მონაწილეობდა დონეცკისა და ალმა-ატის ჯაზფესტივალებში. ყოველივე ამასთან ერთად გამოვყოფ იმას, რომ ზურა რამიშვილმა აღმოაჩინა ქართველი ვუნდერკინდი ბექა გოჩიაშვილი.

ბექა არა მუსიკით, არამედ მუსიკაში ცხოვრობს. მისი მშობლები მუსიკოსები არიან, 4 წლიდან ბექა ინსტრუმენტს შიუჯდა და დამოუკიდებლად მელოდიების აწყობა დაიწყო. 6 წლისა ის ზურა რამიშვილს მიუყვანეს, პედაგოგის რჩევით ბავშვი ჯერ კლასიკური განათლების მისაღებად თენგიზ ჩიტაიშვილის კლასში მოხვდა. 9 წლიდან კი ბექა ჯაზს ეუფლება და მიუხედავად ასაკისა შედეგი განსაცვიფრებელია.

პირადად მე, ბექა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, პროგრამა „ღამის საუბრებში“ მოვისმინე, თუმცაღა მანამდე ჩემ მეგობარ ანა კახიძისგან მქონდა გაგონილი 10 წლის პატარა ჯაზმენის შესახებ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. ბექა, ზურა რამიშვილი და თამაზ ყურაშვილი ზურა ქარუმიძესთან იყვნენ სტუმრად ტელეგადაცემაში. შემდეგ იყო დიდი დარბაზის კონცერტი „ქართველები უკრავენ ჯაზს“, სადაც ბექამ თითქმის ყველა შემსრულებელი დაჩრდილა. დარბაზი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „აილეწა“, ხალხი თვალებს არ უჯერებდა; სცენაზე პატარა ბავშვი იჯდა, მაგრამ უკრავდა ისე, როგოც ჩამოყალიბებული ჯაზმენი. 4 აპრილს კონსერვატორიის კამერულ დარბაზში დენ ტეფტერის მასტერკლასზე მან კერნის ულამაზესი ჯაზ-სტანდარტი „All the things you are“ გიორგი სამსონაძესთან (კონტრაბასი) და ზაზა ცერცვაძესთან (დასარტყამი საკრავები) ერთად შეასრულა. მასტერკლასზე ბექამ სტუმრებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პრაქტიკული აზროვნება, ჯადოსნურობა და იდუმალება, ანსამბლურობის შეგრძნება, ბავშვური უნიკერსალობა და დღესაც ბექა – კონცერტის მთავარი გმირია.

ჯაზის სამყაროს ინტიმური, მყუდრო და თავისუფალი ატმოსფერო უხდება, ეს იმიტომ, რომ მის ბუნებაშია ყველა ეს თვისება. საოპერო თეატრი ამგვარი გარემოს შესაქმნელად მთლად შესაფერისი არ არის, თუმცაღა მუსიკოსების წყალობით კონცერტი მაინც ღირშესანიშნავ მოვლენად იქცა, საერთო განწყობა დადებითი იყო, ბექას დანახვისას კი ყველას თბილი ღიმილი ეფინებოდა. იმპროვიზაცია თემაზე „თამაზ ყურაშვილი და მისი მეგობრები“ შედგა. იმ დღეს მსმენელი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა ჯაზის ენაზე მოსაუბრე მშვიდობის ელჩებს.

თამარ მიქაძე

ჩვენს წინაშეა „თბილისის კონცერტინო“

კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო“ წლევანდელი სეზონის კონცერტებით დაარსების მე-20 წლისთავს აღნიშნავს. დაგეგმილი 5 კონცერტიდან სამი უკვე ჩატარდა.

მარტში გამართული საალდგომო კონცერტის პროგრამაში იყო: კორელის კონჩერტო გროსო, ვივალდის მოტეტი, ბახის ბრანდენბურგის მეოთხე კონცერტი და კანტატა, დი-

შავლეგ შილაკაძე

რიჟორი-შავლეგ შილაკაძე, აპრილში გამართულ კამერული მუსიკის კონცერტზე აჟღერდა: ბახის ექვსხმიანი რიჩერკარი „მუსიკალური მიძღვნიდან“, 170-ე კანტატა, ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი და სარეცენზიო კონცერტი, (დირიჟორი გიორგი შილაკაძე). მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდება „თბილისის კონცერტინოს“ ცენტრალური საიუბილეო კონცერტი (ბახის ბრანდენბურგის პირველი კონცერტი, დირიჟორი შავლეგ შილაკაძე, რიჰარდ შტრაუსის „მეტამორფოზები“ და შავლეგ შილაკაძის საეიოლინო კონცერტი, დირიჟორი გიორგი შილაკაძე), დეკემბერში კი სეზონს საშობაო კონცერტი დაასრულებს.

„თბილისის კონცერტინოს“ ამგვარი შემოქმედებითი აქტივობა ნამდვილად განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს, მითუმეტეს, რომ ორკესტრი და მისი ხელმძღვანელები ყოველივე ამას უდიდესი ძალისხმევით, ენთუზიაზმის და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ახორციელებენ, ვინაიდან მათ არავითარი დაფინანსება არ აქვთ.

თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რათა დაურწმუნდეთ საკონცერტო პროგრამების მრავალფეროვნებასა და მაღალ მხატვრულ ღირებულებაში. არა მხოლოდ მიმდინარე სეზონის კონცერტები, არამედ ორკესტრის სრული რეპერტუარი არის ძალზე შთამბეჭდავი. სხვადასხვა დროს შავლეგ და გიორგი შილაკაძეების ხელმძღვანელობით მსოფლიო კამერული და კანტატა-ორატორიული ჟანრის მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები აჟღერდა, მათ შორის არაერთი მათგანი – საქართველოში პირველად.

უკანასკნელად ჩატარებული კონცერტის პროგრამაში იყო ფელიქს მენდელსონის სიყმანვილის პერიოდში შექმნილი ერთნაწილიანი სიმფონია სი მინორი, გუსტავ მალერის ბოლო ნაწარმოების, მისი მე-10 სიმფონიის პირველი ნაწილი (ადაჟიო), რომელიც პანს შტადლმაირის მიერ არის გადატანილი 15 სიმებიანი საკრავისათვის და შავლეგ შილაკაძის „კონცერტი ორკესტრისათვის“ (პირველი შესრულება).

უთუოდ უნდა აღინიშნოს ორკესტრისა და დირიჟორის გიორგი შილაკაძის მაღალი საშემსრულებლო კულტურა. მან პროგრამის სამივე, სტილით ესოდენ განსხვავებული ნაწარმოების შთამბეჭდავი ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინა – თვალნათლივ დავინახეთ მენდელსონის სიმფონიის რომანტიკული მგზნებარება, შერწყმული გულწრფელობასა და სიფაქიზესთან, გუსტავ მალერის ღრმად ფილოსოფიური, მრავალფეროვანი ემოციურ-სახეობრივი სამყარო. რაც შეეხება შავლეგ შილაკაძის კონცერტს, რომლის პრემიერაც სწორედ იმ საღამოს შედგა, იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა ორკესტრს და დირიჟორს – ეს არის ახალი ნაწარმოების საჯარო დაბადება, რომელიც ისე უნდა ნარუდგინო მსმენელს, რომ არ დაიკარგოს ავტორის ჩანაფიქრი, იდეა და მისი განხორციელება. „კონცერტი ორკესტრისათვის“, რომლის ხუთივე ნაწილი ძალზე კონტრასტულია და მნიშვნელოვანი მუსიკალური და საშემსრულებლო ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს, მართლაც დამაჯერებლად შესრულდა. დარბაზში შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა მსმენელმაც აღფრთოვანებული ტაშით დაადასტურა თავისი დამოკიდებულება. ეს თვალსაჩინო წარმატება თანაბრად გაინაწილეს დირიჟორმაც და კომპოზიტორმაც.

შავლეგ შილაკაძე – „კონცერტი ორკესტრისათვის 2004 წელს დავწერე დირიჟორ ლევ მარკიზის თხოვნით, რომელსაც განზრახული ჰქონდა საშობაო ფესტივალზე შეესრულებინა ახალი ნაწარმოები თბილისის კონსერვატორიის სტუდენტურ ორკესტრთან ერთად. მე უნდა გამეთვალისწინებინა ორკესტრის სპეციფიკური შემადგენლობა, მისი მუსიკალური და ტექნიკური შესაძლებლობები. სიამოვნებით დავთანხმდი და ორ თვეში დავწერე ხუთნაწილიანი კონცერტი, რომელიც ორკესტრის ყველა ჯგუფს და სოლისტებს საშუალებას მისცემდა წარმოეჩინათ თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნება, ამასთანავე, მათ გარკვეული სირთულეებიც უნდა გადაელახათ. სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ეს შესრულება მაშინ ვერ შედგა და მხოლოდ ახლა მომეცა შესაძლებლობა მსმენელისათვის წარმედგინა ჩემი ნამუშევარი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ორკესტრსა და დირიჟორს, ჩემს ვაჟს გიორგის.

გულბათ ტორაძე – რამდენიმე თვის განმავლობაში ბატონმა შავლეგმა ორი ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოები ნარმოგვიდგინა. სასიამოვნოა, რომ იგი ინტენსიურად მუშაობს. „კონცერტი ორკესტრისათვის“ არის ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდილი თანამედროვე აზროვნება, გამოირჩევა დინამიური პულსით, მუსიკალური ენის სიმძაფრით,

გიორგი შილაკაძე

ფორმის, კონსტრუქციული სიმტკიცით.

ვფიქრობ, რომ ის დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს თანამედროვე ქართულ მუსიკაში.

მიხეილ ოძელი – დიდი საიმოვნებით, შეუნელებელი ინტერესით მოვისმინე მთელი კონცერტი. გიორგი შილაკაძე არის ღრმა, განათლებული მუსიკოსი და დირიჟორი, რომელმაც არაჩვეულებრივი სტილისტური სიზუსტით შეასრულა სამი სრულიად განსხვავებული ავტორის ნაწარმოებები. სამწუხაროდ, დარბაზის აკუსტიკა არ იძლეოდა საშუალებას სრული წარმოდგენა შექმნილიყო ზოგიერთი ნაწარმოების ინტერპრეტაციაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება მალერის სიმფონიას. ვისურვებდი, რომ გიორგის მოლვაწეობის უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდეს.

ვულოცავ შავლეგს ახალ, კარგ ნაწარმოებს. ნინა სეზონში დიდი წარმატებით შესრულებული ალტის კონცერტის შემდეგ ამ ნაწარმოებში მისი შემოქმედების ახალი წახნაგები გამოჩნდა. მე განსაკუთრებით გამოვყოფდი კონცერტის მეორე ნაწილს, რომელშიც დიდი გემოვნებით და ტაქტით არის გამოყენებული ალეატორიული ტექნიკა. ეს ნაწარმოები ავტორის დიდი გამარჯვებაა.

ელიზბარ ლომდარიძე – ძალიან მომეწონა „კონცერტი ორკესტრისათვის", გამოკვეთილი ფორმა, შესანიშნავად გამოყენებული საორკესტრო ჯგუფები და ცალკეული ინსტრუმენტები, მდიდარი ინტონაციური მასალა, მეტრორიტმის მრავალფეროვნება. ჩემი აზრით, ეს მეტია, ვიდრე კონცერტი, ნაწარმოებმა ჩემზე სიმფონიის შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მომეწონა პირველი და მესამე ნაწილები. ინდენად გამიტაცა ნაწარმოებმა, რომ ვერ ვიგრძენი, როგორ გავიდა დრო. გულწრფელად ვულოცავ შავლეგს დიდ წარმატებას.

გიორგი შილაკაძემ საოცრად კარგად დირიჟორა, იგი საინტერესო დირიჟორად ჩამოყალიბდა. ძალიან კარგი იყო მენდელსონიცა და მალერიც. მთლიანად პროგრამა ძალიან კარგად იყო შერჩეული. მენდელსონისა და მალერის გვერდით ნაწარმოების შესრულება არ არის ადვილი, მაგრამ ეს გამოცდა ავტორმაც და დირიჟორმაც წარმატებით ჩააბარეს.

ზურაბ ნადარეიშვილი – ამ ორკესტრის კონცერტებს ყოველთვის დიდ ინტერესით ველოდები, რადგანაც მაღალ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად, ისინი ეწევიან ერთგვარ კულტურტრეგერულ საქმიანობასაც და, როგორც წესი, თითქმის ყოველ კონცერტში ასრულებენ ჩვენში ნაკლებად ცნობილ, მაგრამ გენიალურ ნაწარმოებებს კლასიკური რეპერტუარიდან. ამჯერადაც მათ არ უღალატეს ტრადიციას და შემოგვთავაზეს მენდელსონის ბრწყინვალე სიმფონია, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან საინტერესო იყო მალერის მე-10 სიმფონიის ადაგიოს ახლებური, კამერული გააზრება, სადაც მალერის მუსიკის სისავსე მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული. მაგრამ კონცერტის კულმინაცია იყო შავლეგ შილაკაძის „კონცერტი ორკესტრისათვის", რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა ბატონმა გიორგი შილაკაძემ. ნაწარმოები ვირტუოზულია და ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებლებს დიდი ჯაფა დაადგათ, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ნელმა ნაწილმა მოახდინა, სადაც ჩასაბერებისთვის მიცემულმა თავისუფლებამ ღრმა, მედიტაციური განწყობილება შექმნა. მე მთელი გულით ვულოცავ ბატონ შავლეგს და ბატონ გიორგის, მთელ ორკესტრს ამ დიდ წარმატებას, ხოლო საკუთარ თავს ვუსურვებ, რომ ასეთი კონცერტებით ხშირად გაგვანებივრონ.

ქართული მუსიკა უკხოეთში

გია ყანჩელის „დაუმთავრებელი საგალობლის" დანიური პრემიერა

ლონდონის ბარბიკენ ცენტრში 2008 წლის 15 თებერვლის ნარმატებული პრემიერის შემდეგ 3 აპრილს კოპენჰაგენში შედგა გია ყანჩელის „Broken Chant"-ის („დაუმთავრებელი საგალობელი") დანიური პრემიერა.

ნაწარმოებში – ვიოლინოს, ჰობოისა და ორკესტრისთვის, ჰობოის პარტია შეასრულა ფრენსის ლელექმა, რომელიც ლონდონის პრემიერაშიც მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ლიზა ბათიაშვილმა (ვიოლინო), ჯანმრთელობის გამო, ამ პრემიერაში ვერ მიიღო მონაწილეობა. იგი შეცვალა ცნობილმა ესტონელმა მუსიკოსმა ანდრეს მუსტონენმა.

პრემიერა „კონცერტჰაუზში"

2008 წლის 26 მაისს ბერლინის „კონცერტჰაუზში" გაიმართა კონცერტი, რომელიც ეძღვნებოდა დამოუკიდებლობის დღეს. მისი ორგანიზატორი იყო საქართველოს ელჩი გერმანიაში. კონცერტში მონაწილეობა ვერ მიიღო მევიოლინე ლიზა ბათიაშვილმა ჯანმრთელობის გამო.

საგანგებოდ, ამ კოცერტისათვის ახალი ნაწარმოები დაუკვეთეს ნიკა მემანიშვილს, რომლის საფორტეპიანო ვერსიის „ინტროვერსია ფორტეპიანოსათვის" პრემიერა შედგა ნიუ იორკის კარნეგი ჰოლში 2007 წლის 6 ნოემბერს /სოლისტი: დუდანა მაზმანიშვილი/. ბერლინისთვის კი ნაწარმოები გადაკეთდა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და დაემატა კიდევ 2 ნაწილი:

ინტროვერსია, ექსტრავერსია და კოდა ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის. ნაწარმოები შეასრულა ინგოლშტატის ქართულმა ორკესტრმა არიელ ცუკერმანის დირიჟორობით, სოლისტი – დუდანა მაზმანიშვილი. თავად ნიკა მემანიშვილი ზარებზე /Campana – bell B flat/ უკრავდა.

კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა

„აჩაინი სონა“, არღანში ჩარტყმული ლობიო, „ახტიბუხტია“ და „წიწაკა“...

ძველი თბილისი, უნიკალური ხედები, მეტეხის ტაძართან კლდეზე ჩიტის ბუდესავით შეფენილი სახლები... ხარფუხი, აშპაშხანა, კალა...

ორთაჭალის ბაღი... დუქანთან მდგარი ხიფათსწასაფრებული ეშმაკურად მოცქირალი კინტო, ტივზე მოქეიფე ყარაჩოხელები, თავიანთი ცხოვრების წესითა და ამაღლებული ურთიერთობებით...

მეიდანი, ბაზრის თბილისური წესით – ჯერ ხალხის დრია, შემდეგ ვაჭრის...

აქეთ მეტეხი, იქით – მეჩეთი, ცოტა ზევით, გოლოვინსკისკენ – ებრაული სალოცავი სინაგონა, იქვე გრიგორიანული ეკლესია...

აქაურობას ნმინდა შუშანიკისა და ფერფლადქცეული აბოს მადლი დაჰფოფინებს... მტკვრის დუდუნს მოჰყვება ასი ათასი ქართველის გოდება მტარვალმა რომ მოუსწრაფა სიცოცხლე...

ქვაფენილზე მოხრიალე „კონკა“, ექვანშებმული ცხენების ფლოქვთა რიტმი, ფაეტონით მოსეირნეს რომ მატებს განსაკუთრებულ დამაჯერებლობასა და სიამაყეს...

წყნეთელი სანდრუას „მანონი, მანონის“ ძახილი და ნავკისელი პეტას „ყვავილების მიწა...“

კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება თბილისური სურათები...

„ნისლივით ჩნდება დარდი.....“ დარდი გარდასულ დღეთა... თავისი გამორჩეული ჰარმონიითა და მელოდიურობით.

არაფერი ჩაქსოვილა ისე ორგანულად თბილისურ კოლორიტში, როგორც ქიტესოვების არღანი. ჩეხი ნეწადას მიერ გამოგონილმა

საოცრებამ სწორედ დიდი ვანოს ნყალობით შეიძინა ქართული ელერადობა, შემდეგ კი სულაც ქართულ ინსტრუმენტად იქცა...

* * *

არღანი თბილისში საკმაოდ პოპულარული იყო, დღეს იგი იშვიათია, საგულისხმოა რომ ამ ინსტრუმენტს საქართველოში მხოლოდ ერთადერთი ოჯახი ქმნის. სხვადასხვა კუთხეში რელიქვიად შემორჩენილი არღნები იაკობ და ვანო ქიტესოვების ნახელავია.

ქართულ არღანს მსოფლიო ასპარეზზე არაერთი მოწონება დაუმსახურებია, გერმანიაში ჩატარებულ საორღანო მუსიკის ფესტივალზე ქიტესოვების არღანმა, რომელიც პოლანდიელმა ბიზნესმენმა თავის სახელით ნარადგინა, პირველი ადგილი აიღო, 1987 წელს ჩატარებულ ხალხური შემოქმედების საკავშირო ფესტივალზე პაპას არღანი ისევ პირველი იყო...

* * *

სართიჭალის ქუჩა... ქუჩის ბოლოს ორსართულიანი სახლი პატარა ეზოთი, რომლის ჭიშკარზე დიდი ასოებით აწერია – 32 ვანო. გუშანით ეხვდები – ეს ჩვენი ვანიკოს ყმანვილობისდროინდელი ნახელავია, დიდი ვანოს ღირსეული შვილიშვილისა...

კარს 90-ს მიტანებული იაკობ ქიტესოვი მიღებს. იცის, რომ უნდა მივიდე... მისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა სტუმრის მიღება, მთლად გერმანულ სიზუსტეს ვერ ვიჩენ, ცოტა ვიგვიანებ...

პაპა მისთვის დამახასიათებელი ღიმილით მეგებება, რომელიც კმაყოფილებასაც გამოხატავს, სიხარულსაც, დაგვიანების გამო ტაქტიან საყვედურსაც, მადლიერებასაც და სიყვარულსაც....

ვინ მოსთელის მერამდენეჯერ მოვდივარ აქ, მერამდენეჯერ შევხვედრივარ დიდ ხელოვანს.... ყოველთვის ერთი სურათი მხვდება – პაპას რაღაც ძალა თავის სამუშაო ლაბორატორიაში ექაჩება, გესაუბრება, გისმენს, მაგრამ გულისყური მაინც არღნისკენ აქვს... პატარა საქმე ხომ არაა, ერთი არღნის კეთებას ორი წელი უნდა, ორი წელი ეფერება ამ საოცარ ინსტრუმენტს, თავის სულსა და გულს დებს მასში, ორი წელი ერთი მიზნით ცხოვრობს, წინანდელივით საუკეთესო ინსტრუმენტი შექმნას...

ოჯახის დიასახლისი რუსიკო გურული სისხარტით სუფრის სამზადისს ინყებს.

იაკობი დანვრილებით გამომკითხავს ამბავს, ამ ქვეყნისას, იმ ქვეყნისას... მერე მოკრძალებით მეტყვის – სანამ რუსიკო აქაურობას მიხედავს, ახალ არღანს გაჩვენებ, თან „აჩაინი სონას“ ჩავარტყამ...

ვისაც არღანთან შეხება არ ჰქონია იკითხავს, რას ერჩის პაპა სონასაო... ამიტომაც გეტყვით – „აჩაინი სონა“ სიმღერაა, ჩარტყმა კიდევ ოსტატის ენაზე არღნის ბარაბანზე მელოდიის დაყენებას ნიშნავს, ეოდა, მეც, ბუნებრივია, მაინტერესებს ეგ „აჩაინი სონა,“ განსაკუთრებით პაპას ხელში...

ჯადოსნური ყუთიდან ცნობილი მელოდია იღვრება... ამასობაში რუსიკოც გვეძახის...

* * *

არაფერი სჯობს იაკობ ქიტესოვის ძველთბილისური აქცენტით მოყოლილი ამბების მოსმენას, საუბარში ვანიკო ერთვება, ვის მხრებზეც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა – შეინარჩუნოს და შთამომავლობას გადასცეს უნიკალური პროფესია.

მოგონებებში ძველი ქალაქური ყოფის ლამაზი სურათები ტივტივებს...

იაკობი: გირშაშვილს სამი არღანი გავუკეთე, ვერის ბაზრის პირდაპირ ცხოვრობდა ოც ნომერში, პირველად რომ ვესტუმრე, ყველა ოთახი დამათვალიერებინა, სულ წიგნები იყო... მაჩვენა ის ადგილი, სადაც ლექსების ნერა განსაკუთრებულად უყვარდა, მუშაობისთვის ერთი ოთახი გამომიყო, თან ისიც მითხრა, აქ კომპოზიტორების გარდა არავინ შემოსულა, შენ პირველი ხარო... სულ სუკების სადილს მაქმევდა... მწვადებს კი არა, სადილსა... სუფრას გულუხვად შლიდა... რომ დავამთავრე მუშაობა, მითხრა, წამო ქვემოთ ჩავიდეთ, ფული უნდა მოგცეო...

ვერის ბაზრის გვერდზე „სბერკასა“ იყო, ფული გამოიტანა და მომცა. ჯიბეში ჩავიდე. მეუბნება დათვალეო, როგორ გეკადრებათ სოსო ძია-მეთქი... არა, არაო, გადამეკიდა, უნდა დათვალოო... ხათრი ველარ გავუტეხე, დავთვალე... მეტია-მეთქი, – ეუთხარი... იმიტომ არის მეტი, შენ ამქარში რომ ნახვალ ჩემი სადღეგრძელო დალიოთ...

ოსტატად 16 წლისა მალიარეს, არ დამავიწყდება ეს დღე, დიდი სუფრა იყო გაშლილი ვარდენის დუქანში, ბოტანიკურ ბაღთან... ერთი წესი ჰქონდა უსტაბაშს, მოულოდნელი გამოცდის მოწყობა იცოდა, უნდოდა გაეგო იყო თუ არა ახალგაზრდა ღირსი იმისა, რომ ოსტატის სახელი ეტარებინა...

მეც გამოცდა მომიწყო... არლანს აქვს დანადგარი, „პადუშკას" ეძახიან, ეს იმიტომ არის საჭირო, რომ არლნის ფეხი ამ დანადგარზე დგება და არლანს რომ ჩამოიკიდებ, ამ „პადუშკით" იმაგრებ ინსტრუმენტს... პოდა, უსტაბაშმა სნორედ ეს „პადუშკა" დამიმალა...

როცა დაილოცნენ, მითხრეს – აბა, ახლა იაკობ შენებურად ამოიკარ არლანს ხელი, ენახოთ რა ბიჭი ხარო... ვხედავ „პადუშკა" არ არის, რა უნდა ვქნა... მიმდის ფერი-ფური, ამის გარეშე არლანს ვერ დავიჭერ... შემატყეს ოსტატებმა რომ ავღელდი... რა ხდებაო, მკითხეს. რა ხდება და „პადუშკა" არ არის, უმაგისოდ რა უნდა ვქნა-მეთქი, – შევეკითხე. არ ვიცით, რაც გინდა ის ქენიო, – მიპასუხეს. მივხვდი ოინი მიყვეს... არ დავიბენი, ასანთი ჩავიდე ჯიბეში, ამოიბერა... და იმ ასანთმა გასნია „პადუშკის" მაგივრობა, დავატრიალე არლანი და სუფრაც გავამხიარულე...

მაშინვე ჩემი საადღეგრძელო დალიეს, თან ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ამის დაბნევა ვერ მოვახერხეთ, იმსახურებს ოსტატის წოდებასო...

ამქარში კარგი ხალხი იყვნენ. ალე ძია, „ახტიბუხტია", „წინაკა", „ჯანგია", „ყრუ ფორა"... ჩვენთან იკრიფებოდნენ, მაშინ მამაჩემს კიდევ რამდენიმე სახლი ედგა, ამ ქუჩის ბოლომდე მიწები სულ ჩვენი იყო... სულ მხიარულობა იყო, ერთმანეთის გატანა, ერთმანეთის პატივისცემა უყვარდათ. თბილისური ამბებიც აქ ირჩეოდა. თუკი რამე ხდებოდა ქალაქში, ჩვენს გარეშე არაფერი მიდიოდა, ყველგან ვიყავით... დაფასებული იყო მეარლნის პროფესია. მარტო ლბინში კი არა, მგლოვარშიც გვეძახდნენ. ამ დღისთვის სხვა ბარაბანი გვქონდა. თითო ბარაბანზე რვა სიმღერაა ჩარტყმული. ყველა სიმღერას ჩვენ ვარტყამდით. მეარლნეებს უნდოდათ, რაც შეიძლება ბევრი ბარაბანი ჰქონოდათ... ბორჯომში ერთი მეარლნე იყო, სალაყაია, იმას ხუთი ბარაბანი ჰქონდა.

ერთხელ ოდესიდან ახალი სიმღერა შემოვიდა – „ლობიო". ერთი მეარლნე იყო, კუხიევი გოგლა, ამას უნდა არლანში ახალი სიმღერა ჩავურტყათო. – ჩვენ სახლს რომ მოუახლოვდა, დაიწყო ყვირილი – ვანო, იაკობ, ქოთანი მომაქვს და ლობიოს რომელი მომიხარშავთო... ამით გვეკითხებოდა – ლობიო რომ არის ახალი სიმღერა, ვინ ჩამირტყავს შენა თუ მამაშენი ვანოო...

ერთი მეარლნე იყო „ჟესტია", კარგი კაცი, „პლაშატკიდან" გამოვარდა, შუა ქეიფში, ისე გამხიარულდა, რომ ვერ შენიშნა კიბე, დაგორდა არლნიანად, მაგრამ დაკერა არ გაუჩერებია, ბოლო საფეხურზე წამოდგა და ვითომც არაფერი, იქით ამშვიდებდა ხალს. არადა, არლანი 26 კილოა, როგორ გინდა ამ ტვირთით დაგორდე და არაფერი შეიმჩნიო... ნამდვილი ვირტუოზები იყვნენ ამქარში...

ამქარი ომის შემდეგ დაიშალა, ცხოვრებამ თავისი ქნა, ძველი თაობაც წავიდა....

ვანიკო: პატარა ვიყავი, ერთხელ ამქრის ძველ წევრს ალე პაპას ვეკითხები, ეგეთი კარგი და ტკბილი კაცი რო ხარ, ვინა ხარ-მეთქი: აქ მოდი შვილო, – სკამი გამომიტანა ხუთი წლის ბავშვს, – დაჯექიო,- დამსვა. მერე თვითონაც დაჯდა და რუსულად მეუბნება: „ია ალექსანდრ ივანიჩ აკოფოვ, ნეობრაზოვანნი სტუდენტ, ნო აბრაზოვანნი ავარა, ჩლენ გოსკინპრომა, პოდ მუხრანსკიმ მოსტომ, ზამენიაუშჩი შალიაპინა..."

იაკობი: ოდესიდან რომ ჩამოვიდა მამაჩემი, თავისი მასწავლებლის პატივსაცემად არლანს ნეჩადას ანერდა, მეც ბევრი არლანი მაქვს გაკეთებული, სადაც ნეჩადა მიმიწერია... ნეჩადას არლანი უფრო პრიმიტიული იყო, არლნის სტრუქტურა მთლიანად შევცვალეთ და ქართულ ხმოვანებაზე მოვაწყვეთ.

მამაჩემი ვანო ხის ოსტატი, „კრასნადერევშჩიკი" იყო, საკმაოდ განთქმული მთელს საქართველოში. მამაჩემის გაკეთებული მაგიდა და წიგნების „ეტაჟერკა" კრემლში მიუტანეს ლენინს. ეხლაც იქა დგას, მუზეუმში...

ვანიკო: თუ არა ხარ ხის ოსტატი, არლანს ვერ გააკეთებ. ხეს უნდა გრძნობდე. ყველა ხეს აქვს თავისი ფლერადობა, როგორც ადამიანს აქვს სისხლძარღვები, ხესაც თავისებური სისხლძარღვები აქვს... ხეს როცა მოჭრი, რეზონსნუელი, სწორხაზოვანი უნდა იყოს, ხე თუ ყვავილიანია, იმისი ხმა ტრიალდება, იხმობა და ეს ხე არლნისთვის არ გამოდგება. თუ სწორი ხაზები დაყვება, ეს ხე კარგია...

არლნისთვის საჭიროა ნეკერჩხალი, არყის ხე, ცაცხვი, ფიჭვი, ნაძვი... ყველას სხვადასხვა ფლერადობა აქვს... ყველაზე მეტად ნაძვზე მიყვარს მუშაობა, არ არის კაპრიზული.

გენეტიკური კოდი დიდი ვანო პაპასაგან მოდის, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ექვსი წლის როცა გავიცნობიერე რა საგანძურთან მქონდა საქმე, იმ ხნიდან მომყვება იმის შიშნარევი განცდა, ეს ხელოვნება არ დაიკარგოს, არლანია მთელი ჩემი ცხოვრება... ცხოვრება წინ მიდის, იცვლება, მეც მინდოდა ჩემს არლანსაც ცვლილებისათვის აეწყო ფეხი, ამიტომაც გადავწყვიტე არლნის სტუქტურა ცვალებადი ყოფილიყო, ამ პრინციპით მუშაობდა დიდი ვანო პაპა, მამაჩემი, მეც ამ გზას მივყვები და ამის შედეგია ის, რომ რასაც ხედავთ, ეს ნაღდი ქართული არლანია, რომელსაც ნეჩადას არლნისგან სახელის გარდა თითქმის არაფერი შერჩა... ადამიანი რა განწყობაზეც უნდა იყოს, არლანს რომ გადააატრიალებ, ხასიათზე დაგაყენებს, დარდს და ვარამს დაგავიწყებს, ამ ჩვენს დუბჭირ ყოფაში, აბა, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს...

* * *

საუბარმა დროის შეგრძნება დაგვიკარგა, ერთმეორეზე უკეთესი ამბების მოსმენას არაფერი სჯობს... საათზე ვიხედები, დილის სამს აღარაფერი აკლია...

ყველანმინდას ვსვამთ, ვემშვიდობები მასპინძლებს...

ინსტიქტურად უკან ვიხედები, ვხედავ პაპას ღიმილიან სახეს. ვანიკო ხელს მიქნევს... მზერა პაპასკენ გამირბის, ვცდილობ მეხსიერებაში აღვბეჭდო ულამაზესი სურათი, შევაჩერო წამი...

ოციოდ მეტრიდან ძველი თბილისის უკანასკნელი მოპიკანი, ცოცხალი ლეგენდა მიყურებს, ლეგენდა, რომელსაც იაკობ ქიტესოვი ჰქვია...

მამუკა ნაცვალაძე

ცხელი მაისი ოპერის თეატრში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისთვის მაისიც საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი თვე იყო, – სარეპერტუარო სპექტაკლები, გასტროლიორები, ახალი წამოწყებები, შემოქმედებითი საღამოები...

14 მაისს ღვინის კომპანია „ბადაგონის" მეოხებით თბილისელი მსმენელების წინაშე პირველად წარსდგა დენ ეტინგერი – მრავალმხრივი მუსიკოსი, – პიანისტი, მომღერალი (ბარიტონი), დირიჟორი. ქართულმა აუდიტორიამ იგი (რიშონ ლეციონის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორი და მთავარი დირიჟორი) დირიჟორის ამპლუაში გაიცნო. მისი ხელდასხმით საკმაოდ საინტერესოდ შეასრულეს ჯუზეპე ვერდის „რეკვიემი" თეატრის ორკესტრმა, გუნდმა და სოლისტებმა: მიშელინა ქობალიანმა, ელენა პუტილოვამ, გიორგი მახარაძემ და ლეგი იმედაშვილმა.

თეატრის ბოლოდრინდელმა წარმატებულმა გასტროლებმა (ორგზის) ისრაელში და დენ ეტინგერის თბილისურმა სტუმრობამ სამომავლო შემოქმედებით პერსპექტივებსაც ჩაუყარა საფუძველი.

სამიოდე დღის შემდეგ, 17 მაისს ოპერის თეატრის ახალი წამოწყების პრეზენტაცია შედგა, პროექტისა – სახელწოდებით „ჯაზის კუთხე ოპერაში", რომლის ხორცშესხმაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ და პარფიუმერულ მალაზიათა ქსელმა „Vulevu:"-მ. უმთავრესი წვლილი კი, ცხადია, მიუძღოდა ცნობილ ქართველ ჯაზმენს, კონტრაბასისტ თამაზ ყურაშვილს და მის ქართველ და რუს მეგობრებს – ზურაბ რამიშვილს, ალექსანდრ მაშინს, ანდრეი კრასილნიკოვს, პეტრე ეოსტროკოვს და 12 წლის ვირტუოზს – პიანისტ ბექა გოჩიაშვილს.

ჩინებულმა საღამომ ოპერაში ჭეშმარიტად „გააჯაზა" და ჯაზის მცოდნენიც, მოყვარულნიც და უბრალოდ დაინტერესებული მსმენელებიც (თეატრში ანშლაგი იყო) ნამდვილად ნასიამოვნები დატოვა. საგულისხმოა, რომ ჯაზური მუსიკის საღამოებს თეატრი მომავალშიც უმასპინძლებს და „ჯაზის კუთხე ოპერაში" უეჭველად დამკვიდრდება.

28 მაისს შედგა კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის საიუბილეო კონცერტი.

29 მაისი კი დაეთმო თეიმურაზ გუგუშვილის შემოქმედებით საღამოს.

დიახ, 30 წელიწადი შესრულდა, რაც თეიმურაზ გუგუშვილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია, – საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ზაქარია ფალიაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ირინა არხიპოვას სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, – ამ ფაქტობრივი მონაცემების მიღმა კი, ქართველი მომღერლის ბიოგრაფიის ფურცლებია, აღსავსე დაუცხრომელი შრომით, მუსიკის უსაზღვრო სიყვარულით, სიახლეების ძიებით, წარმატებებით.

რთული და ლამაზი შემოქმედებითი გზით მოემართება სამი ათწლეულის მანძილზე ქართული სასიმღერო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, აღიარებული შემოქმედი, მუსიკის ერთგული მსახური – თეიმურაზ გუგუშვილი – კაცი, რომელიც საკუთარ კვალს ავლებს ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში.

რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის მიერ დადგმულ კონცერტში თეიმურაზ გუგუშვილთან ერთად მონაწილეობდნენ თეატრის სოლისტები, მისი მეგობრები, აღსაზრდელები – ნოდარ ანდღულაძე, მაყვალა ასპანიძე, ბესიკ გაბიტაშვილი, ეკა გაბიტაშვილი, ელდარ გენაძე, სულხან გველესიანი, თამარ გურგენიძე, მზია დავითაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, ლიანა კალმახელიძე, მარიცა მაღლაფერიძე, გიორგი მახარაძე, ირაკლი მურჯიკნელი, ელენა პუტილოვა, ზაზა რევაზიშვილი, ფილიპე ღაჭავა, ნინო ჩაჩუა, ზაალ ხელაია, ანზორ ხიდაშელი, ალექსანდრე ხომერიკი, თეატრის ორკესტრი, დირიჟორები რევაზ ტაკიძე, გოგი ჭიჭინაძე.

ოპერის თეატრის დატვირთული მაისის შთამბეჭდავ დასკვნით აკორდად კი ფლამენკოს ვარსკვლავის ხოაკინ კორტესის დაუვიწყარი კონცერტი იქცა.

ზურაბ ოიკაშვილი

იქნებ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები!

გიორგი ხარაძე თბილისელმა მუსიკის მოყვარულებმა პირველად შარშან, ფესტივალ „შემოდგომის თბილისზე" მოისმინეს. მანამდე კი ბევრი გვსმენოდა ახალგაზრდა ქართველ ვიოლონჩელისტზე, იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სტატიები, საზღვარგარეთული პრესის ამონარიდებზე დაყრდნობით. ვიცოდით, რომ ცნობილი ქართველი მუსიკოსების არჩილ – (იგივე ტატო) ხარაძის და ლიანა ჩიქოვანის ვაჟი განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა, რომ იგი არის პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ხუთგზის ლაურეატი, 2007 წელს ბონში გამართულ ბეთჰოვენის სახელობის ყოველწლიურ ფესტივალზე წლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს და გადასცეს ბეჭედი ბეთჰოვენის გამოსახულებით. ასევე ვიცოდით, რომ მას იწვევენ ევროპის პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში, რომ თანამშრომლობს გიდონ კრემერთან, მის კამერულ ორკესტრ „კამერატასთან".

მისი კონცერტების შესახებ ინერება შემდეგნაირი სიტყვები: „ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე აღფრთოვანება", „გასულ წელს გამართულ საიოლონჩელო მუსიკის შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა გიორგი ხარაძემ კვირას „ვილა დომნიკში" პიანისტ ვოლფგანგ ვალტერთან ერთად, დიდების აპოგეას მიაღწია. ამ კონცერტს დიდხანს ვერ დაივიწყებს მსმენელი, ვისაც ნილად ხვდა ბედნიერება, დასწრებოდა მას". – ამ სიტყვებს წერს ცნობილი გერმანელი მუსიკისმცოდნე ჰანს ბიოლერი 18 წლის ვიოლონჩელისტზე. აქ ასევე ჩამოაღნია ცნობამ, რომ პარიზში, როსტროპოვიჩის სახელობის ვიოლონჩელისტთა მერვე საერთაშორისო კონკურსზე თვით როსტროპოვიჩმა გადასცა პრიზი, აღფრთოვანებული გადაეხვია და ქართულად უთხრა: „შენ გენაცვალე, გიორგი!".

ფოიერმანის კონკურსის გრანპრი

ბოლოს თბილისელმა მუსიკის მოყვარულმა საზოგადოებამ გიორგი ხარაძე მოისმინა ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" კონცერტზე, სადაც იგი წარსდგა ხატია ბუნიათიშვილთან და ირაკლი ცხადაიასთან ერთად. ეს ის კონცერტი იყო (ამ ჟურნალში უკვე არაერთხელ რომ ვახსენეთ – რედ.), რომელმაც, მართლაც რომ, აალაპარაკა საზოგადოება. თბილისურმა შთაბეჭდილებამ ერთი შტრიხი დაამატა მის პორტრეტს: გიორგის მოსმენისას არავის ჰგონია, რომ უკრავს 23 წლის ბიჭი, მისი შესრულებისას იმგვარი თვისებები იჩენს თავს, რაც წლებსა და გამოცდილებას მოაქვს.

კიდევ ერთი ფაქტი არის ძალზე მნიშვნელოვანი – კიოლნის კონსერვატორიის დოქტორანტურის სტუდენტი ყველგან გამოდის საქართველოს სახელით. ის საქართველოს მოქალაქეა, მიუხედავად მრავალგზის შემოთავაზებისა, არ სურს საფრანგეთის მოქალაქეობა. რვა წლიდან საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ შესანიშნავად მეტყველებს ქართულად. საქართველოში ყოფნას არაფერი ურჩევნია, რომ არა პროფესიული მიზნები...

გიორგი ერთი პრობლემის წინაშე დგას: გვადანინის ინსტრუმენტი, რომელზეც ახლა უკრავს, დროებით ათხოვეს მას შემდეგ, რაც 2006 წელს კონკურსზე, სადაც ემანუელ ფოერმანის ერთადერთი დიდი პრიზი და გრან-პრი ერგო, ხოლო ავტორიტეტულმა ჟიურიმ განაცხადა, რომ „ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა ცის კაბადონზე". ყველგან თავს იკავებენ მის დახმარებაზე, როდესაც იგებენ, რომ ცხოვრობს პარიზში, სწავლობს კიოლნის კონსერვატორიის დოქტორანტურაში და არის საქართველოს მოქალაქე. მალე კი ინსტრუმენტის თხოვების ვადა ამოეწურება და არის საშიშროება „ახალი ვარსკვლავი, რომელიც გამოჩნდა ცის კაბადონზე", დარჩეს ჩელოს გარეშე.

იქნებ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, ქველმოქმედნი, რომლებიც მიხედებიან, თუ რა სარგებლობას მოიტანენ თავიანთი სიკეთით.

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან

ახალი ტრადიცია

მუზეუმების საერთაშორისო დღე 10 წლის წინ დამკვიდრდა გერმანიაში. ევროპის ზოგ ქვეყანაში აღნიშნავენ მუზეუმების ღამეს, რომელიც იწყება 17 მაისიდან და გრძელდება 18 მაისის საღამომდე. ამ დროს მსოფლიოს ყველა მუზეუმში შესვლა დამსწრეთათვის უფასოა – ლუვრში, ერმიტაჟში...

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს გაიმართა ქართული მუსიკის საღამო, სადაც აჟღერდა თითქმის ყველა თაობის ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა, თითქმის ყველა თაობის შემსრულებელთა მიერ – დაწყებული პირველკლასელი მოსწავლიდან, დამთავრებული უკვე პროფესიონალი, აღიარებული მუსიკოსებით. მუზეუმის თანამშრომლები: დირექტორი შალვა დავითაშვილი, აგრეთვე ვიქტორია სირაძე, თეა დუმბაძე თავიანთ მოსწავლეებთან ერთად შემსრულებლების ამპლუაში მოეელინენ მოწვეულ სტუმრებს. საღამო მიჰყავდა ასევე მუზეუმის თანამშრომელს, მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძეს. სტუმრებს შორის იყვნენ მევიოლინე როდამ ჯანდიერი და მომღერალი ელდარ გენაძე თავიანთ მოსწავლეებთან ერთად, კომპოზიტორი გიორგი შავერზაშვილი, მომღერალი თამარ კოკაია.

აჟღერდა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის, შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, ა. ჩიმაკაძის, ს. ცინცაძის, ო. თაქთაქიშვილი შ. მილორავას, ა. შავერზაშვილის, ო. თევდორაძის, ვ. აზარაშვილის, შ. დავითაშვილის, ე. ლომდარიძის, გ. შავერზაშვილის, მ. მერაბიშვილის ნაწარმოებები. გვაქვს სურვილი ყოველწლიურად ამ ფორმით აღვნიშნოთ ეს დღე.

ჩვენი მუზეუმი თავისი მცირემასშტაბური საღამოთი ერთგვარად ებმება იმ ფერხულში, რასაც მუზეუმების საერთაშორისო დღე ჰქვია.

თამარ ჩინჩალაძე-მარი

რეგინა კარტერი, „ხემი ჩემი ხმაა“

თანამედროვე ჯაზის გამოჩენილი მევიოლინე რეგინა კარტერი 1966 წლის 6 აგვისტოს დაიბადა ქ. დეტროიტში, იგი ფორდის საავტომობილო ქარხნის მუშისა და მასწავლებლის შვილია. მან მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ ჯაზის მევიოლინის რთული გზა აირჩია, დაამთავრა ბოსტონის კოლეჯი, შემდგომ ახალი ინგლისის კონსერვატორია და გახდა სიმფონიური ორკესტრის რიგითი მევიოლინე. „ამ პერიოდში მე მოვუსმინე ჯაზის ფრანგ მევიოლინეს სტეფანე გრაპელის და ყველაფერი შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში – იგონებს რეგინა კარტერი – მე ვიგრძენი თავისუფლება მუსიკაში, რაც ადრე არ მქონია და მომინდა ეს გრძნობა გადამეცა ადამიანებისათვის“. პირველი სოლო ალბომი სახელწოდებით „გულის რიტმები“ 1995 წელს გამოვიდა, ბოლო ალბომი კი, რომელიც 2007 წელს გამოვიდა, რეგინამ დედის – გრეის ლუიზა კარტერის ხსოვნას მიუძღვნა. აქ სწორედ ის მელოდიები შევიდა, რომლებიც დედას განსაკუთრებით უყვარდა (რეგინას ვიოლინოზე დედის სურათია. გამოსახული). რეგინა კარტერი „გრემის“ ჯილდოს ნომინანტია, ის ჯაზის პირველი მუსიკოსია, ვისაც პატივი ერგო დაეკრა ნიკოლო პაგანინის კუთვნილ ვიოლინოზე. გვარნერის ეს ინსტრუმენტი 250 წლისაა, ინახება იტალიაში, გენუაში და მხოლოდ ნელიწადში ერთხელ პაგანინის საზოგადოების მიერ სპეციალურად შერჩეულ კლასიკური მუსიკის ვირტუოზს ხვდება წილად მასზე დაკვრის ბედნიერება. 2003 წელს ეს ლეგენდარული ვიოლინო ნიუ-იორკში ჩაიტანეს. ლინკოლნ-ცენტრის დარბაზში გამართულმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა, მთელი დარბაზი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს რეგინა კარტერს. კონცერტის მერე რეგინამ ჩაწერა ალბომი „პაგანინი, ოცნების შემდეგ“, სადაც ჯაზური კომპოზიციების გარდა კლასიკური ნაწარმოებებიც არის შესული. რეგინა კარტერი თვლის, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინეს ისეთმა მუსიკოსებმა, როგორებიც არიან მევიოლინეები: ეგუდი მენუხინი, ისაკ პერლმანი, ჟან-ლუკ პონტი და რასაკვირველია, სტეფანე გრაპელი, ასევე საქსოფონისტი ჩარლი პარკერი, მომღერლები ბილი ჰოლიდეი და ელა ფიცჯერალდი. „სწორედ მომღერლების მოსმენა დამეხმარა სუნთქვის პრობლემის დაძლევაში, რაც ასე

აწუხებთ მევიოლინეებს – ამბობს რეგინა კარტერი – ახლა როდესაც ვუკრავ, გონებაში ამა თუ იმ სიტყვებით ვმღერი და როდესაც სუნთქვას ვწყვეტ, ხემიც ჩერდება, სინამდვილეში ხემი ჩემი ხმაა“

მასალა მოამზადა ჯიმი იაშვილმა

როგორ უნდა წერონ მუსიკის შესახებ

მოსკოვის საგამომცემლო სახლმა „კლასიკა XXI“ გამოსცა წიგნების ახალი სერია „კლასიკა კუბში“. ამ სერიაში საუბარია გამოჩენილ კომპოზიტორებზე, ეს არის ერთგვარი პორტრეტები სხვადასხვა ეპოქების გენიოსებზე. შინაარსობრივ პალიტრას ამდიდრებს სხვადასხვა პიროვნებების, მათი თანამედროვეების, შთამომავლების, მუსიკისმცოდნეების და თვით ინტერნეტის მომხმარებლების გამონათქვამები. ფოტოგამოსახულების მსგავსად, ყველა ეს აფორიზმები და შენიშვნები შედგება მრავალი კვადრატ-პიქსელისაგან, აქედან მოდის სათაური – „კლასიკა კუბში“.

მანამდე გამოვიდა სერია სათაურით – „კლასიკა კვადრატში“, სადაც შევიდა წიგნები ისეთ კომპოზიტორებზე, როგორებიც იყვნენ მოცარტი, ლისტი, პროკოფიევი, სტრავინსკი, ჩაიკოვსკი, ბეთჰოვენი. ახლა დაემატა კიდევ რვა წიგნი სკრიაბინზე, ვაგნერზე, რახმანინოვზე, ვერდიზე, შოპენზე, მუსორგსკიზე, ბახზე და შუმანზე. გამოცემული თოთხმეტი „კვადრატული“ წიგნი წარმოადგენს სასაჩუქრე სუვენირს – კუბს. ყოველივე ძალზედ მოხერხებულად არის შეფუთული ე.წ. „საჯიბე ფორმატში“. თვითონ წიგნიც ძალზედ მახვილგონივრულად და საინტერესოდ არის შედგენილი.

19 მაისს კი შედგა კონფერენცია-დისკუსია თემაზე – „როგორი უნდა იყოს თანამედროვე წიგნი მუსიკაზე“. პროექტის იდეა ეკუთვნის საგამომცემლო სახლის „კლასიკა XXI“ დირექტორს ალექსანდრ კარმანოვს. კითხვები, რომლებიც იდგა მუსიკისმცოდნეთა და ჟურნალისტთა წინაშე, პირველ ყოვლისა, ეხებოდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს წიგნი კლასიკაზე, რა არის დღეს უფრო პოპულარული – აკადემიური სახელმძღვანელო, მომხიბვლელი გზამკვლევი თუ უემოციო საინფორმაციო ფურცელი? მუსიკალური მწერალი – ვინ უნდა იყოს ის? ვინ არის ადრესატი ტექსტებისა მუსიკის შესახებ და როგორი უნდა იყოს ის? განიხილეს აგრეთვე სტილის პრობლემები: დღეს აუცილებელია წერო ცოცხლად და მახვილგონივრულად.

სამეფოსაკენ მივმავალი

გარეკანზე – გია ყანჩელი, იური მეჩითოვის ფოტო

პროექტის ავტორი და
რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე
თამარ წულუკიძე

ნომრის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: სტატიების ავტორებს, აგრეთვე რუსუდან ქუთათელაძეს, მამუკა ნაცვალაძეს, დავით ხარებავას,

მის.: დ. აღმაშენებლის 123;
ტელ.: (+995 32) 95 41 64;
(+995 32) 96 75 05;
ფაქსი: (+995 32) 96 86 78;

აიწყო და დაკაბადონდა შპს „კოლორპრინტში"
რუსთაველის 40/1; (+995 32) 93-46-14